



# სამთავროს მკურნალები

პერიოდული გამოცემა. №4 (29).

თბილისი, 2018 წელი.



„ჭვარიანობის მკურნალები. ვეფხვენი მკურნალები  
მკურნალები არის მკურნალები მკურნალები“...



გულითადად მივესალმებით სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტრის მიერ დაარსებული ჟურნალის, „სამთავროს მაცხოვრებლის“, გამოცემას. მოხარულნი ვიქნებით, თუ მისი შემდგენელი შეძლებენ, მკითხველს გააცნონ საქართველოში დაცული სიწმინდენი, ბერძონაზნური ცხოვრების სიღრმე, აზრი და მნიშვნელობა; ის, თუ რა არის ჩვენი ეროვნული ფასეულობანი, როგორია ჩვენი ტრადიციები, ისტორია, ეთნოგრაფიული თავისებურებანი, ჩვენი ხალხური სიბრძნე.

ეს ყოველივე დიდად შეუწყობს ხელს ჩვენი საზოგადოების სულიერი და ინტელექტუალური დონის ამაღლებას და მათში ქეშმარიტების გზით სვლის სურვილის გაღვივებას.

ღმერთმა და წმიდა ნინომ დალოცოს „სამთავროს მაცხოვრებლის“ გამოცემული და მკითხველნი.

ღმერთმა დალოცოს სრულიად საქართველო!

✝ ილია II

სრულიად საქართველოს  
კათოლიკოს-პატრიარქი

ISSN 2346-7738  
შპს (UDC) 27 + 271.2  
მ - 407

	<b>საქართველოს საქართველოს საქართველოს</b>	<b>საქართველოს საქართველოს</b>
საქართველოს საქართველოს	საქართველოს საქართველოს	საქართველოს საქართველოს
საქართველოს საქართველოს	საქართველოს საქართველოს	საქართველოს საქართველოს

მცხეთა, მირიან მეფის ქუჩა №3.  
ელ-ფოსტა: [samtavrosmonasteri@yahoo.com](mailto:samtavrosmonasteri@yahoo.com)  
ანგარიშის ნომერი: GE65BG000000158107700



# სარჩევნი

უწმიდესო და უნეტარესო მეუფეო! .....5

„ჩემი მოღვაწეობის პერიოდს შეიძლება  
ეწოდოს მზიანი ღამე“ .....6

„ყოველი ტახტი პატრიარქისა უნდა  
ემსახუროს ღმერთის დიდების საქმეს“.....8

სიტყვა, წარმოთქმული აღსაყდრებისას .....10

უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად  
საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის,  
ილია II-ის პირველი საშობაო ეპისტოლე .....14

გზა უდაბნოზე გადიოდა... .....17

ამონარიდები პატრიარქის ქადაგებებიდან ..... 21

წერილები ..... 24

მწყემსმთავრობა თქვენი,  
უწმიდესო, მრავალჯამიერ! .....26

შეხვედრა უწმიდესთან ..... 36

„ვმადლობ ღმერთსა ჩემსა მარადის  
თქვენთვის და მიხარის თქვენთვის!“ ..... 40

ღღემდე ასე მოვდივარ სიყვარულით ..... 45

უწმიდესის ლოცვამ გადაგვარჩინა .....47

„ღვთისმოსაობა ყველაზე უფრო ძლიერია“ .....49

ხორც შესხმული სიყვარული .....50

მრავალჯამიერ, ჩვენო  
უსაყვარლესო პატრიარქო! ..... 51

„ყვავილები ქართველებს ჰგვანან...“ .....52

დიდი მწყემსი ქართველი ერისა .....56

„შეუძლებელი კაცთაგან, შესაძლებელ  
არს ღმერთისა მიერ“ ..... 58

როგორ დაიწერა ბიძინა კვერნაძის  
„ოდა საქართველოს“ .....64

კარიბჭე მარადიული ცხოვრებისა .....66

არსად ისეთი მადლი არ მიმიღია,  
როგორც აქ, სამთავროში .....71

მოდღვართმოდღვარი  
სრულიად საქართველოსი .....72

ყველა ემიგრანტის სახელით .....76

თქვენო უწმიდესობავ! .....77

უწმიდესო და უნეტარესო! .....78

კვლავაც გვიძლოდე, ბერო მინდიავ! .....79

ღვთის საჩუქარი – პატრიარქის  
მოვლინება საქართველოში .....81

ჩემი უსაყვარლესი ხატი .....84

ღვთიური ცეცხლი .....86

რედაქტორი: თეა ცაგურიშვილი  
სტილისტი: სალომე ზვიადაძე

სარედაქციო კოლეგია:  
არქიმანდრიტი ლაზარე (გაგნიძე),  
ილუმენია ქეთევანი (კოპალიანი),  
ბერდიაკონი ილია (თვალთაშვილი),  
მონოზონნი: სოსანა (კუპრეიშვილი), ნინო (სამხარაძე),  
სერაფიმა (მეტრეველი), იოანა (ნიშნიანიძე),  
მელანია (მამისაშვილი).

სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტერი  
მადლობას უხდის და ლოცავს:

გამომცემლობა „შარაგანდის“ ხელმძღვანელს,  
ბატონ თამაზ შარიქაძეს;

სტამბა „ფავორიტი სტილის“ ხელმძღვანელს,  
ბატონ ივანე თევდორაშვილს;

საპატრიარქოს არქივის დირექტორს,  
ქალბატონ მზია კაცაძეს;

საპატრიარქოს ტელევიზიის დოკუმენტალისტებს:  
ქალბატონ ნინო ხოფერიას და ბატონ ზვიად მიქელაძეს;

ბატონებს: ზაზა მამულაშვილს, ლუარსაბ ტოგონიძეს,  
გიგლა ბენაშვილს – ფოტოების მოწოდებისთვის.



# უწმიდესო და უნეტავისო მეუფეთ!

ჩვენი ცბილო პატრიარქო, ქრისტეს-  
მიერი სიყვარულით გილორჯეთ აღსაყდრების  
40 და ღაბაღების 85 წლის იუბილეს და,  
თავანისრებისა და, მაღლიერების ნიშ-  
ნად მუხომოდრეკილნი, ქედს ვიბ-  
რით თქვენ წინაშე იმ უსაზღვრო  
მამობრივი სიბზოს, სიყვარულისა  
და მზრუნველობისათვის, რა-  
საყ მუხეთის სამთავ-  
როს წმიდა სავანის  
მიმართ იჩინო.

თქვენ არაერთ-  
თხელ ვითქვამთ,  
რომ არსად ისეთი  
მაღლი არ მიგილიათ, როგორც სამ-  
თავროში; ვუწყით, რომ სადაც არ  
უნდა ზრძანდებოდეთ, ჯვარს სახავთ  
აქაურობას და ეს ჩვენთვის დიდი  
ნუგეში და ნყალობაა.

მთელი საქართველო ეტევ  
თქვენს გულში, თქვენ ყველა ქარ-  
თველის დიდბუნებოვანი სულიერი  
მამა და წინამძღვარი ზრძანდებით,  
განურჩევლად ყველას თანაბრად  
უნანილოებთ თქვენი „რელი გუ-  
ლის“ სიბზოსა და სიყვარულს, მაგ-  
რამ ჩვენ (აღბათ, როგორც ყვე-  
ლთა,) ვგრძნობთ თქვენს გამორჩეულ  
დამოკიდებულებას, რაყ კიდევ უფრო მეტ  
პასუხისმგებლობას გვაკისრებს ქართველი



ერის, მართლმადიდებელი ეკლესიისა და  
პირადად თქვენი, სრულიად საქართველოს  
კათოლიკოს-პატრიარქის, წინაშე.

მონყალოე ღმერთი: მან მოგვივლინა  
მწყემსი კეთილი, რომელიც უკვი  
თითქმის ნახევარი საუკუნეა, ირავს  
თავის პირმეტყველ რზოვართ;  
ამ ხნის მანძილზე გამოიხურვა,  
ვითარჯ ვერხლი, გა-  
მოირადა, განამრავ-  
ლა მაღლი წინაშე  
ღვთისა და მიგვი-  
ძღვება სიკეთისა და  
ჯუძმარიტების გზით

და ეს გახლავთ გზა სამეუფო –  
უფალოთან ჩვენი მიმყვანებელი.

ჩვენი უწმიდესო, მუყძლიებელი  
თქვენს ღიად საქმეთა ჩამოთვლა, –  
ღმერთი ხედავს, რამდენი ღოოჯვით  
გათენებული ღამე, ფიქრი, ზენვის ხიდ-  
ზე გავლა, თქვენი გულის სისხლი  
დასჯირდა ამ ყველაფერს...

ღმერთსა ვთხოვთ თქვენს ჯანმრთე-  
ლობას, დღევრძელობას, თქვენი მრევ-  
ლის სულიერ განმეტყოვნებას და ერთო-  
ბას მთლიან და ძლიერ საქართველოში,  
– და არამარტო სიტყვა, „ღუძილიერ

მიგვითვალეთ თქვენდამი ღოოჯვად!”

მრავალყამიერ, მწყემსმთავრობა თქვენი,  
უწმიდესო, მრავალყამიერ! ამინ!

მუხეთის სამთავროს წმიდა წინოს ღუდათა მონასტერი

## „ჩემი მოღვაწეობის პერიოდს შიშობა ეწოდოს მზიანი ღამე“

„ჩემი არჩევა 23 დეკემბერს მოხდა. იმდენად დამახული ვითარება იყო, რომ ან-  
ალგაზრდები სამრეკლოსთან იდგნენ ჩვენს დასაცავად. მოგვიანებით ისინი მიამ-  
ბობდნენ, ჩვენ კარებთან მოუურადებულები ვიყავით, სწოლა თუ ატყდებოდა, კარის  
შემომტყრევას ვაპირებდით. აი, ასეთი დამახული სიტუაცია იყო. ორი დღის შემდეგ,  
25 დეკემბერს, წმიდა სპირიტო ტრიმიფუნტელის ხსენების დღეს, სვეტიცხოვლის  
საპატრიარქო ტაძარში შედგა ჩემი აღსაყდრება კათოლიკოს-პატრიარქის ტანტსე.

საქართველოდან იგზავნებოდა დეპუტები ჩვენს მოწინააღმდეგეებთან კრებულში.  
წერდნენ ბრეჟნევს, რომ მიტროპოლიტი ილია არის ანტისაბჭოური ელემენტი და  
იგი არაა საიმედო კაცი. მიუხედავად ყველაფრისა, ღვთის განცება სულ სხვა იყო.

ჩვენ ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად ვმსჯელობდით, თუ რამდენი  
საშვი უნდა დაბეჭდილიყო სვეტიცხოველში ჩემი აღსაყდრების დღეს. მე მინდოდა,  
მეტი გაცემულიყო, ხელისუფალნი კი ცდილობდნენ, რაც შეიძლება, შეემცირებინათ;  
ბოლოს შევთანხმდით ექვსი ათას საშვსე...

საოცრება მოხდა, როცა ჩემი ინტრონიზაცია აღსრულდა. ეს უკვე იყო ნიშანი  
ღვთისა, ეს იყო სასწაული ღვთისა, როცა სვეტიცხოვლის ეხო და მთელი მცხეთა  
აივსო მოსახლეობით, განსაკუთრებით ანალგაზრდებით... და ვერავითარმა მილიციამ  
ვერ შეძლო, შეეკავებინა ისინი. ადამიანებმა გაარღვიეს ზღუდეები და შემოიჭრნენ  
ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე. მილიცია ვეღარ აკონტროლებდა მათ. მაგრამ იყო  
საოცარი სიმშვიდე...

ხალხი რაღაცას ელოდა, ხალხი თითქოს ვრძნობდა, რომ იწყება რაღაც არაჩვეულებ-  
რივი პროცესი, იწყება სულიერი წინსვლა, მაგრამ ჩვენ თვითონ ვერ ვაცნობიერებდით,  
ჩვენ თვითონ არ ვგვემოდა, რა ხდებოდა. აღსრულდა ის, რაც უფალს ნებავდა.

როცა კათედრაზე მოვიყარე მუხლი და ლოცვებს კითხულობდნენ ჩემს თავსე, კარ-  
გად მესმოდა ის ზასუნისმგებლობა და სიმძიმე ჯვარისა, რომელიც უფალმა მარგუ-  
ნა; მაგრამ ვიცოდი, რომ როდესაც უფალი ადამიანს ჯვარს ანიჭებს, იგივე უფალი  
შველის მის ტვირთვაში. მეც მუდამ ვვრძნობდი ღვთის მარჯვენის შემწეობას. წირვის  
დამთავრებისას, კურთხევის შემდეგ ტაძრიდან რომ გავდიოდით, ხალხი ცდილობდა,  
ხელში ავეტაცე, თითქმის ფეხს ვერ ვაკარებდი მიწას, ასე მოუყავდი ქართველ ხალხს.  
აი ასეთი, მართლაც საოცარი სიხარული და არნახული სიყვარული სუფევდა მათში.

ჩემი პატრიარქობის პირველი დღეები იყო, როცა ხელისუფლებამ თუ ხელისუფ-  
ლების წარმომადგენლებმა მომიგზავნეს კაცი, რომელმაც მითხრა: თქვენ წირვა ყო-  
ველ კვირას არ უნდა ჩაატაროთ, თქვენი წირვა მოვლენა უნდა იქონოს. მე ვუპასუხე: არ  
შემიძლია, რომ კვირა დღეს არ ვწირო-მეთქი და უარით გავისტუმრე. მძიმე განსაც-  
დელი ბევრი იყო, მაგრამ, ღვთის მადლით, მართლა მზიანი ღამე იდგა. ღამე იყო  
ყველგან და განსაკუთრებით ეკლესიაში და მზე მაინც ანათებდა. ბნელმა ვერ დას-  
თრგუნა მზე და უფალი თავის საქმეს მაინც აკეთებდა.





ჩვენი ეკლესიის საქმიანობა არ უნდა წარმოვიდგინოთ, როგორც რაღაც მხოლოდ მორწმუნე ხალხთან კარჩაკეტილობა. ჩვენ ყველაფერი უნდა გვწამდეს ჰროგ რესული საწყისებით, ამისათვის ჩვენი ეკლესიაც უნდა იდგეს მთელ ხალხთან ერთად, რომელი ხალხიც სიკეთესა და აღმავლობას ემსახურება... უნდა გვანსოვდეს, რომ ჩვენ ვართ შვილები იმ ქვეყნისა, სადაც დაფლულია უფლის კვართი; იმ ქვეყანაში დაბადებულნი და აღზრდილნი, რომელი ქვეყანაც წილად სვდა ეოვლადწმიდა ღვთისმშობელს; ვართ იმ წინაპართა შთამომავალნი, რომელთაც ქრისტიანობა უქადაგეს ანდრია ჰირველწოდებულმა და სვიმონ კანანელმა... ასეთი წარსული გვავალებს, რომ მუდამ ვიზრუნოთ ჩვენი ეკლესიის სიწმინდის ამაღლებასათვის. რა თქმა უნდა, იოლი როდია ღვთისა და ერის წინაშე ვალის მოხდა, მაგრამ განა შეიძლება რაიმე ტვირთის სიმძიმეზე ფიქრი მაშინ, როდესაც ვიცით, რომ ეს ტვირთი ღვთისაგან მივიღეთ? ამ ტვირთთან ერთად მოგვცა სასოება განგებამ. ეოველი ტახტი

„ღვთაების ამ წარმოუდგენელად მრავალმხრივად დიდმა სიკეთემ მისგან ბოძებული ძლიერების კვერთხით დამაყენა ჩემი საუვარელი ქართველი ხალხის წინაშე, როგორც მსახური ამ ხალხისა და აღმასრულებელი ეოვლად მაღალი ნებისა ხალხის სულიერი ცხოვრების ამაღლებასში. მე ტვირთის ზიდვა დამაკისრა მისმა განსაცარმა მოწყალებამ. მოკვდავი გონებისათვის წარმოუდგენელმა ძლიერებამ მოძცა ძალა და სასოება, რომ ზეიმით ვზიდო ეს ტვირთი, როგორი მძიმეც არ უნდა იყოს ის...

პატრიარქისა უნდა ემსახუროს ღმერთის დიდების საქმეს. ვიდრე ვიცოცხლებ, ჩემ თვალწინ იქნება ის თვალთ უხილავი, მაგრამ რეალური ტახტი, რომელზეც დამადგინა უფლის ძლიერმა მარჯვენამ. ჩემს გულზე წერია ის ვალდებულებანი, რომლებიც მისმა მოწყალებამ დამაკისრა და ბედნიერს მხდის იმაზე ფიქრი, რომ ეოვლად მაღალი მოწყალებითა და ქრისტეს მოძღვრების მოყვარული ქართველი ხალხის თანადგომით ყველაფერს გავაკეთებთ, რაც მაღალი ღმერთის მადლმა და ძალამ დამაკისრა.“





## სიტყვა, წარმოთქმული აღსაყდრებისას

ქრისტესმიერო ჩემო შვილებო, დებო და ძებო, საყვარელო სამწყსოვ,

„ვჭმადლობ ღმერთსა ჩემსა ყოველსა ზედა ხსენებასა თქვენსა“ (ფილიპ. 1.3).

საოცრებამდე უსაზღვროა განგება ღვთისა, არც მის მოწყალებასა აქვს საღმე საზღვარი, არ ილევა მისი მაღლის მონიჭება მის მონებზე; ჭეშმარიტად, მისმა განგებამ და მისმა მოწყალებამ დააყენა თქვენ წინაშე ჩემი სიძაბლე, როგორც მამამთავარი საქართველოს სამოციქულო ეკლესიისა.

მე შეგნებული მაქვს ის ურთულესი და ამავე დროს საპატიო მოვალეობა, რომელიც დღეს, ღვთის ამ წმინდა ტაძრის თაღებქვეშ, დამაკისრა მაღალმა ღმერთმა. მუხლს ვიხრი ამ პატივისათვის მისი ძლიერების წინაშე და თაყვანს ვცემ მარადიული ნათლითმოსილ ხსენებას მისას.

თავს ვიხრი საქართველოს ეკლესიისა და მისი ძრევის – ქართველი ხალხის წინაშე, რომელსაც სასოებით უნდა ემსახუროს ჩემი ძალი და გონება, იმ სარწმუნოებით, რომელი სარწმუნოების დაცვისა და შენარჩუნებისათვის

ზღვა სისხლი გაიღო რიცხვით მცირე ჩვენმა ხალხმა, დაწყებული მცხეთაში მაცხოვრის კვართის მოტანიდან.

ქართველი ხალხი და საქართველოს ეკლე-

სია, მისი მამამთავრების სახით, მუდამ ერთად იყვნენ ჩვენი სამშობლოს ყველა ძნელებლობის დროს. დგებოდა ჟამი, როდესაც დაარისებდნენ ზოლმე ეკლესიის სამრეკლოს ზარებს, საგანგაშო ცეცხლს დაანთებდნენ მაღალ ბორცვებზე და მებრძოლებს მოუხმობდნენ შემოსეული მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ეკლესიის მამამთავარიც იქ, ხალხთან იყო იმ ბრძოლებში წმიდა ჯვრით ხელში და ამხნეებდა თავის სამწყსოს ქრისტეს სახელით; მშვიდობის დროს კი მზის ამოსვლის უწინარესად იღვიძებდა შრომისა და ქრისტეს სჯულის მოყვარული ქართველი ხალხი და ამენებდა სასიქადულო ტაძრებსა და ციხე-ქალაქებს, ეკლესიის მამამთავარიც გვერდით ედგა მაშინ მშენებლობას, ისევ ჯვრით ხელში, რომ იმ ჯვრის მაღლსა და ღვთის მოწყალებას ოფლი შეემრო მზით გარუჯულ დამაშვრალთათვის.

ახსოვს ჩვენს მცხეთას, სატახტო ქალაქს და სვეტიცხოველს, ქრისტეს პერანგი რომ ჩაიხუტა თავის გულში სამარადისოდ, ბევრი რამ

ახსოვს ერის წარსული ისტორიიდან: ომები, მიწისძვრები, წყალდიდობა თუ ნიაღვრები, და ყველა ამ ულევ ქარცეცხლსა და ორომტრიალში ერთად იყვნენ, არ შედრკებოდნენ ურთიერთას



ცხოველსმოფიელი სვეტი



პირველი წირვა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ხარისხში;  
1977 წელი, 25 დეკემბერი. სვეტიცხოველი

ქართველი ხალხი, ქრისტეს სჯული, სასოება და სიყვარული. მამამთავარი ჩვენი წმინდა ეკლესიისა, ჯვრით უძღოდა ურღვეობის ამ სიმტკიცეს და ღვთის მადლი ნათლად ადგა ამ სანუკვარ ერთიანობას.

ქართველ ხალხს დღემდე შერჩა ცხოვრების ორომტრიალისაგან გამობრძმედილი ეს მრავალმხრივი ენერგია. ჩვენი ვალა, მხოლოდ გამოგავლინოთ ქართველ ხალხზე ღვთით მინიჭებული ეს დიდი მადლი და შევეცადოთ, რომ ხალხმა სასახლოდ გამოიყენოს იგი.

როგორც ვიცით, ღრონი იცვლებიან, მაგრამ ღვთის ძლიერება უცვლელია. დავით მეფისა და წინასწარმეტყველის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ის ღრონ იცვლის, როგორც სამოსელს, თავად კი წლები არ აკლდება“. არც ჩვენი უფალი იესო ქრისტეს „ახალი აღთქმის“ სიბრძნე იცვლება. ქრისტეს მოძღვრება, რომელიც თავად მოძღვარმა საკუთარი სისხლით დაწერა და სისხლით დაიცვა ჩვენმა ხალხმაც, ისევე ძვირფასი და ისეთივე გზის მაჩვენებელია დღეს ჩვენთვის, როგორც იყო წარსულში.

ქართველმა ხალხმა დღესაც სარწმუნოების მადლითა და ღვთისაგან მინიჭებული ენერგიით უნდა იბრძოლოს მშვიდობისათვის, სიკეთისა და ღირსების მომავლისათვის. სარწმუნოების სიყვარული ქართველი ხალხისა მათი სულიერი ენერგიიდან გამოდიოდა და იმავე ენერგიით უნდა შეიცნოს დღევანდელმა ქართველმაც „ახალი აღთქმის“ სიბრძნე, რომ ამ სიბრძნით შეიარაღებულმა ისწავლოს, იშრომოს და იცხოვროს; რომ მის სწავლებას, შრომასა და ცხოვრებას ღვთის ზეგარდამო ნათელი ადგეს და ამავე კურთხეული ქვეყნიდან ემზადებოდეს მომავალი მარადიული ცხოვრებისათვის.

ამრიგად, ჩვენს ხალხში მართლმადიდებლური ქრისტიანული სარწმუნოების განმტკიცება, როგორც ყოველთვის, ახლაც იქნება ჩვენი ეკლესიის საქმიანობის პირველი საზრუნავი. სარწმუნოება,

რომლის გარეშე არ არსებობს ღვთის მადლის მოსვლა, დე, იყოს ახალი აყვავების დასაწყისი ჩვენი სულიერი ცხოვრებისა.

ადამიანის სულსა და შეგნებას უთუოდ სასოება უნდა ამოძრავებდეს. მოვუსმინოთ მოციქულ პავლეს: „ხოლო ჩვენ, რამეთუ დღისანი ვართ ნაშობნი, განვიფრთხოთ, შევიმოსოთ ჯაჭვ იგი სარწმუნოებისა და სიყვარულისა და ჩაფხუტი იგი სასოებისა და ცხოვრებისა“ (I თეს. 5, 8). ვიცოდეთ, რომ იესო ქრისტე პურია ჩვენთვის და სასოება. მაშასადამე, სასოებით უნდა ვიძინებდეთ ჩვენ, სასოებამ უნდა აგვიხილოს მძინარე თვალი მომავლისაკენ, სასოებით უნდა დავძლიოთ ავსა და ბოროტს, სასოებამ უნდა დათრგუნოს ადამიანთა მშვიდობის მტრები. სასოებაა ყველაფერი, მზეც ვერ ამოვა სასოების ცეცხლის გარეშე, თუკი უმელობის ჭია შეგჭამს მის ამოსვლამდე. ამისათვის სარწმუნოებას ჩვენსას და ქრისტესადმი ნეტარ სიყვარულს სასოება უნდა ახლდეს შემწედ და ფარად. სასოებამ უნდა განამტკიცოს ჩვენი მხნეობა და ნაბიჯები; რად ვღირვართ ჩვენ, თუ სასოება არ წაგვიყვანს წინ! მაშასადამე, ქართველ ხალხში სასოებისა და უტეხი ნების განმტკიცება უნდა იყოს ჩვენი ეკლესიის მომავალი საქმიანობის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი. ქართველ ხალხს მუდამ მოეპოვებოდა ენერგია სასოებისა და წინსვლისათვის და ახლაც ჭარბად აქვს მას ეს ენერგია.

გამოვლინდეს და სიკეთეს მოხმარდეს ეს ენერგია – აი, ჩვენი მიზანი.

რად გინდა მზე, თუკი არ გიყვარს იგი, თუკი არ გინდა მისი დანახვა. ან მოყვასი რად გინდა, მითხარ? თუკი არ გვიყვარს ჩვენ ისინი ღვთიური მადლით, თუკი არ გვიყვარს მიწა, ზეცა და ვარსკვლავები, მაშინ ამაო არის ყველა და ყველაფერი.

სიყვარული – ეს ღვთის მადლია, მზეზე მაღალი. სიყვარული მზეს ჰქვია, თავად სიყვარ-

ული ღვთის სულში სუფევს და ჩვენ გვაძლევს მას თავის სულთან ერთად, სიცოცხლესთან ერთად გვაძლევს სიყვარულს ჩვენი მამა, მაღალი ღმერთი. ქრისტიანი არ შეიძლება იყოს ქრისტიანად ყველაფრისმომცველი სიყვარულის გარეშე. სიყვარულით აღაშენა ღმერთმა ეს თვალშეუდგამი დიდი სამყარო, სიყვარულმა გააჩენინა მას ადამიანი.

მაშ, გავიგოთ, ჩემო თანამორწმუნე ქართველებო, რომ სიყვარულია მთავარი ამ ქვეყანაზე, უსიყვარულოდ ვერ მივალთ ღმერთთან, უსიყვარულოდ ვერ შევიგრძნობთ ნეტარებას სასუფევლისას. ამისათვის სიყვარულის განვრცობისა და ამაღლების საქმეზე ზრუნვა ისე უნდა აბრწყინებდეს ჩვენს მომავალ მოღვაწეობას, როგორც ამომავალი მზით მოელვარე ჯვარი აბრწყინებს სვეტიცხოვლის მაღალ გუმბათს.

ჩვენი მომავალი საქმიანობის პროგრამა ვრცელი და მრავალმხრივია, აქ უმთავრესი აღვნიშნე მხოლოდ. ცოტა რამ სხვა საკითხებზეც უნდა ვთქვათ: სიკეთის გარეშე ხომ არ შეიძლება იყოს ქრისტიანი, არც სიყვარული, ვერც სასოება იარსებებს სიკეთისაგან განდგომილად, არც ჩვენს სამშობლოს ვენდობებით სიკეთის გარეშე. მაშასადამე, სიკეთის მაღლი უნდა დამკვიდრდეს ქართველ ხალხში – და არა მართო ქართველებში; უკეთურება უნდა მოვსპოთ, სიკეთის ნათელი უნდა უძლოდეს მუდამ ჩვენს საქმიანობას.

უნდა შევეხოთ შრომის საქმეებსაც: უიმისოდ ხომ ვერ დავამკვიდრებთ ქვეყნად მშვიდობას, ვერც სარწმუნოებას განვამტკიცებთ, ვერც სასოებას მოვუმზადებთ რამე საფუძველს, ვერც სიყვარულს ავაყვავებთ შრომის გარეშე. ილია ჭავჭავაძე თავის „აჩრდილში“ კავკასიონის თეთრი მთებიდან აღიღებდა შრომის სუფევას. ჩვენი მიზანი უნდა იყოს მოყვასთა სულიერი სისპეტაკის ამაღლება ისე, რომ შრომა ყველასათვის მომავლისა და სასოების წყაროს წარმოადგენდეს.

ჩვენი დღევანდელი და ხვალისდელი ღლის ერთ მნიშვნელოვან მომენტსაც უნდა შევეხოთ. ჩვენ, იმისათვის, რომ ღვთიური გზით წარვმართოთ ჩვენი წმინდა ეკლესიის მომავალი საქმიანობა, შინაგანი მთლიანობა გვჭირდება. ასეთი მთლიანობის აუცილებლობა აწუხებდა, ალბათ, მოციქულ პავლეს, როდესაც კორინთელებს მისწერა: „ხოლო გლოცავ თქვენ, ძმანო, სახელითა უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესითა, რადთა მასვე იტყოდით ყოველნი, და ნუ იყოფინ თქვენ შორის წვალებაჲ, არამედ იყვენით განმტკიცებულნი მითვე გონებითა და მითვე მეცნიერებითა“ (1 კორ. 1, 10). იქ, სადაც მთლიანობა ირღვევა, ირღვევა ერთმანეთის სიყვარულიც, ძირითხრება სასოებასაც და სუსტდება სარწმუნოებაც. მაშასადამე, გათიშულობა იგივე ცოდვა და ბოროტება არის და ჩვენი წმიდათაწმიდა ვალია, არ დავუშვათ ასეთი ბოროტება. ჩვენ მუდამ ერთად უნდა ვიყოთ, მამამთავარი და მღვდელმთავრები, პატიოსანი მღვდლები და ყველა მსახური ეკლესიისა და ჩვენ გარშემო კი, ჩვენთან ერთად, უნდა იდგეს ყველა მორწმუნე ქრისტიანი. და როდესაც არამორწმუნე დაინახავს ასეთ მთლიანობასა და სიმტკიცეს, ისიც მოაკითხავს ჩვენს ურღვეველობას და ეზიარება იმ სიბრძნეს, რომელსაც მაცხოვარმა „ახალი აღთქმა“ უწოდა.

მაშ ასე, შრომისა და ბრძოლაში გამობრძმედილო, ქრისტეს სჯულის ერთგულო ძვირფასო სამწყსოვ! შევსთხოვოთ ღმერთს, რომ მისმა ძლიერმა მარჯვენამ წაგვიყვანოს წინ ჩვენი ახალი ნაბიჯებით, და რომ ჩვენი ეკლესიების ზარების რეკვა წინანდებურად ომისა და უბედურების მაცნე კი არ ყოფილიყოს ხალხისათვის, არამედ სარწმუნოების, სასოების, სიყვარულის, შრომისა და სიკეთის ზეიმისა. „მაღლი უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი და სიყვარული ღმერთისა და მამისაჲ, და ზიარებაჲ სულისა წმიდისაჲ იყავნ თქვენ ყოველთა თანა. ამინ!“ (2 კორ. 13, 13).

*კათოლიკოს-პატრიარქი ილია II;  
25 დეკემბერი, 1977 წელი, სვეტიცხოველი*

უფიდეისა და უნეტარეის, სრულიად საქართველოს  
კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის  
პირველი საშობაო ეპისტოლე

საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ყოვლადსამღვდელო მწყემსთამთავრებს, პატრიოსან მღვდლებს, ღირსეულ მღვდელმონაზვნებს, ქრისტეს მიერ დიაკვნებს, ყველა პატრიოსან მსახურს ეკლესიისას. ჩვენს სამ-

შობლოში და უცხოებაში მცხოვრებ ქართველ ხალხს, კეთილმორწმუნე მთელ სამწყსოს ჩვენსას:

მშვიდობა თქვენ ყველას და მაღლი ღვთიური დიდი სიყვარულისა, ქრისტესმიერო ჩემო შვილებო! ძველი წლის წასვლა და ახლის მოსვლა ჩვენგან მოითხოვს ერთგვარ ანგარიშს, თვალთ გადავლებას ღვთისა და ერის წინაშე. ჩვენც შევასრულოთ ეს მოთხოვნა შეძლებისამებრ: ძველი წლის წასვლით და ახლის მოსვლით ჩვენ გადავდგით კიდევ ერთი კარგი ნაბიჯი ჩვენი დიდი მომავლისაკენ. მარჯვე იყო ეს ნაბიჯი გასული წლისა, მშვიდობა სუფევდა ჩვენს ხალხში და ჩვენს მიწა-წყალზე, საეკლესიო ზარების ხმა ისმოდა ყველგან. ქართველი ხალხი შრომობდა მედგრად სხვა ძმებთან და მოყვასთან ერთად, ოფლი აწვიმდა მიწას და დაზგებს, მაგრამ ეს ოფლი იყო არა ჭირის და იძულების, არამედ ღვთისა, ეს ოფლი იყო ნაბიჯი წინ – არჩეულ გზაზე.

სკოლები და ინსტიტუტები ზრდიდნენ შვილებს ჩვენი ქვეყნისა, საზღვრებს იცავდნენ თავდასხმისგან ჩვენი შვილები... მეცნიერება მიიწევდა სინათლისაკენ, კეთდებოდა ყველაფერი ის, რაც სჭირდება ძმობას, სიყ-



ვარულს და აღმავლობას. ასეთი იყო ჩვენი ძველი კეთილი წელი. ახლა ახალი წელი გვარგუნა ღმერთმა ნათლისამ და სასოებისამ. კვლავ გველოდება გაზაფხული შრომისა და აყვავებისა. მე ვისურვებთ, ჩემო სულიერო შვილებო, დიდ ძალოვანებას თქვენი სული-სა და ხორცისას, რომ კიდევ მედგრად გადადგათ თქვენი მაღლიანი და შეუპოვარი ნაბიჯი კაცობრიობის უკეთესი მომავლისაკენ. მე ვისურვებთ, ჩემო ღირსეულო თანამორწმუნენო და თანამემამულენო, ნათელ გონიერებას, რომ თქვენი ფიქრი არ განშორდეს მშვიდობაზე ზრუნვას, ვინაიდან მშვიდობის გარეშე ოფლიკი არ იღვრება სასიცოცხლო დოვლათის დასაგროვებლად, არამედ სისხლი და მწუხარება ყველაფერი იმის წარსაწყმედად, რასაც აგროვებს გარჯისა და მშვიდობის წლები.

უფალი ჩვენი და ღმერთი ჩვენი, იესო ქრისტე, მშვიდობისა და სიყვარულის გზით მოგვიწოდებდა მუდამ სიარულს: „რამეთუ ესე არს მცნება ჩემი, რაათა იყვარებოდით ურთიერთარს, ვითარცა მე შეგიყვარენ თქვენ; უფროდსი ამისა სიყვარული არავის აქუს, რაათა სული თვისი დადვას მეგობართა თვისთათვის“ (იოანე, 15, 12-13).

მე ვისურვებთ, რომ მარად გულში გქონდეთ ეს „მცნებაჲ“ ჩვენი ღმერთისა და მაცხოვრისა. მე შევთხოვ უფალს, რომ მწუხარება და შეშფოთება კი არ მოფენოდეს ჩვენს მშობლიურ მიწას ამ ახალ წელს, არამედ დიდი სათნოება, სარწმუნოება და სიყვარული. მე ვუსურვებ ჩვენს მხნე, სისხლსავსე ახალგაზრდობას, რომ მთელი აზრითა და მონდომე-

ბით გაჰყოლოდეს სწავლისა და განათლების გზებს და ბილიკებს, ვინაიდან უსწავლელისათვის ძნელი არის აზრის ამოცნობა იმ სისავსისა, რომელიც შექმნა შემოქმედმა თავისი განუზომელი ძლიერებითა და უკვდავი მარჯვენით და რომელსაც დღეს ჩვენი მატერიალური სამყარო წარმოგვიდგენს ჩვენთვის.

მე ვუსურვებ ცხოვრების სარბიელზე გამოსულ ჩვენს ჭაბუკებსა და ქალიშვილებს, რომ მომავალ წლებში შექმნან პატიოსნებითა და სიყვარულით აღსავსე ოჯახები; ნუ დაივიწყებთ, რომ სიყვარული პატიოსნების გარეშე არ არსებობს და პატიოსნება უსიყვარულოდ ობლის ხვედრს იტანს, ოჯახის შექმნას კი ერთიც სჭირდება და მეორეც, სიყვარულიცა და პატიოსნებაც.

მე ვუსურვებ ყველა მორწმუნესა და არამორწმუნეს, რომ შრომა და ურთიერთ-სიყვარული ყოფილიყოს უპირველესი წყარო მათი ბედნიერებისა. ნუ დაივიწყებთ, ჩემო სიყვარულო, ქრისტესმიერო შვილებო, რომ სიამაყეს, სხვის დაჩაგვრასა და სიმდიდრის მოხვეჭას განდიდება არ მოაქვს ადამიანისათვის: „რამეთუ ეგევითარნი უფალსა ჩვენსა იესო ქრისტესა არა ჰმონებენ, არამედ თვისსა მუცელსა, და ტკბილად მეტყუელებითა მით და კურთხევითა აცთუნიან გულნი უმანკოთანი“ (1. რომ. 16, 18). თქვენ თავმდაბლობა განგადიდებთ, სიყვარულისა და ურთიერთპატიების უმანკო გრძნობა ამაღლებს თქვენს სულსა და პატიოსნებას. ესეც გახსოვდეთ, რომ პირველი მაგალითი თავმდაბლობისა და სიყვარ-





ულისა ადამიანებს მაცხოვარმა ჩვენმა უჩვენა, როდესაც თავისი ჯვარცმის წინა დღეს მასთან მყოფ მოწაფეებს თვისას ფეხები დაბანა.

მე ღმერთსა ვთხოვ უცხოობაში მყოფ ჩვენს თანამემამულეთა სიცოცხლესა და ბედნიერებას. ვუსურვებ, რომ მისცემოდეთ მათ სურვილი და ღვთიური მადლი სამშობლოში დაბრუნებისა, ვინაიდან „სამშობლო, დედის ძუძუა, არ გაიცვლების სხვაზედა“ (რაფიელ ერისთავი).

მაშ, ამაღლით რწმენით, სიკეთითა და პატიოსნებით, ჩვენი ერის ტკბილო შვილებო! შევსთხოვთ უფალს, რომ მოიბრუნოს ახალმა წელმა ჩვენი ხალხისა და სამშობლოსათვის ახალი სიბრძნე და ენერგია, ახალი წინსვლა, ახალი წყაროები და ნაკადულები აღმავლობისა, ახალი ზვრები და ბაღნარები, ახალი სკოლები და განათლების

კერები, ახალი სითბო, ახალი სიტკბო, ახალი სუნთქვა სასოებითა და აღმატებით.

ღმერთი ხომ იცვლის ყველაფერ გარეშემოს, როგორც სამოსს და თავად კი წლები არ აკლდება; ასევე თქვენც ახალ წელში ყველაფერი ძველი და უვარგისი თქვენი შრომის შედეგად ახლით და უკეთესით შეგეცვალოთ, ჩემო საყვარელო სამწყსოვ, თქვენ კი გაზრდილიყოთ, გამრავლებულიყოთ და წლები არასოდეს არ მოგკლებოდეთ, ღვთის წმიდა სულით უკვდავებამონიჭებულებს.

დიდება და მზევრძელობა საქართველოს სამოციქულო ეკლესიას, სარწმუნოებას. შრომის, სიყვარულისა და სიკეთის გზით წინ – უკვდავებისაკენ, ღვთისმშობლის ზვედრი ჩვენი კურთხეული მიწის შვილებო!

„მადლი უფლისა ჩვენიცა იესო ქრისტესი თქვენ ყოველთა თანა, ამინ!“ (1. რომ. 16, 24).



## გზა უღაბნოზე გადიოდა...

ციცაბო გზა კლდეებში 2300 მეტრის სიმაღლეზე ადის. წმინდა მოსეს მთა ან, როგორც მას ეძახიან, „წმინდა მწვერვალი,“ წმინდა ეკატერინეს მონასტრიდან სამხრეთით მდებარეობს. მისკენ ორი ასასვლელი მიემართება, რომელთაგან ერთი კლდეში გამოკვეთილი ოთხი ათასამდე საფეხურია, ბერების მიერ VI საუკუნეში ნაკვეთ-ნაშენი. ეს სალი კლდეები იმდენად მაღალი და ძნელად ასასვლელია, რომ ყოველ კვირას, ასვლის დროს, 2-5 ადამიანი კვდება. „ვერ აღიან, გული ვერ უძლებს, სიცხეც ძალიან მოქმედებს,“ – გააფრთხილეს საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ადგილობრივმა ბერებმა.

„გაიხადე ფეხზე, რადგან ადგილი, რომელზეც დგახარ, წმინდაა,“ – მოესმა მოსეს უფლის ხმა.

ამ წმინდა ადგილზე ფეხშიშველი იდგა ახლა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი და ასე შეუდგა კლდეში გამოკვეთილ, ნახევარი მეტრის სიმაღლის, ოთხი ათას საფეხურს სინას მთისაკენ...

უღაბნომ გაუხსნა თავისი იღუმალი კარი კლდოვან საფეხურებზე ფეხშიშველა მიმავალ სრულიად საქართველოს სულიერ წინამძღვარს.

არად შერაცხა სიძნელე გზისა, არცა სიმკაცრე ბუნებისა და განთიადზე თანმხლებ პირებთან და გამცილებელ ბერებთან ერთად იგი წმინდა მთაზე ავიდა.


ეს გახლდათ ჯერ არგაგონილი, პირველი და ერთადერთი ფაქტი საქართველოს ოცსაუკუნოვანი სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიაში. მანამდე საქართველოს კათალიკოს-პატრიარქთაგან ფეხი არავის დაუდგამს სინას მთაზე, რომელიც იყო და მარად დარჩება წმიდათაწმიდა ადგილად ქრისტიანთათვის.

სულ წვერზე დგას წმინდა სამების

სახელობის ტაძარი. აველით, ღვთის შეწევნით, – იგონებს კათალიკოს-პატრიარქი, – რომ მივუახლოვდით იმ წმინდა ადგილს, ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს მთელი საქართველო ამოვიდა ჩემთან ერთად ამ წმინდა მთაზე და ლოცვად დადგა. მაღლობა შევწირე უფალს ჩვენი ერის სახელით ყველაფრისათვის: იმისათვის, რომ მოგვცა ჩვენი ენა, ჩვენი რწმენა, რომ ჩვენ დღესაც ვარსებობთ. შევავედრე ჩვენი ეკლესია, მთელი ქართველი ერი, განსაკუთრებით კი – ახალგაზრდობა, ჩვენი ბავშვები, მშობიარე დედები, ყველანი.

ისეთი მაღლი და ძალი, რომელიც აქ ვიგრძენი, არ განმიცდია არსად ჩემს ცხოვრებაში.

ლოცვა, რომელიც მე ვთქვი, ცოდვილმან მბაბლმან იღია მეორემ, კათალიკოს-პატრიარქმა სრულიად საქართველოდა, წმინდასა სინას მთასა ზედა, სადაც მოსე წინასწარმეტყველმან ღმრთისაგან მიიღო ათი მცნება:



სინას მთის მაყვლოვანი



### ყოვლადწმიდა სამების ხატი

„მამაო ჩვენო, – ღიღება შენდა!  
 ძეო ღმრთისაო, – ღიღება შენდა!  
 სულო წმინდაო, – ღიღება შენდა!

ყოვლადწმინდაო სამებაო, ერთარსებაო, შემოქმედო და გამგებელო ორსავ სამყაროთაო, – ღიღება შენდა!

ვითარ ვსთქვა ქება მე უღირსმან და გლახაკმან შეპკობად შენდა; გონება ჩემი და გული ჩემი ვერ შემძლებელ არს გამოთქმად ღიღებისა შენისა, გარნა გვედრი: მიითუალე იგი, ვითარცა უმეცარი სიტყუა ყრმისა მშობლისა მიმართ. ბაგითა ჩემითა მით ცოდვითა, ღმერთო ჩემო, შენ შეგლალადებს ერი ჩემი, შენ მიერ შეყვარებულნი.

უფალო ჩემო, შენ გიგალობენ სერაფიმნი და ქერუბიმნი, მთავარანგელოზნი და ანგელოზნი, ურიცხვნი ძალნი ზეციურნი. მე რა ვთქვა, როგორ შეგასხა ქება? ან რა საქმენი გიჩვენო, ოდეს ღვაწლითა თვისითა განბრწყინდნენ წინასწარმეტყველნი, მოციქულნი, მოწამენი, მღვდელმთავარნი, ღირსნი მამანი და ყოველნი სხვანი წმინდანნი შენნი?

ვითარ სახელ გსდვა? არა ვუწყი. დამიდუმ-

და ენა ჩემი წინაშე ღიღებისა შენისა. ვიცი ოდენ, რომ ჩვენთან ხარ და არა განგვეშორები, რომ ხარ დაუსაბამო და უსასრულო სიყვარული, რომ თბილა შენთან და გარეშე შენსა არა არს ცხოვრება ჩვენი.

წმინდაო, წმინდაო, წმინდაო უფალო საბაოთ, სავსე არიან ცანი და ქვეყანანი ღიღებითა შენითა!

ღიღებაჲ შენი, ვითარცა სიყვარული შენი, დაუტევნელი შენში, ეფინება ყოველსა ქმნულსა შენსა; და ჩვენ მდაბალნი, ზიარებულნი მადლსა შენისა ღიღებისასა, ვმალღებით, უფალო, ვიწმინდებით, მამაო ჩვენო.

მსგავსად წმინდისა მამისა ჩვენი-სა იოანე ოქროპირისა, მე, ცოდვილი მონა შენი, ილია II, ყოველთა ქართველთა სახელით ვხმობ: „ღიღება

და მადლობა შენდა ყოველისათვის.“ გაღიღებ შენ, რომელი ყოველგან ხარ, რომელი ხარ ჩვენთან და რომლისა წიაღშიც ვართ ჩვენ. გაღიღებ შენ, რომელმან სავანედ თვისსა აღირჩიე გული ჩვენი და მუნითგან გვსწავლი და გვწურთნი, ვითარცა ასწავებდი მოსეს და ელიას ქორების წმინდასა მთასა ზედა.

გაღიღებ შენ და გმადლობ შენ, მოწყალეო, რამეთუ გვქმენ მსგავსად შენდა, რამეთუ მოგვანიჭე ენა ქართული და რწმენა ჭეშმარიტი, სიყვარული ღმრთისა და სიყვარული მოყვასისა, მოგვფინენ ნათელი გონებისა და ჭეშმარიტება მეცნიერებისა!

გარნა რაჲ არს ჭეშმარიტი? ადამის მოდგმა დასაბამიდან ეძიებდა მას. ერნი მრავალნი, ჩვენზედ ძლიერნი, მოსწყდნენ და აღიზოცნენ პირისაგან მიწისა მის ძიებაში. ჩვენზედ მოიღე მოწყალეობა, სახიერო, და გამოგვიცხადე თავი თვისი. და ოდეს კაცობრიობას მოუვლინე ძე შენი საყვარელი, უფალი ჩვენი იესო ქრისტე, შენის კურთხევით, შენის წყალობით ერმა ჩემმა ისმინა მისი, შეისის-ხლხორცა მცნებანი მისნი შენგნით ბოძე-

ბულნი; სიყვარულით იტვირთა უღელი მისი ტკბილი და ტვირთი მისი სუბუქი. ამისთვის გმადლობთ შენ, რამეთუ მოძღვრავდი და მოძღვრავ ხალხსა ჩემსა, ატარებ რა მას გზითა მით შენითა იწროათა, ვითარცა ატარებდი ერსა ისრაელისასა უდაბნოთა შინა.

გმადლობთ, მამაო უფალო, რამეთუ გვრწამს და აღვიარებთ სულოსა წმინდასა, შენგნით გამოძვალსა; სულოსა, რომელი ყოველგან არს და ყოველსავე აღავსებს მადლითა შენითა; რომელი არს უძლეურთა მკურნალი, დაცემულთა საყრდენი,

თაყვანის-ცემად დიდისა სიწმინდისა მისისა.

„ითხოვდით და მოგეცეთ თქვენ, ეძიებდით და ჰპოვოთ. ირეკდით და განგელოს თქვენ“, – ბრძანებს მაცხოვარი და იტყვის ესე: „რამ იგი სთხოვოთ მამასა ჩემსა სახელითა ჩემითა, მოგცეს თქვენ“. მამაო სახიერო, გვევლერები სახელითა ძისა შენისადათა, ნუ განეშორები ერსა ჩვენსა შეცოდებათა გამო ჩვენთა; მოგვიძიენ, ვითარცა მამაო მოიძიებს ძესა თვისსა წარწყმედულსა; შეგვინდე ურწმუნობაჲ, გულფიცხოებაჲ, ამპარტავნებაჲ,



ნაკლულევანთა სრულმყოფელი. გმადლობ შენ, წმინდაო სამებაო, აღმავსებულო ჩვენო ძლითა შენითაო!

და კვალად გმადლობ შენ, ღმერთო ჩემო, იმ მრავალთა წყალობათათვის, რომელნი გარდამოავლინე თავსა ზედა ჩემსა, რომ მე დამადგინე მოძღვრად ერისა შენისა ივერისა. ხოლო დღეს მონა შენი ცოდვილი ღირს-მყავ ხილვად წმინდისა მთისა ამისა და

შური და ვერცხლისმოყვარებაჲ; გეაჯებით, აღზოცენ ცოდვანი ჩვენნი და განკურნე სულნი ჩვენნი ვნებულნი. მოგვმადლე სარწმუნოებაჲ ჭეშმარიტი, სიყვარული უძლეველი, ძალი წყლისა და ძლიერებაჲ ცეცხლისა, აღგავსე მადლითა ყოვლადწმინდისა სამებისა. სარწმუნოებასა და სიყვარულსა შინა შენსა განამტკიცე მთავრობა ჩვენი; გვაკურთხე მშვიდობითა, უფალო, მოგვეფინე

სული სიწმიდისაჲ, თავმდაბლობისაჲ და მოთმინებისაჲ.

განამრავლენ შვილნი და შვილთა შვილნი ჩვენნი, გული წმინდაჲ დაბადე მათ შორის, სული წრფელი განუახლე გვაჲსა მათ შინა.

აკურთხე გვირგვინი ქორწინებულთა და სიყვარულითა განამტკიცე კავშირი მათი, ცოდვანი სიჭაბუკისა და უმეცრებისანი შეუნდე და ნათელ-ჰყავ მომავალი მათი.

სრულასაკოვანთა მიჰმადლე გული ბრძენი და მოწყალე, გონება საღი, რათა გიცნან შენ და აღასრულონ ნებაჲ შენი.

მხცოვანთა წელნი აკურთხენ სიმშვიდითა. განამრავლენ მოდგმა მათი; ცხოვრება მათი სათნო-ჰყავ, რათა უმფოთველად შეერთონ საუკუნეთა.

გვედრები, უფალო, განუნათლე გონება მეცნიერთა, მწერალთა და ხელოვანთა

ჩვენთა; დალოცე საქმე მათი, რათა იქმნას ნაღვაწი მათი საკეთილოდ ქვეყნისა, რათა შრომითა თვისითა გემსახურონ შენ, ემსახურონ ერსა შენსა ივერიისასა.

დალოცე ჩვენი მშრომელი ხალხი, ყოველი მაშვრალი და ტვირთმძიძე, ჩვენთა დიდთა წინაპართა რწმენა, სიყვარული და სიწმინდე მიანიჭე მათ.

ღმერთო, განამტკიცე და განაძლიერე ჩვენი წმინდა სამოციქულო ეკლესია და მღვდელმსახურნი მისნი, ჰყვენ ივინი ნათელ ერისა, აღადგინე ტაძარნი და მონასტერნი ჩვენნი და შეგვკრიბე საფარველსა ქუეშე შენსა.

გარნა რა გთხოვო, უფალო, მათთვის, რომელნი უარგყოფენ შენ, რომელნი ვლენან გზასა ცთომილთასა? გეაჯები, შეიწყალენ ივინი, მოაქციე და მრევლსა შენსა შეუერთე, „რათა იყოს ერთ სამწყსო და ერთ მწყემს“.



სინას მთა. წმიდა ეკატერინეს მონასტერი

მერმეცა გევედრები, ღმერთო, რათა მოიხსენო სასუფეველსა შენსა სულნი ქართველთა მოღვაწეთა სინას მთისათა; გევედრები, რათა მოიხსენო მეფენი და დედოფალნი ჩვენნი, მამამთავარნი, კათოლიკოს-პატრიარქნი, სამღვდელო და სამონაზვნო წესით აღსრულებულნი, პატიოსანი შრომით დაღლილნი, აღმაშენებელნი ტაძართა და მონასტერთა, ბრძოლის ველზე მოწყვეტილნი და ყოველნი შვილნი შენნი ქართველნი. დალოცე სავანენი ზეციურისა საქართველოჲსა, შეუნდე შეცოდებულთა და იხსენ ტანჯვისაგან, მოჰფინე მათ ნათელი შენი და სიყვარული შენი.

მუხლმოდრეკილი აღვაგლენ ლოცვებს, უფალო, მშვიდობისათვის სოფლისა, რათა სუფევდეს ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაც-

თა შორის სათნობა. მამაო წმინდაო, გეაჯები, შეისმინე ლოცვისა ჩემისაჲ და დაგვიფარენ ჩვენ!

დასაბამო და მიზეზო ყოვლისაო, არსთგამრიგეო, სავსე დიდითა წყალობითა შენითა, კვალად ვხმობ: „დიდება შენდა, უფალო, დიდება შენდა! დიდება შენდა შემოქმედო ჩვენო, მწყალობელო ჩვენო, დიდება შენდა! დიდება შენდა, ღმერთო ერისა ჩვენისაო, რომელმან დასწერე სახელნი ჩვენნი წიგნსა მას ცხოვრებისა კრავისასა!“

„მე ვარ ანი და ჰოე, იტყვის უფალი ღმერთი, რომელი არს და, რომელი იყო და, რომელი მომავალ არს, ყოვლისა მპყრობელი“ (გამოცხ. 1,8). მოვედ ჩვენთან, უფალო, და გვაცხოვნენ ჩვენ, ღმერთო ჩვენო, ამინ!“

1984 წელი.

*„ილია II სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი პირადი წერილები, ჩანაწერები, ფოტოები“. ტომი I*

## ამონარიდები პატრიარქის ძაღაბეგებიდან

მრავალმა ჩვენგანმა არ იცის, საიდან წარმოიშვა ეს მიმართვა: „ჩვენთან არს ღმერთი. იგი ბიბლიიდანაა და ებრაულად გამოითქმის „ემანუელი;“ ანუ ემანუელი ნიშნავს „ჩვენთან არს ღმერთი“ და მე არ მეგულება არც ერთი ქვეყანა და არც ერთი ერი, რომ ასე მიმართავდნენ ერთმანეთს. ეს მისაღებია, – „ემანუელი,“ – ჩვენთან არს ღმერთი – უნდა შევინარჩუნოთ, იგი გვაძლევს ძალას და მადლს; ეს გვაძლევს სიყვარულს.

ჩვენ ბევრს ვფიქრობთ სიყვარულის შესახებ, ბევრს ვლაპარაკობთ სიყვარულის შესახებ, მაგრამ ბოლომდე არ გვესმის, რა არის სიყვარული. სიყვარული არის სხვებისთვის ცხოვრება. არის ადამიანი, რომელიც თავისი თავისთვის ცხოვრობს, არის ადამიანი, რომელიც ოჯახისთვისაა, მაგრამ

არიან ადამიანები, რომელნიც ცხოვრობენ ხალხისთვის, მოყვასისთვის და არა თავისი თავისთვის. ეს ყველაფერი ღვთის მადლით ეწირება მას და სამაგიეროს ღებულობს სააქოსაც და საიქიოსაც. ამიტომ არის ნათქვამი: იხარეთ ორსავე სოფელსა შინა!

\* \* \*

„ვიდრე დედამიწა და კაცობრიობა იარსებებს, სიკეთე და ბოროტება, მწუხარება და სიხარული, სასოება და იმედის გაცრუება, ომი და მშვიდობა ყოველთვის გვერდიგვერდ იქნება, რადგან პიროვნებაში ბნელი საწყისის მთელი ძალაა დაფარული და მასშივეა მთელი ძალა ნათლისა“ (შელინგი). დღეს ჩვენი ქვეყანა ნათელსა და ბნელს შორის ბრძოლის ასპარეზია. დიდი მსხვერპლი

იქნა გაღებული, მაგრამ, მადლობა ღმერთს, უფლისა და მრავალრიცხოვან წმიდანთა შეწევნით ბოროტების არტახებისგან თანდათან ვთავისუფლდებით. ეს ყოველივე უნდა გაგვევლო, რადგან ჩვენი ცხოვრებით დავიმსახურეთ იგი.

\* \* \*

რა არის სინანული? – სინანული განმწმენდია, განწმენდის გარეშე კი ვერ მივუახლოვდებით ღმერთს.

სინანული, უპირველეს ყოვლისა, საკუთარ სულში ჩაღრმავებაა, ეს არის სწრაფვა სულისა, აღიქვას საკუთარი თავი ისეთად, როგორც იგი სინამდვილეშია, შეიცნოს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები.

ჩვენ კი ხშირად თვალს ვარიდებთ ჩვენს

სულში დაბუდებულ უარყოფით თვისებებს, და თუ აღმოვაჩინთ ხოლმე მათ, ადამიანური სისუსტით ვამართლებთ. ასეთი განსჯა არასწორია და აშკარა დაღუპვისკენ გვიბიძგებს.

შენ არათუ უნდა ხედავდე შენში არსებულ ცოდვას, არამედ უნდა გპულდეს იგი და ებრძოდე, ხოლო თუ ცოდვა არ გაღელვებს და დაუმეგობრდი მას, მაშ, იცოდე, სული შენი განსაცდელშია და მარადიული სიკვდილის საფრთხე ემუქრება.

სინანულის გამოვლენის მეორე საფეხურზე ადამიანი ცხოვრების შეცვლის გადაწყვეტილებას იღებს. ცხოვრების შეცვლა! სათქმელადაა ადვილი, ხოლო განხორციელება მისი მეტად ძნელია.

უპირველეს ყოვლისა, უფალს გონების განკურნება და ჩვენი ფიქრის სიკეთისკენ წარმართვა უნდა ვთხოვოთ, რადგან აზროვნებაზე მეტად ბევრი რამაა დამოკიდებული. ცოდვა ხომ ჯერ გონებაში იბადება და თუ მას თავიდანვე არ შევებრძოლეთ, გულში გადავა და მთელ ჩვენს არსებას მოედება.

ჭეშმარიტი სინანული კი ადამიანის არა მარტო აზროვნებას, არამედ მოქმედებასაც ცვლის.

თითოეულ ჩვენგანსა და მთელ ერში სინანულმა უნდა გაიდვიდოს. სინანული აუცილებელია არა მარტო ჩვენთვის, ქართველებისთვის, არამედ ყველა ხალხისათვის. მის გარეშე ერიც და ქვეყანაც სულიერად კვდება, ფიზიკურად აღიგვება პირისაგან მიწისა და მოისპობა, ვითარცა სიცოცხლის ხისთვის უვარგისი, გამხმარი ტოტი. სინანული გადარჩენაა, რასაც მრავალი მაგალითი გვიდასტურებს.

\* \* \*

უფალი ჩვენგან არაფერს ითხოვს, ოღონდ ჩვენივე გადარჩენისთვის გვთავაზობს, ჩავჭიდოთ ხელი მის მხსნელ





საქართველოს იმედის ხატი

მარჯვენას და ჩვენი გული და სული მისკენ მივმართოთ, რათა ღვთის მაღლით ცოდვის ჭაობს განვეშოროთ და შიგ არ დავინთქათ. ამ სასწაულთა სასწაულს ვზეიმობთ ახლა. ამიტომაც სიხარულითაა მოცული დედამიწა; ჩვენს გამო ხარობს ყოვლადწმიდა სამება და ანგელოზთა დასი, რადგან ხორციელი სიკვდილი აღარ არის მხოლოდ ჯოჯოხეთის კარიბჭე, არამედ იგი მორწმუნეთათვის წარუვალ ნეტარებაში აღმყვანებელ საშუალებად იქცა. ამიერიდან ესა თუ ის პიროვნება ან ეშმაკისა და მისი ანგელოზების ხვედრი შეიქმნება და მარადიული ტანჯვისთვის

გაიწირება, როგორც ეს ადრეც იყო, ანდა უფლისა და ანგელოზთა წიაღში დამკვიდრდება. სხვა არჩევანი არ არსებობს. ბუნებრივია, ყველას სამოთხეში დამკვიდრება სურს, მაგრამ ეს უშრომლად არ მიიღწევა; მთავარია, ჩვენი ცხოვრების მიზნად სხვისთვის მსახურება დავისახოთ, რომ ქრისტეს მიმბაძველნი გავხდეთ. პაისი ათონელი წერს: „თუ ადამიანი არ ფიქრობს მეორე ადამიანზე, არ გამოდის თავისი „მე“-დან და გამუდმებით თავისი თავის გარშემო ტრიალებს, ის იმ ღერძს მიღმაა, რომელიც ქრისტეა.“

## შვილო ილიკო, გლოურავ, იღლეგრძელიე ჩემს იმედად!

გილოურავ ახალ ნელს და მომავალ შობას: ვევედრები დედა ღვთისას, მრავალს დასწრებოდე სულის და ხორცის ჭანმრთელოზით და ნარმატებით. დედ-მამა და ძვირფასი ნათესავები გირეჩლოს.

კვირას და შობას ხალხს მიულოე ჩემს მაგივრად ისე, როგორე შენ გილოურავ – ამზიონიდან ვადაერი – სახარების ან როდესაე შეამჩნიო, ხალხის მოსვლის დროს. კრებულს გლოურავთ ყველას, იღლეგრძელიეთ, რხონდიო!

ილიკო, ვინიროზა ბინისათვის, ფეჩისათვის, შემისათვის მიძას დასჭირდეს გროშები



უწმიდესი ეფრემ II და მეუფე ილია

– გთხოვ, თუ შენ ვაქვს, ასესხო და თუ არ ვაქვს – შენი სახელით ივდიოს ესესხე და მე, ალბათ, უნდა ამოვიდე 10-14 დღეში და აქედან ნამოვიღებ... თუ ისესხო, ქალბატონ ივდიოს ბარათი მიერი. თუ ასესხო, მე მარნობე. ვინიროზა მე დამავიანდეს ამოსვლა, თვითონ მიძა უნდა ჩამოვიდეს ოჯახის წასაყვანად და მას გამოვაცხან. ასე, ჩემო ილიკო, კვლავარ გლოურავ და გისურვებ კეთილად ვაჭარო შენი ჭიელოზა, ხანში შესულობაში უხვად დაგაჭილოდოოს მონყალო ღმერთმა და ჩემთვისაე ერთი ჩალა სანთელი არ დაგვინყებოდეს ასანთებად: – „რასაე დასთესავ, იმას მოიძიო!“

შენი კათოლიკოს-პატრიარქი ეფრემი.

29 დეკემბერი, 1961 წელი

თბილისი

## შვილო ილიკო!

შენი წერილი მივიღე, დიდი მადლოზელი ვარ ჩემი დავალოების ჩინებულად შესრულოებისათვის...

გლოურავ, გეხვევი, გკორნი.

შენი კათოლიკოს-პატრიარქი ეფრემი.

23 სექტემბერი, 1962 წელი

დედაქალაქი



გინერ ახლო წერილს, დღეს კიდევ მოგილორავ შობა-ახლო წელს, ჩემი გულო და სულო. მრავალს ამ შედნიერ დღეებს დაესნარ მშვიდობით და განარებით, ჭან-მრთელოობით, დიდხანს სიწოქელით... მინდა, რომ კიდე ვიწოქელია და შენ ვიყურა და უთყოფ შენი ფიქრი ჩქარა მომსაზომს. ჩვენ კარგად ვართ, ჩვენი დარდი ნუ გექნება, მარტო შენ იყავ კარგა და მშვიდობით, გენაყვალე, აი, ეგ იქნება ჩვენი სიწოქელია და ჩვენი განარება. მოკითხვა ყველას, შენს კეთილ ხალხს და შენს ერთგულ ხალხს. ეკლესიაში გადაური ყველა შენს კეთილს ხალხს ჩემი მოკითხვა... ეხლას კი კარგად მექენ. ვთხოვ, იესო ქრისტეს, ღვთისმშობელს, რომ იყვენენ შენი მფარველნი და დავიხსნან ავი საქმისაგან, ჩემი შვილო.

ღეღა



პატრიარქის მშობლები – გიორგი და ნატალია, ძმები – თეიმურაზი, შოთა და ვიქტორი

სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმინდისათა. მოკითხვა და გამარჯვება მამა ილიას, ან ჩემს შვილს ირაკლისა. ყოვლადშემძლეებელს ღმერთსა ვსთხოვთ შენს ჭანმრთელად სიწოქელეს, რომ შენი გული იყოს მუდამ განარებული. ამაღამ წმინდა ნინოობაა, შეგენიოს და დავებმაროს. ირაკლი, ჩვენი დარდი ნუ გექნება, ჩვენ სუყველანი კარგად ვართ. ვიმეორებ, ჩვენ არაფერი გვიჭირს რა, შენ გადი იოლასა, იყავი კარგა, ღმერთი იყოს შენთან მუდამ. ჩვენს ნუთისოფელში წხოვრება სიზმარია. გნერს გაგაი, კიდავ და კიდავ ღმერთი იყოს შენთანა.

მამა



უწმიდესი ეფრემ II და იღუმენი ილია სამთავროს დედებთან ერთად. იღუმენი ილიას მარჯვნივ მისი ნათლია იღუმენია ზოილე



## მწყმისმთავრობა თქვენი, უწმიდესო, მრავალშამიერ!

გულითადად ვულორავ მის უნმიდესობას, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, ილია II-ს აღსაყდრებიდან ორმოცი და დაბადებიდან ოთხმოცდახუთი წლის იუბილეს!

განუსაზღვრელია მისი ღვანლი დედა ეკლესიისა და საქართველოს წინაშე. უნმიდესმა აალორძინა ან თავიდან დააფუძნა საეკლესიო რწოვრების პრაქტიკულად ყველა მიმართულება. მინდა მას მადლობა გადავუხადო ასევე პირადად ჩემი და ჩემი ოჯახის წინაშე განეული მამობრივი ღვანლისთვის. უნმიდესს საოჯარი თვისება აქვს: ვისაჯ ერთხელო მაინჯ შეხვედრია, ნარუშლელო კვალს ცოკვებს მის რწოვრებაში. დიდი ნიჭი აქვს სიყვარულისა და ადამიანებთან ურთიერთობისა. ჩემი ეკლესიაში მოსვლის დღიდან ყველა რთულო რწოვრებისეული მომენცში ვგრობობდი მის მწრუნველობას, მფარველობას და ლოოჯვა-კურთხევას. განსაკუთრებით მახსენდებ სიონის საკათედრო ცაძარში ჩემი მღვდლად კურთხევის დღე. დაყვინყარი ნუთები იყო, როდესაჯ თვალურემლიანი პატრიარქი საიდუმლო ლოოჯვებს კითხულობდა. მისი შემყურე თავად-აჯ იმავე მდგომარეობაში გახლოდი. ამა წლის გიორგობას, როდესაჯ ჩემი მოსაყდრედ დანიშვნა მაყნყა, მისი შემგონება, თითოეული სიცყვა და დალოოჯვა ნარუშლელია ჩემი გულიდან და გონებიდან...

ჩვენს ძვირფას მამას და პატრიარქს ვყსურვებ დღევრძელობას, დიდხანს სიჯოჯხლოეს, მრავალო სიხარულოს, სულიერ და ფიზიკურ ძალოს. ღმერთმა ინებოს, რომ მისი წინამძლოლობით მოვესწროთ ჩვენი ერის გამთლიანებას!

*საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის  
მოსაყდრე სენაკისა და ჩხოროწყუს  
მიტროპოლიტი შიო (მუჯირი)*





ვულორავ უნმიდესს საიუნი-  
ლო თარიღებს. ძალიან ბევრი  
რამ გადაიჭანა უნმიდესმა ამ  
40 წლის განმავლობაში. მად-  
ლომა ღმერთს, რომ სწორი  
გზით გვატარებს. მადლო-  
მა ღმერთს, რომ ზოლო უამს  
დაემთხვა მისი მოღვაწეობა  
და ახლარ განსაკუთრებულად  
საჭიროა, ყური ვუგდოთ მის  
თითოეულ სიტყვას. ღმერთმა  
დიდხანს გვიროცხლოს ჩვენი  
პატრიარქი!

*ნეკრესელი მიტროპოლიტი  
სერგი (ჩეკურიშვილი)*



უდიდესი მოკრძალებით, პატივის-  
 ქებიტა და სიყვარულით ვულორავ  
 მის უნმიდესობას და უნეტარესო-  
 ბას, სრულიად საქართველოს კათო-  
 ლიკოს-პატრიარქს, მცხეთა-თბილისის  
 მთავარეპისკოპოსს, მიტროპოლიტს  
 ბიჭვინთისა და ქუშმ-აფხაზეთისას,  
 ილია II-ს, საიუბილეო თარიღებს!

თქვენო უნმიდესობავ, დიდია თქვე-  
 ნი ღვანლი ქართველი ერის წინაშე.  
 ისტორიის მანძილზე საქართველოს  
 მრავალი მძიმე დღე უნახავს, მაგრამ

უფალი შეჭირვების უამს მიუძლოდა  
 ჩვენს ერს და იმ დროსაჯ, როდესაჯ  
 კომუნისტური ათეიზმი მძიმედ დაან-  
 ვა საქართველოს, ღმერთმა თქვენ  
 გამოგარჩიათ, რათა უფლისკენ გას-  
 ძლოლოდით, მოგებეჭათ ნდობა და  
 სიყვარული საქართველოსი და არა  
 მხოლოდ საქართველოსი.

შევთხოვ უფალს, რათა მოგანიჭოთ  
 ჭანმრთელობა და მრავალუაბიერი  
 სიწოცხლე ჩვენი ერისა და ეკლესიის  
 სანუგეშოდ და საკეთილდღეოდ!

*ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტი თეოდორე (ჭუაძე)*

თქვენო უწმიდესობავ, დიდი სიყვარულითა და მადლიერებით სავსე გულით ვილო-  
რავთ აღსაყდრებიდან 40 და დაბადებიდან 85  
წლის იუბილეს! შვეთხოვთ მონყალო  
ღმერთს თქვენს ჭანმრთელობას, თქვენს  
გვერდით ყოფნის ბედნიერებას, რომელიც  
სულიერი სიხარულია ჩვენთვის! მადლი-  
ერებას გამოვხატავთ თქვენი ღვანლი-  
სათვის, რომელითა აღწერა და დატევ-

ნა რთულია! მადლიერებას გამოვხატავთ  
სრულიად მესტიისა და ზემო სვანეთის  
ეპარქიის სახელით, თქვენ მიერ მონი-  
ჭებული მამობრივი ზრუნვისა და სი-  
ყვარულისთვის, თქვენი ლოცვა-კურთხე-  
ვით აღსრულებული მრავალი კეთილი  
საქმისთვის! ღმერთს ვთხოვთ, მოგანიჭოთ  
მრავალჟამიერი სიწოდებლე, მშვიდობა და  
სიხარული!

*მესტიისა და ზემო სვანეთის მიტროპოლიტი ილარიონი (ქიტიაშვილი)*



**უწმიდესი და უნეტარესი ილია II, მარცხნივ – მიტროპოლიტი ილარიონი,  
მარჯვნივ – ბატონი დავით სერგაქენკო და მიტროპოლიტი იოანე**

გასული საუკუნე კატასტროფული მოვ-  
ლენებით გამოირჩევა: ორი მსოფლიო  
ომი, მონარქიების დაშობა: აგრესიული  
ათეიზმის გავრცელება და ძალადობრივი  
განაცხონება რიგ ქვეყნებში, კოლონიური  
სისტიემებისა და იმპერიების დაშლა, არნახ-

ული მიერნიერულ-ტექნიკური განვითარე-  
ბა და მრავალსაუკუნოვანი ზნეობრივი  
ღირებულებების გადაფასება... ამ ფონზე  
სასწაულად მოგვევლინა ქრისტიანული  
რელიგიური ცნობიერების გაღვიძება და  
აღორძინება საქართველოში. ეს სასწა-



ული უკავშირდება საქართველოს კათო-  
ლიკოს-პატრიარქის ილია II-ის სახელს.  
ორმოცი წელი ვნებათაღელვის ზღვაში  
მშვიდად და მშვიდობიანად მიუძღვება იგი  
ქართული მართლმადიდებელი ეკლესი-  
ის ხომალდს. ძნელია, სრულად ჩამოთ-  
ვალო მისი ლოცვა-კურთხევის ძალით  
ჩვენ თვალწინ აღსრულებული საქმიეები:  
ძველი ტაძრების აღდგენა და ახლის  
აშენება; მონასტრული წხოვრების აღორ-  
ძინება; საეკლესიო განათლების სისტემის  
განვითარება; საგამომყემლო საქმიანობის  
წარმატება და საეკლესიო მედიასივრცის  
შექმნა; გარემოს დაჯვისთვის ზრუნვა და  
მოსახლეობის ჩართვა უოველოდლიურ სუ-  
ლიერ წხოვრებაში ფსალომუნთა კითხვის  
ჭგუფებისა და შვიდგზის ლოცვების სა-  
შუალოებით; ხაჭნერის, საეკლესიო ხუროთ-  
მოდღვრების, ქსოვა-ქარგვის, საეკლესიო  
ქართული გალობის აღდგენა; ზოგა-  
დად ერის შემოქმედებითი ნიჭის ჩარ-

თვა ეკლესიური წხოვრების სივრცეში და  
უოველივე ეს არასტანდარტული პოლიტიკუ-  
რი მდგომარეობის ფონზე, მთავრობათა  
და მართვის სისტემების რვაღებადობის,  
შიდა დაპირისპირებების, პროვოცირებული  
ეთნიკური კონფლიქტების მიუხედავად.

ჩვენმა პატრიარქმა პირადი მაგალითით  
გვაჩვენა როცხალი ქრისტიანული სარ-  
ნმუნოებრივი წხოვრების კეთილშობილე-  
ბა და სიღიადე, სიმშვიდის სიმტკიცე და  
მოთმინების ძალა, გონების სიფხიზლე  
და მოვლინების არსის ნვდომა, ქვეყნის,  
ერისა და ადამიანის სიყვარული. ვმად-  
ლორბთ უფალოს უდიდესი ნყალორბისათვის,  
რომელომარ უნმიდესის სახით მოგვივლი-  
ნა სულიერი წხოვრების მექვიდრეო-  
ბითი ხაზის გამგრძელებელი მომავალი  
თაობებისათვის, მძიმე დროში შემონა-  
ხული ჩვენი ეკლესიის მამების: ალექსი  
შუშანიას, შიო ძიძავას, იოანე და გიორგი  
ბეთანიელების მიერ.

*რუსთველი მიტროპოლიტი იოანე (გამრეკელი)*



ზეიშია ზეურაში და ზეიშია ივერიაში – საქართველო ზეიშოს უნშიდესისა და უნეჭარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მქებთა-თბილი-სის მთავარეპისკოპოსის, ზიჭვინთისა და რხუმ-აფხაზეთის მიჭროპოლიტის, ილია II-ის დაზადებინდან 85 და საპატრიარქო ტახტზე აღსაყდრების 40 წლის იუბილეს.

როგორც საღვთო გარდამოქცემა გვა-უნეებს, მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიის აღმშენებლობაში სრულიად განსაკუთრებული როლი და დანიშნულება ერვო საქართველოს. მარხოვრის წმიდა განგებულებით, საყუარებით აღრე თავ-ად მის მოვლინებამდე დედამინაზე, მქებ-თაში დაიმარხა წმიდა წინასწარმეტყველ ილია თეზბიტელის ხალენი, – სიმბოლო სარწმუნოებრივი სინმინდის უკომპრომი-სო დაჯვისა. მარხოვრის ჯვარების შემდეგ საქართველოში წარმოიგზავნა მსოფლიოს ყველაზე აღმატებული სინმინდე, კვარ-თი უფლისა, – სიმბოლო ყოვლაღწმიდა ღვთისმშობლისა და განუყოფელი ეკლესი-ისა. როგორც წმინდა მღვდელმონაძე კვიპ-რიანე კართაგენელი ზრძანებს, იმ ქვეყ-ნის ეკლესიას, რომელიც კვართს ინახავს, უფლისაგან მიწეშული აქვს განუყოფლო-ზის ძალა და გარწმუნებული ჩაზარდება უფალს მეორედ მოსვლის უამს. მქებთაში კვართის დაფლოვით ივერიის მინა, უფლის მიერ წინასწარგანსაზღვრული ღვთისმშ-ობლის მამულად, განინმინდა და შიქმ-ნა წმიდა მინად, მარხოვრის ამალეებისა და სულიწმინდის გარდამოსვლის შემდეგ კი, ღვთის განგებით, წილისყრის შედე-გად, ივერია გამოქხადა ყოვლაღწმიდა ღვთისმშობლის წილხვედრად.

არე ერთ ქვეყანას მსოფლიოში მსგავსი პატრივი და სინმიდე არ მინიჭებია და ქვეყანა

და მინა ესე, პატრივდებული და განწმენ-დილი უფლის კვართითა და ყოვლაღწმიდა ღვთისმშობლის მადლით და გაპოხიერებუ-ლი ასნათასობით ქართველის მონამეობრივი სისხლით, დამარხულ არს უფლის მეორედ მოსვლის უამსათვის, რათა საყოველთაო აპოსტასიის დროს მთელ მსოფლიოს უქა-დაგოს და არევენოს მართლმადიდებლობის სინათლე და ჯემმარიტება. დასტური იმი-სა, ნიშანი იმისა, რომ ივერიას ეს მისია აქვს დაკისრებული ღვთისგან და რომ ის გარწმუნდება, არის თავად საქართველოს ისტორია, რომ ჩვენმა მერიერიქოვანმა



ერმა ქრისტიანობის ძალითა და მადლით გაუძლო მსოფლიოს შემოსევებს და დღემ-დე მოვიდა, გაიარა რა უძიძესი განსარ-დებლები, როგორც ფსალმუნი ზრძანებს, როდგათა ჩვენთა გამო:

„და-თუ-უტეონ შვილთა მისთა მჟული ჩემი, და სამართალთა ჩემთა არა ვიფო-დენ, სიმართლენი ჩემნი თუ შეაბილწნენ

და მყენბანი ჩემი არა დამარხნენ, გან-  
ვიხილნე კუერთხითა უმჯულოებანი მათნი  
და გუეშითა უსამართლოებანი მათნი”(ფს.  
88, 30-32). ამიჭომარ მოინია ჩვენზე  
სამართლად სასჯელი ღვთისა: დაჯარ-  
გეთ სახელმწიფოებრიობა, შეწყდა ზაგრა-  
ტოვანთა მეფობა-დავითის ტახტი, შეწყდა  
საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია  
და შემდგომ უკვე ათეისტურ პერიოდში  
უმიძიესი მდგომარეობა შეიქმნა, ათასო-  
ბით მოქმედი ეკლესიიდან მოქმედებდა  
50-მდე, ხოლო ათასობით სასულიერო  
პირიდან მოქმედებდა 70-მდე. ასობით  
მონასტრიდან მხოლოდ რამდენიმე მონ-  
ასტერი მოქმედებდა. უკიდურესად დამძიმ-  
და მდგომარეობა ერში და საქართველო  
განირდებდა უმიძიეს სულიერ კრიზისს.

მაგრამ უფლისა და დედანღვთისმშობ-  
ლის ნყალობისა და აღთქმისამებრ, რო-  
გორც „ქართლის რხოვრება“ ბრძანებს:  
„აჲ, დედაო ჩემო, არა უგულოებელ-  
გყო ერთი იგი საზეპურო უფროდს ყოველთა  
ნათესავთა, მეოხებთა შენითა მათთვის...  
და შენ ნილო ხატი იგი შენი მკვიდრობდეს  
მრუელად მათდა უკუნისამდე ჟამთა,” და  
„რათა მე ვიყო განმეებელი რხოვრებისა  
მათისა, ხელი აღუპურა და შევენიო მათ,  
და არავინ მტერათგანი მძლე ექმნას მათ.”

ამიჭომ შეუძლოებელია ივერიის და-  
მარხება და ზუსტად ამიჭომარ „ქართლის  
რხოვრების“ სიტყვებისამებრ, „ბნელსა  
უკუნისა შინა ინყო აღმოყრისკრებად შიემან“  
და 40 წლის წინათ, 1977 წლის 25 დე-  
კემბერს, სვეტიცხოველში, უფლის განგე-  
ბით და დედანღვთისმშობლის კურთხე-  
ვით ივერიის კათოლიკოს-პატრიარქად  
იკურთხა ილია II და ივერიამ ინყო სვლას  
სულიერი მწვერვალებისაკენ. ერს გულო-  
მა უგრძობი და იმ სულიერად ნკვარამ

ღამეში სვეტიცხოველის ტაძარი, ეზო და  
მხეთის ქუჩები ხალხით იყო სავსე.

წმიდა მამები უღაბნოთა ქალაქ-  
მყოფელებად ინოდებნან.

წმიდესმა და უნეტარესმა, საქარ-  
თველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია  
II-მ ჩაბნარა ჩვენთა როდვათა გამო სუ-  
ლიერად უღაბნოდ ქრესტიანი ივერია და დღეს  
მისი ღვანლითა და ლოცვა-კურთხევით  
მსოფლიოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ  
სწო საქართველოს ეკლესიის ავტოკე-  
ფალია, ათასობით გამრავლდა სამღვდე-  
ლოება და ეკლესია-მონასტრები, აშენდა  
ათასწლეულის სამების ტაძარი; დღეს ივე-  
რიას 47 მღვდელმთავარი ჰყავს და ყველა  
პატრიარქი ილია II-ის ნაკურთხია. წმ-  
მიდესის ღვანლითა და ლოცვა-კურთხევით  
დაარსდა საპატრიარქოს ორი სასულიერო  
და ერთი სამეცნიერო აკადემია, სასულიე-  
რო სემინარიები, უნივერსიტეტები, სკოლე-  
ბი, საზავშვო ზაგა-ზალები, ზავშვთა სახ-  
ლები. დანყებულის ერის დემოგრაფიული  
ალორძინება: 3:3 ათასზე მეტი ნათლული  
ჰყავს წმიდესს მთელ საქართველოში და  
მათი რიქვი განუხრელად იზრდება, -  
მთელი ერთი შემოჭრიანობულის ღვთისაკენ  
წმიდესის მონოდებისამებრ: „ქართველნო,  
ერთად ღვთისაკენ!” მთელი მსოფლიოში  
უსაზღვროდ ამლოებულის საქართველოს  
ეკლესიის ავტორიტეტი და ეს ყველაფერი  
უფლისა და დედანღვთისმშობლის მადლით,  
წმიდესისა და უნეტარესის, ილია II-ის  
ღვანლით, ლოცვითა და კურთხევით.

თავად ესაა უდიდესი სასნაყლი, რომ რარ  
IV საყყნიდან თხუთმეტი საყყნის გან-  
მავლობაში ეკლესიის ნაშენები ათეისტურმა  
რეჟიმებმა ჩვენი როდების გამო დაანგრიეს,  
უფაღმა და დედანღვთისმშობელმა წმიდესი  
ილია II-ის ღვანლით და ლოცვით ის 40

ნელინადში აღადგინეს, თანაჲ იმ დროს, როდესაჲ მსოფლიოში აპოსტასიის პროცესები მიმდინარეობს.

ყნმიდესის მოღვაწეობა ჭეშმარიტი და მონიშნაა ჩვენი უფლისა და მარხოვრის სიჭყვებისა: „ამას კლოდესა ზედა აღვაშენო ეკლესია ჩები და ბჭენი ჭოჭოხეთისანი ვერ ერეოდიან მას.“

სხალთის ეპარქიის სახელით გულოთადად ვულორავთ ყნმიდესს და ყნეჭარესს დაბადებდან 85 წლის და

პატრიარქობის 40 წლის იუბილეს და ვუსურვებთ ჭანმრთელობასა და დღეგრძელობას და ჩვენ, მონიეთ ყნმიდესის მიერ აღსრულებული უდიდესი, საკვირველი ღვანლისა და ლოოჯვის საკვირველი ძაღისა, გვნამს და გვჭერა, რომ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის, ღვანლითა და ლოოჯვით უფალი აღადგენს და გააბრწყინებს ივერიას ნიკოფსიიდან დარუბანდამდე და ოვსეთიდან არაგანამდე.

### *სხალთის მთავარეპისკოპოსი სპირიდონი (აბულაძე)*

ჩვენს საყვარელ ყნმიდესს, პატრიარქ ილია II-ს, ბოლნისის უძველესი ეპარქიისა და ჩვენი მრევლის სახელით გულოთა და სიხარულით ვულორავ საიუბი-

ლო თარიღებს – აღსაყდრებიდან 40 და დაბადებიდან 85 წელს! მსურს გამოვხატო უდიდესი მოკრძალება, სიყვარული და მაღლიერება იმ მამობრივი მზრუნველობისა, კეთილშობილებისა და საღმრთო წყალობისათვის, რაჲ თავად მისი პიროვნებიდან მოდის. ყნმიდესმა იჭვირთა ორივე ერთად, ეკლესიისა და ერის ჭვარი. დღეს მაღლიერი ქართველი ერი შესხივს უფალს, რომ მისი დღეგრძელობა და მამათმთავრობა მრავალყამიერ არ მოჰკლებოდეს სრულიად საქართველოს! ყნმიდესის დიდი ნაჭვრა და ლოოჯვა აღსრულებულია, მზიანი ღამე გათენებულია... ჩვენი ერი, ღვთის მადიდებელი ერი, ყნმიდესის წინამძღოლობით ევედრება უფალს, რომ მშვიდობა, კაჲთა შორის სათნობა და მაღალთა შინა დიდება ყოფილიყოს თითოეული ჩვენგანის თანამგზავრი ამ ქხოვრებასა და მარადიულ სამყოფელოში. ინებოს უფალმა ჩვენი ყნმიდესის ჭანმრთელობა და დღეგრძელობა მრავალყამიერ!



### *ბოლნელი მთავარეპისკოპოსი ეფრემი (გამრეკელიძე)*



ნელს მეორმოყე ნელია პატრიარქობისა, პატრიარქის იუბილეა. უნშიდესი თავად არის ღრმა, მოაზროვნე პიროვნება და საინტერესო მოსაუბრე. მინდა, პატრიარქის დღევანდელ ქოვრებას სამი პატერიკი მიუძღვნა:

„მივიღნენ ძმენი მამა ანტონთან და უთხრეს: „გვირჩიე, როგორ გადავრჩეთ.“ ზერმა უპასუხა: „ნმიღა ნერილი სრულიად საკმარისია თქვენთვის.“ მავრამ მათ სთხოვეს: „ჩვენ შენგანაყ გვინდა რამე გავიგოთ“. მამინ ზერმა თქვა: „სახარებაში ნათქვამია: „რომელმან გყეს შენ ყურიმალსა შენსა მარჯუენესა, მიუპყარ მას ერთყერძოღა“ (მათ. 5. 39).

ძმებმა უთხრეს: „ამის გაკეთება ჩვენ არ შეგვიძლია.“ ზერმა უპასუხა: „მეორე ლოყის მიძვერა თყ არ შეგიძლიათ, ერთ ლოყაზე დარტყმა მინყ აიჭანეთ“. „არყ ეს შეგიძლია,“ – თქვეს მათ. „თყ არყ ეს შეგიძლიათ, ის მინყ გააკეთეთ, რომ დარტყმაზე დარტყმით არ უპასუხოთ“. ძმებმა თქვეს: „არყ ეს შეგიძლია“. მამინ ზერმა თავის მონათყეს მიმართა: „მოუპზადე მათ ტრამპონი; ავად არიან. თყ ერთი არ შეგიძლიათ და მეორე არ გინდათ, მე რა გიძველოთ?“

ჩვენ, ზოლო ჟამის ქრისტიანენი, ვგავართ ამ მამემს, რომელითაყ არ შეუძლიათ არყ ერთი, არყ მეორე და არყ მესამე

და ვახერხებთ, მარტო ტრანკვილზე ვაღი-  
ფოთ უფალი. რეალურად ქრისტიანობა  
რა არის, პატრიარქებიდან ჩანს, მაგრამ  
მისი აღსრულება არ შეგვიძლია. ღვთის  
მადლით, გვყავს ისეთი ადამიანი, უნმიდე-  
სის სახით, რომელიც ყოველ დარტყმას  
ერის წინაშე, ღვთის წინაშე თუ ეკლესიის  
წინაშე საკუთარ თავზე იღებს, ყველა  
დარტყმა მის გულზე მოდის.

ამის შესახებ მეორე პატრიარქი მინდა  
მოვიყვანო:

ნმიდა პანის დიდის საყვარელი მონა-  
ფე ქრისტეს, ეკლესიას განუფა და  
ლანძღავდა მოძღვარს და ეკლესიას.

პანის დიდი დღედალამ  
ევედრებოდა უფალს:  
„უფალო, შეუნდე, არ  
არის ისეთი ადამიანი,  
რომ წარწყმდეს!“ უფა-  
ლი გამოეცხადა ნმიდა  
პანის და უთხრა: „პა-  
ნი, რაჭომ ევედრები  
უფალს მის გადარჩე-  
ნას, ის ხომ მლანძღავს  
მე, შენ და ეკლესიას?“  
არა, მამაო, ადამიანი  
უძლოურია და შეუნ-  
დეო, – იყო პასუხი. ამ  
დროს მოესმა ხმა: „ო,  
პანის, შენ მე მიმემ-  
სგავსე სიყვარულში!“

მესამე პატრიარქი ასეთია: ნმიდა ილა-  
რიონ დიდთან მივიდნენ მამები და უთ-  
ხრეს: „მამაო, ჩვენ დავილაღეთ, უკვე  
აღარ ვიყრთ, რა გავაკეთოთ. რთულია  
განსაუფლებით სავსე რხოვრება. ჩვენ  
ვიყრთ, რომ შენ ხილვებს, ანგელოზებს,  
ნმიდანებს ხედავ და სანუგეშო რამ

გვიხსარი!“ ბერმა მიუგო: „მე რიგითი  
უძლოური ბერი ვარ და არანაირი ხილ-  
ვები არ მაქვს. თუ თქვენ გინდათ, გაი-  
გოთ, რა არის ყველაზე დიდი ხილვა, ეს  
არის, დაინახო ხილულ ადამიანში უხილა-  
ვი ღმერთი. ეს ყველაზე დიდი ხილვა.“  
ვფიქრობ, პატრიარქი ამას ასრულებს (და  
ჩვენ გვასწავლის): მას ძალოებს, ყველა  
ხილულ ადამიანში დაინახოს ღვთის ნა-  
პერსკალი, ღვთის მადლი, ღვთის ნათელი,  
რათა განწმინდოს მსგავსება, ხატება და  
ასწავლოს, რა არის ჭეშმარიტი ქრისტიან-  
ობა, დაუბრუნოს უფალს განწმენდილი  
და სიყვარულით მოოქრობული ადამი-



ანის გული. ვულორავ ჩვენს პატრიარქს,  
მრავალსამიერ! მრავალი მისი აღსაყდრე-  
ბისა, ანგელოზისა და დაზადების დღე  
გავგიფინოს უფალმა მასთან ერთად!

წალკელი ეპისკოპოსი გრიგოლი (კაცია)

## შეხვედრა უწმიდესთან

XX საუკუნის 50-იან წლებში ქართველი ხალხის სულიერ ცხოვრებაში დაიწყო თვისობრივად ახალი მშვიდობიანი ეტაპი. ქვეყანამ მოიშუშა 30-იანი წლების კომუნისტური რეპრესიებითა და სამამულო ომით მიღებული ჭრილობები, დაცხრა სამეულთა აღვირახსნილი პარპაში. ეკლესიის მიმართ ხელისუფლების ხისტი დამოკიდებულება შეიცვალა ბევრად უფრო დახვეწილი მეთოდებით. თუმცა, უნდა ითქვას, რომ მას აღარც კი სჭირდებოდა ბრძოლა, რადგან ხანგრძლივი დევნის შემდეგ, ეკლესია, რომ იტყვიან, უკვე თითქმის მიწასთან იყო გასწორებული; გასაბჭოებამდე მოქმედი ყველა ეკლესია-მონასტერი კულტურის ძეგლებად იყო გამოცხადებული და მომლოცველები-სათვის საიმედოდ ყრუდ გამოკეტილი.

უფლებაწარმეული ეკლესიის ფუნქცია გარკვეულწილად შეითავსა საყოველთაო განათლებამ და მეცნიერებამ, რომელმაც იტვირთა მონასტრებში შექმნილი სულიერი მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობა. ხელისუფლება გრძნობდა, რომ კომუნისტური იდეალებისადმი ერთგული საზოგადოების აღზრდა შეუძლებელი იყო ფართო საგანმანათლებლო ქსელის გარეშე და ზედიზედ გახსნა რამდენიმე უმაღლესი საწავლებელი. მარტო საქართველოს დედაქალაქში, ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის გარდა, იმ ხანებში უკვე მოქმედებდა ინდუსტრიისა და სოფლის მეურნეობის დარგობრივი უმაღლესი სასწავლებლები: თბილისის რკინიგზის ინსტიტუტი, პოლიტექნიკური, სამედიცინო, სასოფლო-სამეურნეო, ვეტერინალური და სხვადასხვა პროფილის პედაგოგიური ინსტიტუტები. ეს უმაღლესი სასწავლებლები წარმოადგენდა საქართველოს ახალგაზრდა ინტელექტუალური კადრების სამჭედლოს.

ქართული ეროვნული იდენტობის გან-

მტკიცებას ემსახურებოდა მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას დაქვემდებარებული სამეცნიერო ინსტიტუტებიც; საერთაშორისოდ იყო აღიარებული ქართული მათემატიკური და ფსიქოლოგიური სკოლები; ქართველი ისტორიკოსები და ფილოლოგები მუხლჩაუხრელად იღვწოდნენ უძველესი ქართული ხელნაწერების შესასწავლად, რომლებიც შორეულ წარსულში საქართველოსა და ახლო აღმოსავლეთის ქართულ ქრისტიანულ საგანებში იქმნებოდა. ქართული ეროვნული საუნჯის მეცნიერული შესწავლა მიმდინარეობდა სოციალისტური, ე.წ. მარქსისტულ-ლენინური ათეისტური მეთოდოლოგიის საფუძველზე, რაც უგულვებელყოფდა ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის როლს, რომლის წიადშიც იქმნებოდა ეს მდიდარი ეროვნული კულტურული მემკვიდრეობა. ქრისტიანული სარწმუნოება, საფუძველთა საფუძველი უძველესი ქართული სახელმწიფოებრიობისა, ისტორიის ამ ეტაპზე დევნილი და დამცირებული, არაცნობიერად შეიფარა და შეიკვდლა მეცნიერებამ და განათლებამ.

1950 წელს, როგორც გაზაფხულის მახარებელმა პირველმა მერცხალმა, მზის სინათლე იხილა არნოდდ ჩიქობავას თაოსნობით მრავალწლიანი დაუდალავი შრომით შექმნილმა „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ რვატომეულის პირველმა ტომმა. ქართველი საზოგადოება უდიდესი სიხარულით შეხვდა ეროვნული კულტურის ამ უაღრესად მნიშვნელოვან ფაქტს, თუმცა, ბევრმა ვერც მაშინ, ვერც შემდგომ, ვერ გააცნობიერა, რომ ქართული ენის სიტყვიერი ფონდის, სიტყვიერი საუნჯის წიგნად გამოცემით მატერიალიზება ჰპოვა ქართულ ენაში დამარხულმა ქართული მოდგმის უკვდავმა სულმა, რომ რეალურად გაცხადდა და განსხეულდა ქართული ენის შესახებ X საუკუნის ჰიმნოგრაფის იოანე-ზოსიმეს წინასწარმეტყველება.



კათოლიკოს-პატრიარქი ილია II და არქიმანდრიტი ლაზარე (გაგნიძე)

ქართველ ერში დაფარული დიდი სულიერი პოტენციალი მთელი სისრულით გაბრწყინდა ამ წლებში. მოკლე ხნის განმავლობაში ერთიმეორის მიყოლებით, თითქმის ერთდროულად გამოიცა ივანე ჯავახიშვილის „საქართველოს ისტორია“ ოთხ ტომად და „ქართლის ცხოვრების“ ოთხტომეული სიმონ ყაუხჩიშვილის რედაქციით. ამ გამოცემით ქართველ მკითხველს შესაძლებლობა მიეცა, მანამდე ხელნაწერების სახით არსებული ქართველი მემკვიდრეების: ლეონტი მროველის, ჯუანშერის, ჟამთააღმწერლის თხზულებებს ზიარებოდა არა წიგნსაცავებში, არამედ საკუთარ თბილ ოჯახურ გარემოში.

საზოგადოება დიდი ინტერესით შეხვდა პაველ ინგოროყვას ნაშრომების გამოცემას.

ცოდნასა და განათლებას დაშურებული ახალგაზრდობისათვის ერთბაშად ამდენი უნიკალური ძეგლის წიგნის თაროებზე გამოჩენა უპრეცედენტო მოვლენას წარმოადგენდა და ლამის ეროვნული აზროვნების ზეიმადაც კი აღიქვამდნენ. აქამდე ხელნაწერის სახით სიძველეთა საცავებში გამოკეტილი საუნჯე ერთბაშად ხელმისაწვდომი გახდა ყველა თაობის წიგნის მოყვარულთათვის. მკითხველით ივსებოდა უნივერსიტეტისა და საჯარო ბიბლიოთეკის დარბაზები, სამკითხველოები და სოფლის ბიბლიოთეკები. უნივერსიტეტისა და უმაღლესი სასწავლებლების კორიდორებში, საზოგადოების თავშეყრის ადგილებში ხშირად შეხვედებოდათ ახალგაზრდებს, რომლებიც

ერთმანეთს უზიარებდნენ აზრს წაკითხული ავტორებისა და წიგნების შესახებ, ამდიდრებდნენ ერთმანეთს მიღებული ცოდნითა და შთაბეჭდილებებით; მოისმენდით საუბარს ისტორიაზე, ფილოსოფიაზე, ლიტერატურაზე, ხელოვნებაზე; მაგრამ არავის სიტყვა არ დასცდებოდა ჩვენი წინაპრების რელიგიურ ცხოვრებაზე, იმ ფასდაუდებელ ღვაწლზე, რომელიც მართლმადიდებლობამ შეასრულა ქართველი ერის ისტორიაში. იმდროინდელმა ხელისუფლებამ დროებით, მაგრამ მაინც მიაღწია მიზანს – ძირში გადაჭრა ადამიანის ცნობიერების მამა-პაპის რელიგიურ აზროვნებასთან დამაკავშირებელი გენეტიკური ძარღვები. ასეთ რეალობაში მოუწია სწავლა-განათლების მიღება ჩემს

ოცამდე მეორეკურსელი მომავალი გერმანისტი მხიარული სიმღერით, ფეხით აფუყყვით ჯვრის მონასტრის აღმართიან ბილიკს. დაახლოებით ორ საათში მივაღქვით მძიმე ჟამისაგან იავარქმნილ, ისტორიულ ძეგლად ქცეულ ტაძარს. მღუმარედ დავათვალიერეთ, აღმშენებლებს მადლობა შევსწირეთ, გარეთ გამოსულგებმა მცხეთას ამაყად გადავხედეთ და ტრაპეზისათვის მინდორზე ადგილი შევარჩიეთ. ჩვენი ურწმუნოების გამო არც ერთს თავი უხერხულად არ გვიგრძნია, რადგან ყველა უღმერთობის ხანაში ვიყავით დაბადებული.

ტრაპეზის შემდეგ მტკვრისა და არაგვის შესართავისაკენ ფეხითვე დაფუყვით დაღმართს, ტივით არაგვი გადავცურეთ და სვეტიცხოვლის დიდებულ ტაძარს მივაღქვით. ჩანდა, წირვა კარგახნის დამთავრებული იყო, ეზოში ჩქამიც არ ისმოდა. კარიბჭიდან კიბეები დინჯად ჩავიარეთ. ტაძრის შესასვლელთან შავოსანი ბერი შევნიშნეთ, ვიგრძენით, რომ ჩვენგან განრიდებას აპირებდა, ჩვენც სიმშვიდე არ დავურღვიეთ, მორიდებით, დინჯად გვერდზე ჩავუარეთ და ტაძარში შევედით. ეკლესიური ცხოვრების არა გაგვეგებოდა რა და სულგანაბული ვუსმენდით



თაობას. ჩვენი ყველაზე დიდი საფიქრალი იყო სამშობლო და მისთვის თავდადებული მსახურება, კომუნისტური იდეალები კი იდეალებად არ მიგვაჩნდა...

იღვა 1957 წლის სექტემბერი. ზაფხულის არდადეგებიდან დაბრუნებულებმა, გადავწყვიტეთ, პირველივე კვირადღეს მცხეთის „ისტორიული ძეგლები“ მოგვენახულებინა. თბილისი-ბორჯომის მატარებელს ზაპესამდე გავყვით და იქიდან ერთ სულად შეკრული

ჩვენს უფროს თანაკურსელს ვახტანგ პაიკიძეს, რომელიც პროფესიულ დონეზე გვიწვედა გიღობას. ამის მიუხედავად, ყოველ ჩვენგანს მოგვეძალა უკმარისობის გრძნობა. გარეთ შავოსანი ბერი გვეგულებოდა და გული მისკენ მიგვიწვედა. განდევნილი ბერები, როგორც მხატვრული ლიტერატურის პერსონაჟები, ჩვენთვის ცნობილი იყვნენ, მაგრამ ცოცხალი ბერი არავის გვენახა. გულისფანცქალით ველოდით მასთან შეხვედრას, მაგრამ



ვცდილობდით, ჩვენი ცნობისმოყვარეობით არ დაგვებრკოლებინა საერო ცხოვრებას განრიდებული მსცოვანი ბერი. გარეთ გამოსულბემა, როგორც იქნა, გაგებდეთ ახლოს მივსულიყავით ბერთან და სასიამოვნოდ გაგვაოცა მისმა ხილვამ: ჩვენ წინაშე იდგა არა მოხუცი ბერი, არამედ ოციოდე წლის უმწვენიერესი გარეგნობის ჩვენი თანატოლი შავოსანი განდევილი, მსუბუქი, ჰაეროვანი, უტკბილესი ხმით მეტყველი ხორცშესხმული ანგელოზი. განცდილით გახარებულები ვიცინოდით, ვტიროდით, გვჯეროდა, არც გვჯეროდა, მაგრამ რეალობას ვერსად გაექცევი, – იავარქმნილი დედაეკლესიის უმთავრეს ტაძარში, ჩვენ წინაშე ამაყად იდგა მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის რეალობა, ჩვენი თანატოლი, ახლადაკვეცილი ბერმონაზონი, რომელსაც უფალმა განუჩინა უახლოეს მომავალში ჩვენი ეკლესიის გაახალგაზრდავებისა და აღშენების მისია.

აღტაცებულები შემოვხვებით საქართველოს აწმყოსა და მომავალს საკუთარი ნებით თავშეწირულ ბერს. მალევე გავარკვეით, რომ აღკვეცისას მას დაანათლეს დიდი წინასწარმეტყველის ილიას სახელი. დიდხანს გაგრძელდა ჩვენი საუბარი. ჩვენი მომავალი პატრიარქის კეთილგანწყობილმა, დინჯმა მეტყველებამ ანდამატივით მიგვიზიდა... გადიოდა საათები და აღარც კი ვფიქრობდით მისგან განშორებას. სვეტიცხოველში წუთი წუთზე ელოდნენ მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქს ალექსი I-ს, რომელიც სტუმრად იმყოფებოდა საქართველოში, ჩვენც თბილად დავემშვიდობეთ ახლადგაცნობილ ბერმონაზონ ილიას და მისი დიდი სულიერებით შთაგონებულებმა გეზი ავიდეთ მცხეთის რკინიგზის სადგურისაკენ.

შინ დაბრუნებული დამაფიქრა ჩემი თანატოლი ბერის ვაჟკაცურმა გადაწყვეტილებამ. ორივე კომკავშირულ ასაკში ვიყავით. მან აირჩია კომუნისტური მუდმივმოქმედი ფეთქებადი ნაღმებით მოფენილი გზით სიარული,

მე კი იოლად სავალი მქონდა არჩეული და ერთგულადაც გავეყვი, მაგრამ კეთილი თესლი, რომელიც უწმიდესმა იმ დღეს ჩათესა ჩემში, ნელ-ნელა დვიდებოდა და აღმოცენდა მხოლოდ ოცდათხუთმეტი წლის შემდეგ. დღეს, 80 წელს გადაბიჯებული, გამოგიტყდებით, რომ იმ დღის შემდეგ არასოდეს განმშორებია 1957 წელს სვეტიცხოველში გაცნობილი ჩემი თანატოლი ბერის აჩრდილი. ის თვალწინ მედგა საქართველოს მთასა და ბარში, ბერლინსა და ბუდაპეშტში, იენის ფრიდრიხ შილერის სახელობის უნივერსიტეტში, სადაც შესწავლის საგნად პროფესორ მეტკეს ხელმძღვანელობით გოთური ბიბლია ავირჩიე, – ჩემს გონებას ყველგან, არაცნობიერად, წარმართავდა ბერი ილიას თავგანწირვის მაგალითი. იმ დღიდან იგივე განცდა თანამავალი გახდა სვეტიცხოველში ჩემთან ერთად მეოფი ყველა ჩემი თანაკურსელისთვისაც. მათმა უმრავლესობამ შექმნა კეთილმორწმუნე მართლმადიდებლური ოჯახი. თითქმის იმ ხანებში შეუდგა ეკლესიურ ცხოვრებას უმწვენიერესი ქალბატონი მანანა მახარაძე. მისი ვაჟი, დეკანოზი ალექსანდრე (ბოლქვაძე) დღეს ჩვენი ეკლესიის ერთ-ერთი სამაგალითო მოძღვარია. იმ კეთილმოსაგონარი დღის წყალობით ჩვენს ეკლესიას ერთგულად ემსახურება დეკანოზი ზურაბი (ცხოვრებაძე), რომლის სულიერად ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი მიუძღვის მის მამიდას, გერმანისტს, მეცნიერებათა დოქტორს ნინო (ნუნუ) ცხოვრებაძეს. სამოცი წლის წინანდელი სექტემბრის ღირსსახსოვარი კვირადღე განსაკუთრებით ძვირფასია ჩემთვის, რადგან ამ დღეს მოხდა ჩემი პირველი შეხვედრა ჩვენი ეკლესიის საჭეთმპყრობელთან, რომლის სიტბო და გულისხმიერება ენერგიას მმატებს ხანდაზმულობის უამს.

*არქიმანდრიტი ლაზარე (გაგნიძე)*

„ვმადლობ ღმერთსა ჩემსა მარადის თქვენთვის და მიხარის თქვენთვის!“



წყარია მისი ყოველი სიტყვა, შემოსედევა, საყვედური თუ ღარიგება, მეძვირფასება მისგან ნაბოძვარი ყველა სახსოვარი...

არც კი მგონია, თუ ამდენი დრო გავიდა; ჩვენი უწმიდესი უკვე 85 წლისა გახდა; 40 წელია, ღირსეულად უპყრია საჭე მრავალსაუკუნოვანი ქართული ეკლესიისა, ვითარცა მოსე, მიგვიძღვის განსაცდელითა და ათასგვარი ხიფათით სავსე ცხოვრების ზღვაში და „ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერევიან მას“.

ჩვენო უწმიდესო, რა შემძლია გისურვოთ, ყოველმხრივ სრულსა და მადლიანს, – მხოლოდ ჯანის სიმრთელე, ფიზიკური ძალა და გამძლეობა, დიდხანს სიცოცხლე მთელი ქართველი ერის სასიკეთოდ და, ვითარცა პავლე, შემოგდადადებთ: „ვმადლობ ღმერთსა ჩემსა მარადის თქვენთვის და მიხარის თქვენთვის!“

უფალმა მარგუნა წარმოუდგენელი ბედნიერება, შევხვედროდი ჩვენი დროის უდიდეს მოძღვარს, უწმიდესსა და უნეტარეს პატრიარქს, ილია II-ს და შვიდი წელი მეცხოვრა მის ჩრდილქვეშ საპატრიარქო რეზიდენციაში; ამ ხნის განმავლობაში არ მომკლებია უწმიდესის მზრუნველობა და მამობრივი სიტბო, მანუგეშებდა მისი მადლიანი ღიმილი და უსრულესი, მაღალი ზნეობა. მანვე მაკურთხა მორჩილად, აღმკვეცა მონოზუნად და დამადგინა ილუმენიად. ჩემთვის დაუვი-

ღეღა ილუმენია იბონებს:

ჯერ კიდევ ახალი მისული ვიყავი საპატრიარქოში. უწმიდესის გულმხურვალე თაყვანისმცემელს, ამეკვიატა ფიქრი: ნეტავ გადაჭარბებული და უსაფუძვლო ხომ არ არის ჩემგან ასეთი დიდი პატივისცემა, ნუთუ მართლა იმსახურებს ჩემგან ასეთ სიყვარულსა და მოწიწებას ჩვენი პატრიარქი-მეთქი. ერთხელაც, ამ ფიქრებით აფორიაქებულს, ჩამეძინა და ვიხილე სიზმრისეული ჩვენე-

ბა. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, მაგრამ გუშინდელივით მახსოვს, თითქოს ცხადლივ ხდებოდა ყველაფერი: უზარმაზარი, უჩვეულო, კონუსის ფორმის მთა სიმაღლით ცას სწვდებოდა. მთის მწვერვალზე, ზურგშექცევით, ხელაღპყრობით იდგა პატრიარქი, გარშემო უამრავ ხალხს, თითქმის მთელ საქართველოს მოყვარა თავი და რაღაცის მოლოდინში იყვნენ. მთის ძირში, ცენტრში ვიდექი მეც ხალხთან ერთად და შევცქეროდი უწმიდესს; მან თავი მოაბრუნა და გადმომხედა. ჩვენ შორის დიდი მანძილის მიუხედავად, სახე ახლოს დაეინახე – გაღიმებული თვალებში მიყურებდა და თითქოს მეუბნებოდა: „აი, ხომ ხედავ, სადა ვარ!“ გაღვიძებისთანავე მივხვდი ჩვენების აზრს, – დავრწმუნდი უწმიდესის დიდ სულიერ სიმაღლეში და იმ დიდი ზღვარის არსებობაში, რომელიც ჩვენსა და პატრიარქს შორის არსებობდა. ამგვარად გაეცა პასუხი ჩემს ფიქრებს. უსაზღვროდ ბედნიერი ვიყავი, ვხარობდი, რომ არ შევმცდარვარ უწმიდესის სიყვარულში, რომელიც დღემდე უცილობლად მომყვება.

\*\*\*

ღვთისა და მამულის სიყვარული, სამშობლო ქვეყნის ტრადიციების ერთგულება და მისი მომავლისათვის ზრუნვა, ყველა სხვა სათნოების მსგავსად, საოცარი ჰარმონიითაა შერწყმული ჩვენი პატრიარქის ბუნებაში. ამის ერთ-ერთი დადასტურებაა უწმიდესის საოცრად მოკრძალებული დამოკიდებულება ზოგადად წინაპრების, უფროსი თაობისა და, კერძოდ, საკუთარი მშობლების მიმართ. უწმიდესი მშობლებს სიცოცხლეშიც და გარდაცვალების შემდეგაც დიდ პატივს მიაგებდა და მიაგებს დღესაც. მეც ერთ-ერთი მოწმე ვარ ამისა:

ყოველწლიურად, აღდგომის მეორე დღეს, მცხეთაში, მამის საფლავზე, მობრძანდება ჩვენი პატრიარქი სასულიერო პირებთან და ნათესავ-ახლობლებთან ერთად, სამთავროს დედებიც ყოველთვის თან ვახლავართ. უწმიდესი პანაშვიდის გადახდის შემდეგ ყველა იქ მყოფს სუფრასთან გვიწვევს და გულუხვად გვიმასპინძლებს, წამოსვლისას კი სკენილს ან რამე საჩუქარს ტოვებს მამის საფლავზე, რათა ვინმემ აიღოს პატრიარქის მშობლების სახელზე და მათი სულების მოსახსენებლად. ბევრჯერ ყაზბეგშიც ვყოფილვართ უწმიდესთან ერთად დედის საფლავზე. იქაც იკრიბება დიდი თუ პატარა.



იღუმენია ქეთევანი (კოპალიანი)

გარდაცვლილთა სახელზე ბავშვებს კანფეტებს, ტკბილეულს, ნამცხვრებს ურიგებს, ნაკურთხ საზრდელს კი მოწყალებად გაცემენ დედები.

დედ-მამის სურათი სალოცავ კუთხესთან აქვს დაბრძანებული კათოლიკოს-პატ-

იგონებდნენ მონოზონ სილონიას, რომელსაც „სილონია ტკბილადმგალობელს“ ეძახდნენ, ჩემს მახსოვრობას კი შემორჩა დედა ანას (დარო) უტკბილესი პირველი ხმა, რომლის მსგავსი მას შემდეგ აღარსად მომისმენია. მის უწმიდესობასაც გამორჩეულად ჰყვა-



**იერუსალიმი. ჯვრის მონასტერი. 1987 წელი.  
პატრიარქი კითხულობს მოსახსენებელს**

რიარქს. „გარდაცვლილთა სულებთან ორმხრივი კავშირი არსებობს, როცა თქვენ მათ იხსენიებთ, ისინი თქვენ გიხსენიებენ,“ – ხშირად ბრძანებს უწმიდესი და არასოდეს წყვეტს სულიერ კავშირს დიდ წინაპრებთან.

\*\*\*

სამთავროს დედათა მონასტრის მონოზონები ოდითგანვე ტკბილი გალობით გამოირჩეოდნენ. მსცოვანი დედები ხშირად

რებია მონასტრის უხუცეს დედათა გალობა, განსაკუთრებით ერთ-ერთი „უფალო, შეგვიწყალებ“ რომელსაც „ერეკლეს უფალოს“ უწოდებდა. დედებისაგან მსმენია, რომ სამთავროში მობრძანებისას, მაშინ ჯერ კიდევ მეუფე ილია, დედებს სთხოვდა: „აბა, მიგალობეთ ერეკლეს უფალო“ და თან დაურთაედა: ამ გალობის მოსმენისას თვალწინ წარმომიდგება მეფე ერეკლე, რომელიც ბრძოლის წინ ჯარს ლოცავსო.

უწმიდესს დიდი სურვილი ჰქონდა, საპატრიარქო რეზიდენციის მონოზენებისა და მორჩილებისგანაც ჩამოყალიბებულიყო მაგლობელთა გუნდი, რომელიც სამსახურში მიმავალი ერის ხალხისთვის დილის 7 საათზე ჩატარებულ წირვაზე იგალობებდა სიონის ტაძარში. ამისთვის პატრიარქი დამით თავის კაბინეტში შეგვეკრებდა ხოლმე და თავად გვამეცადინებდა, გალობას გვასწავლიდა, ხმებს კამერტონით ანაწილებდა... ჩვენ უსახდუროდ ბედნიერნი ვიყავით, თუმცა ეს ბედნიერება პატრიარქის მოუცლევლობის გამო დიდხანს არ გაგრძელებულა და გუნდიც ვერ ჩამოყალიბდა.

\*\*\*

წმიდა მიწაზე საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის, ილია II-ის პირველი სტუმრობისას უწმიდესმა 5000-ზე მეტი ადამიანის სია დამაბეჭდინა, წმიდა ადგილების მოლოცვისას აღვლენილ წირვებსა თუ პარაკლისებზე მოსახსენიებლად. მამა ღვთისომ (შალიკაშვილი) ჩამოსვლისთანავე მითხრა: რა დაბეჭდე ამდენი, სამი საათი არ ჰყოფნიდა უწმიდესს წასაკითხადო. მთელი საქართველოს მოსახლეობის სახელობითი სიაც რომ ჰქონოდა, მასაც სიხარულით წაიკითხავდა ჩვენი პატრიარქი, თითოეული ქართველის მამა და თავდადებული მლოცველი. როცა ჩამობრძანდა, პატრიარქმა ყველანი დაგვასაჩუქრა იერუსალიმიდან ჩამოტანილი სიწმიდეებით. დღემდე სათუთად ვინახავ უწმიდესის ნაბო-



ღირსი მამა გაბრიელი და პატრიარქი ილია II

ძებ იერუსალიმის მიწას, რომელშიც გეთსამანიის ბაღის ხის ფოთლებია გარეული და დღემდე არ დაუკარგავს თავისი სურნელი.

\*\*\*

სამთავროს მონასტერში კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესი და უნეტარესი ილია II-ის სტუმრობის დროს ბერი გაბრიელი კოშკიდან გამოვიდა „სამეფო“ რვალის დიადემით.

ურთიერთამბორისა და მოკითხვის შემდეგ პატრიარქმა ჰკითხა: „მამა გაბრიელ, ეგ დიადემა ოქროსია?“ „რას ბრძანებთ, თქვენო უწმიდესობაგ, ეგ რომ ოქროსი იყოს, ხომ თავს მამაჭრიდნენ!“ – უპასუხა ბერმა.

ორივენი სიყვარულით შესცქეროდნენ ერთმანეთს. უწმიდესისა და ბერის სიტყვებში გამოსჭვიადა იღუმალება, რაიც ოდენ ღმერთმა უწყის.

კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ლოცვა-კუროთხევა და წმიდა მამა გაბრიელ აღმსარებლისა და საღლოს მეოხება შეეწიოს სრულიად საქართველოს. ამინ!

## სატრიარქობის ორმოცი წელი

„ჩუდას რად უნდა მტერობა,  
კარგია მუდამ მტრიანი!“  
ვაჟა



სატრიარქობის ორმოცი წელი:  
ჟამი სიბრძნისა, ღვთის შემეცნების,  
„მიზანი ღამის“, „დიდგორის ველის“,  
სიჭაბუკისა და მხროვანების...

ორმოცი წელი. ორმოცი წელი  
მწყემსმთავრობისა ცკბილი უღელი,  
რავდენი დარდი, რავდენი რრემლი, –  
უფალომან უწყის ოდენ ყოველი!

გინჯ გოლგოთამდე მისდევს უფალოსა,  
ირჩევს გზასა ჭვარ-ეკლოვანსა;  
ამქვეყნიური ნამებნის ნაწვლად,  
მოიგებსაო უკვდავებასა.

მონანულ ძესა, ვითა უძლებსა,  
შეარბებსა მამასა ღმერთსა;  
შვილი, „რომელი უყვარს უფალოსა,  
სწავლის და ტანჯის,“ ვითა უნებსა.

უფალომა ზრძანა: იყავნ დღეგრძელი,  
დედ-მამისაჲ პატივმრეძელი,  
შვილი, მშობელთა მაგინებელი,  
დღემოკლეა და წარსანყმედელი.

შბორგის იროდი, მართლისა მკვლელი,  
იუდა – ავადსახსენებელი;  
არ რხრება მტერი, შურისმგებელი,  
ღმერთო, შეგვინდე ზრალი ყოველი.

კეთილმა მწყემსმა ჩვენთვის თავს იღვა  
ნებსითი ჭვარება, ნამება, ტანჯვა.  
გარნა აღსდგა და ზერად ამაღლდა  
და მოანიჭა რხონება კარნა.

ღვარისმცვირთველი ზაძავს უფალოსა,  
მინდობილია ღვთისა ნებასა,  
სათნოებნით სძლევესო ეშმასა,  
მერმისს ჰპოვესო განსვენებასა.

გოლგოთისაკენ მიმავალ გზასა  
აღვისუბუქებს ჭვარმულის ტვირთი;  
დიად საქმეთა ნამაგარსა  
უზენაესი დაგადგამს გვირგვინს.

ჟლიას მთაზე, ვით ნიშანსვეტი,  
ზრწყინავს სამების წმიდა ტაძარი, –  
„ქართველი კარის ავტოპორტრეტი,“  
კათალიკოსის ნამოღვანარი.

ჰაი-ჰაი, რომ წლები მიდიან,  
სიჭაბუკისა ვარდნი ჭნებიან,  
მადლმოსილნიო, არა კვდებიან,  
მარადისობას შეერთებებიან.

ღმერთო, გვიროცხლე მამაჲ ჩვენი, –  
ჟემარიტების ზურჯი და მრველი,  
უნმიღესი და უნეტარესი, –  
და განსუმრავლე ჟამნი და წელნი!

ილუბენა ქეთევანი (კოპალიანი)

## დღეგლე ასე მოვლივარ სიყვარულით

უწმიდესი პატრიარქი ჯერ კიდევ არქიმანდრიტობის პერიოდიდან მახსოვს. ჩვენი პირველი შეხვედრა სვეტიცხოვლის დღესასწაულზე მოხდა. ამის შემდეგ უფრო გახშირდა არქიმანდრიტი ილიასთან ჩემი შეხვედრები. მაშინ მე უწმიდესი ეფრემის მორჩილი ვიყავი და მან სასულიერო სემინარიის კურსების გახსნის შემდეგ სემინარიაში სწავლის გაგრძელება შემომთავაზა. თავიდან არც მიფიქრია სემინარიის არსებობაზე, მით უმეტეს, სწავლაზე.

ერთ მშვენიერ დღეს ჩვენი საგვარეულოს ჩვეულებისამებრ – ხუთშაბათობით აუცილებლად მოგველოცა წმიდა დავით გარეჯელის მთა – ნელ-ნელა ავდიოდი მთაწმინდაზე, მამა დავითის ტაძარში. ამ დროს მთაწმინდიდან ფეხით ჩამოდიოდნენ უწმიდესი ეფრემი და მეუფე ილია, რომელიც უკვე იყო დანიშნული სემინარიის რექტორად. მაშინვე ლოცვა-კურთხევის ასაღებად პატრიარქთან, მერე მეუფე ილიასთან მივედი. უწმიდესმა ეფრემმა მკითხა: „შენ, ვაჟბატონო, არ აპირებ სემინარიაში სწავლას?“ ცოტა არ იყოს, დავიბენი მოულოდნელი შეკითხვისგან, დავდუმდი, დავემშვიდობე და მთაწმინდისკენ გზა გავაგრძელე. მაშინ 23 წლის ვიყავი. უწმიდესი ეფრემის შეკითხვაზე ღრმად დავფიქრდი, მეორე დღეს კი საპატრიარქოში მივიტანე განცხადება თხოვნით, ჩავერიცხე სასულიერო სემინარიაში.

ჩემი პირველი რექტორი ბრძანდებოდა ბათუმის ეპისკოპოსი ილია (შიოლაშვილი). სასულიერო სემინარია მცხეთაში, სვეტიცხოვლის ტაძრის ეზოში იყო დაფუძნებული. აქვე მდგარ პატარა სახლში ხუთი სტუდენტი ვცხოვრობდით. ჩვენ ვიყავით სემინარიის პირველი სტუდენტები, მეუფე ილია კი ჩვენი მზრუნველი მამა ბრძანდებოდა. ყოველ საღამოს გვეკითხებოდა, ხომ არაფერი გინდათო.



პატრიარქი ეფრემ II და მიტროპოლიტი ილია

ცხადია, გაჭირვება იყო, მაგრამ ყველაფერს აკეთებდა, კარგად რომ ვყოფილიყავით. ერთი ახალგაზრდა სტუდენტი სწავლობდა, გვარად სამხარაძე. მამა მღვდელი ჰყავდა. მატერიალურად უჭირდა და მახსოვს, მეუფე ილიამ თავისი პალტო მისცა. ყველანაირად ცდილობდა, ვყოფილიყავით ერთად და ტკბილად, მზრუნველობას არ გვაკლებდა. ღამე უყურადღებოდ არ გვეტოვებდა და პედაგოგების მორიგეობა დააწესა. მიუხედავად იმისა, რომ მეუფე ბათუმის ეპისკოპოსი ბრძანდებოდა, თავადაც მორიგეობდა. კარგად მახსოვს, ახალდაარსებულ სასწავლებელში ზამთარში გასათბობად ღუმელსაც ჩვენ ვანთებდით. აუდიტორიაში აგურისგან აშენებული ნახშირის ღუმელი გვედგა. მე თბილისელი ახალგაზრდა ვიყავი და რა ვიცოდი მისი დანთება. ჩემს მორიგეობაზე, რომ უნდა დამენთო, უცებ კვამლი გამო-

ვარდა და თვალეში მეცა. მაშინვე საავად-  
მყოფოში დამაწვინეს. მეუფეს ყურადღება  
და მზრუნველობა იქაც არ დაუკლია, რო-  
გორც საკუთარ შვილს, ისე მივლიდა.

\*\*\*

სემინარიის დამთავრების შემდეგ დადგა  
ჩემი კურთხევის დრო. უწმიდესმა ეფრემმა  
ღიაკვნად მამადავითობას მაკურთხა, რის  
შემდეგაც მეუფე ილიამ თავისთან ბათუმ-  
ში წამიყვანა. ღიაკვნობა ბათუმში გავატარე.  
რა თქმა უნდა, იქაც მეუფის ფრთებქვეშ  
ვიყავი. არ მაკლებდა არც ყურადღებას,



**არქიმანდრიტი ანტონი**

არც მამობრივ სიყვარულს. მეუფე ძალიან  
მკაცრი კი არა, წესრიგის მომთხოვნი იყო;  
ყოველთვის ჩამოყალიბებული და ღამაზი  
წირვა-ლოცვა ჰქონდა. პატარა შეცდომებიც  
მისთვის თვალშისაცემი იყო და ვცდილობ-  
დით, ეს არ მომხდარიყო.

დადგა საკითხი ჩემი მღვდლად კურთხე-  
ვისა. ღიაკვნად მაკურთხეს მთაწმინდაზე,

მამადავითზე, ხოლო მღვდლად – ფოთში.  
იქიდანაც მეუფე ილიამ თავისთან, ბათუმ-  
ში წამიყვანა, წმიდა ნიკოლოზის ტაძარში  
გამამწვესა. ვმსახურობდი ასევე თელავში,  
საიდანაც გადმომიყვანეს თბილისში, წმიდა  
მიხეილ ტვერელის ტაძარში. შემდეგ ვიყავი  
წმიდა ნინოსა და წმიდა ბარბარეს, ბოლოს  
კი წმიდა ალექსანდრე ნეველის ეკლესიებ-  
ში. ამ დროს მეუფე სოხუმის მიტროპოლი-  
ტი ბრძაღებოდა, მაგრამ სულიერი კავში-  
რი სულ გვქონდა, ჩემი მასწავლებლისა და  
ჭკუის დამრიგებლის მლოცველი ვიყავი.

პატრიარქი დავით V-ის გარდაცვალების  
შემდეგ, როდესაც დადგა საკითხი, მოეწვი-  
ათ კრება მომავალი პატრიარქის ასარჩევად,  
პირადად მივიღე აქტიური მონაწილეობა  
ამ კრების მოსამზადებელ ორგანიზაციულ  
საკითხებში, ანუ მეუფე ილიას პატრიარქად  
არჩევაში. ამის ვიდუოკადრებიც არსებობს.  
პატრიარქის არჩევის უპირატესობა მომეცა  
და ბიულეტენი პირველმა ჩავაგდე. ვამაყობ  
კიდევ, რომ მეუფე ილიას პატრიარქად  
აღსაყდრების მოსამზადებელი პროცესი მე  
დამევადა; მომავალი პატრიარქის შესამოს-  
ლის, ტაძრის მორთვის, სტუმრებთან შეხ-  
ვედრის ორგანიზებაში მივიღე მონაწილე-  
ობა... მადლობა ღმერთს, ღვთის შეწვევითა  
და მეუფე ილიას ლოცვა-კურთხევით ყვე-  
ლაფერი კარგად ჩატარდა.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის  
ტახტზე აღსაყდრების შემდეგ უწმიდესმა  
და უნეტარესმა ილია II-მ საპატრიარქოში  
თანამშრომლად მიმიწვია. დღესაც საპატრი-  
არქოში ჩემს მიმართ ყოველთვის პატი-  
ვისცემასა და სიყვარულს გამოხატავენ. უწ-  
მიდესმა უმაღლესი ხარისხის წმიდა ნინოს  
ორდენით დამაჯილდოვა, რაც საქართვე-  
ლოს ეკლესიაში იშვიათი ჯილდოა. დღემდე  
ასე მოვდივარ სიყვარულით, რომელსაც არ  
მაკლებს უწმიდესი.

*არქიმანდრიტი ანტონი (გუგულიაშვილი)*



## უწმიდესის ლოცვამ გადაგვარჩინა

გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში პატრიარქი ყაზბეგის რაიონში ბრძანდებოდა ნიშ-სალოცაეების საკურთხებლად. ერთ დღეს უნდა გვეკურთხებინა ნიში მდინარის (სახელი არ მახსოვს) გაღმა. ჩავედით რიყეზე, მოვემზადეთ მეორე ნაპირზე გადასასვლელად, მაგრამ პატრიარქმა მოინდომა ახალი ნიშის შექმნა იქ, სადაც ვიდექით. დავიწყეთ რიტუალი. მაღლა, მთაში, ელავდა და ქუხდა, დაბლა, ჩვენთან კი მზე ანათებდა... ლოცვის დროს უცრად მოგვესმა საშინელი გრუსუნი, გავიხედეთ და დავინახეთ, რომ მდინარის კალაპოტში ორი-სამი მეტრი სიმაღლის, ქვა-ღორღისაგან ტალახივით შავად ქცეული წყლის უზარმაზარი მასა მოგორავდა და გზაზე ყველაფერი მოჰქონდა. ჩვენ ბეწვზე გადავრჩით, რადგან იმ ადგილას კალაპოტი და რიყეც ფართო იყო და ამ მასამ გვერდით ჩაგვიარა. მეორე ნაპირას რომ გადავსულიყავით, ნიაღვარი წაგვიღებდა. ნიშის კურთხევას რომ მოვრჩით, წყალი უკვე ქუხილით მოდიოდა, გაღმა გასვლა შეუძლებელი გახდა. ეს ნამდვილად სასწაული იყო, უწმიდესის ლოცვამ გადაგვარჩინა.

\*\*\*

მახსოვს კიდევ ერთი ეპიზოდი ყაზბეგური მოგზაურობიდან: ეკლესიის მოსალოცად მივდიოდით მთაში, გაზაფხული იდგა და იალაღები ცხვრის ფარებით იყო მოფენილი. უცებ უზარმაზარი თეთრი ძაღლები გამოეყვინენ ფარას და ჩვენკენ გამოქანდნენ. ამ დროს თავის გადარჩენის ინსტინქტი იღვიძებს, ჩვენც ასე დაგვემართა: გავიქეციით და კლდეს ამოვეფარეთ, თან ხელში ქვები გვექონ-



და მომარჯვებული. პატრიარქი ადგილიდან არ დაძრულა, ფაქტობრივად, ყველამ მივატოვეთ, გვეგონა კი, რომ ისიც გამოგვეყვებოდა. ვიდექით და შორიდან ვუყურებდით: კვერთხს დაყრდნობილი უწმიდესი მშვიდად იდგა; გაკაპასებულმა ძაღლებმა გარს შემოურბინეს, ჩაყუჩდნენ და მორჩილად შეაქქერდნენ; „ვინ გაგაბრაზათ ეგრე?“ – ესაუბრებოდა მათ პატრიარქი, ისინიც უსმენდნენ და კუდებსაც უქიციებდნენ. რა იყო ეს, დღესაც არ ვიცი. ჭენებით მოცვივდნენ მწყემსები, ჩამოხტნენ ცხენებიდან და პატრიარქს მიუახლოვდნენ. გაოცება იმათი უნდა გენახათ... უწმიდესმა დალოცა ცხვარ-მეცხვარეები, გაისტუმრა და მერე ჩვენთან მოვიდა, ნუ გეშინიათ, დაყარეთ ქვებიო, გვითხრა. სირცხვილით თავს ვერ ვწევდით მაღლა... დღესაც ვერ ვხვდები, რა ძალით შეაჩერა უწმიდესმა გააგებული ქოფაკები.

\*\*\*

ერთხელ პატრიარქმა მოინახულა ციხეში სიკვდილმისჯილი პატიმრები, სხვა სასულიერო პირებიც ვახლდით. ერთ-ერთმა პატიმარმა უთხრა: „ჯანმრთელი ვარ და მინდა, სიკვდილის წინ სისხლი გავიღო, იქნებ ვინმეს გამოადგესო“. უწმიდესი შეცბა, მერე მოეფერა ამ კაცს და დალოცა. როცა გამოვბრუნდით, ცრემლს იმშრალებდა, მერე კი გვითხრა, ადამიანი ბოლომდე ავაზაკად არ რჩებაო.

ვფიქრობ, ამის შემდეგ დაიწყო ბრძოლა პატრიარქმა სასჯელის უმაღლესი ზომის გასაუქმებლად, რაც წარმატებით დამთავრდა და დღეს ჩვენს ქვეყანაში სიკვდილით დასჯის კანონი აღარ მოქმედებს.

\*\*\*


პატრიარქთან გამართულ ყველა შეხვედრაზე თითქმის ყოველთვის იგვიანებდა აწ გარდაცვლილი მეუფე თადეოზი (იორამაშვილი). ერთხელაც პატრიარქმა შენიშვნა მისცა: „დრო და უამს რატომ ვერ გრძნობ, რატომ იგვიანებ?!“ მე წამომცდა, ალბათ ვიღაცამ დაწყევლა-მეთქი. ჩემთვის მოულოდნელად, მეუფე თადეოზი პატრიარქის წინ მუხლებზე დაეცა. „რას შეაშინე ეს კაცი, ნახე, რა დღეში ჩავარდა“, – ღიმილით მითხრა უწმიდესმა, – მერე მეუფე თადეოზს მიუახლოვდა, თავზე ხელი დაადო, დალოცა და დაამშვიდა: ნუ გეშინია, მეუფეო, წყევლასაც შენსავით დააგვიანდებაო.

*დეკანოზი რევაზი (ტომარაძე)*



მღვდლად ახლად ხელდასმული უწმიდესმა დიდუბის ღვთისმშობლის ტაძარში მიმავლინა. დიდი ხანი არ იყო გასული და აი, ერთხელაც კერძო პანაშვიდს ვიხიდი, „სულთა თანას“ ვგალობ. მოულოდნელად პატრიარქი შემოვიდა ტაძარში, თურმე წმიდა თამარის ფრესკას ხატავდა. დავიბენი. „ზეციურ მეუფესთან შევწყვიტო საუბარი და მიწიერს მივეახლო ლოცვა-კურთხევისთვის?“ გალობა დავასრულე (მაგრამ არა პანაშვიდი). სასწრაფოდ შევედი საკურთხეველში, აღსავლის კარი გავაღე და გულაჩქარებით ამოვთქვი წაგალობებით: „მრავალუამიერ, მეუფეო!“ მანამდე უწმიდესი შუა ტაძარში იდგა მღუმარედ. როდესაც საკურთხეველში შემოსულისგან დალოცვა ავიღე, მორიდებით დავეკითხე: სწორად მოვიქეცი თუ არა, რომ ჯერ ზეციურ მეუფესთან დავასრულე საუბარი და მერმელა მოგეახლეთ-მეთქი. უწმიდესმა თბილად გამიღიმა და მითხრა, რომ მართებულად მოვიქეცი, შემდეგ კი შემაქო პანაშვიდის გალობით შესრულებისთვის...

ჩვენი პატრიარქი, პირველყოვლისა, ღირსეული თავმდაბლობით დამამახსოვრდა. მას აქვს მრავალი სხვა სათნოებაც, ხოლო, როგორც დიდი იოანე ოქროპირი გვასწავლის: „ვიწრო და წუხილიანი გზით მიმავალმა და ქრისტეს მცნებათა აღმასრულებელმა, შეუძლებელია, ყველა ადამიანისაგან შექება და განცვიფრება დაიმსახუროს, რამეთუ დიდია ძალა ბოროტებისა და მტრობა სათნოებისადმი“. თუმცა, „ვინც გვაძაგებს, ის გვჩუქნის, ხოლო ვინც გვაქებს, ის გვპარავს“ (წმიდა ამბროსი ოპტელი). „ღმერთი ყველგან არის, მაგრამ უფრო ახლოს იმ ღვთისმოსაობაში მოღვაწეებთან, რომელნიც არა-



**პატრიარქი ხატავს წმიდა თამარის ფრესკას**

მარტო რწმენის აღიარებით, არამედ საქმეებითაც ბრწყინავენ“ (ლიმონარი). ეგვიტარია სწორედ ჩვენი უწმიდესი მამა და პატრიარქი ილია. მრავალი დიდებული საქმე აღასრულა უფაღმა მის მიერ, რომელთაგან გამორჩეულად მისი უწმიდესობა შეიდგზისი ლოცვის აღდგენას მიიჩნევს.

რაც შეეხება „რწმენის აღიარებას“, იგი, ჩვენი აზრით, განსაკუთრებულად გამოჩნდა კრეტის ე.წ. „წმინდა და დიდ კრებაზე“ წაუსვლელობითა და მის არამართლმორწმუნე დადგენილებებზე ხელის არ მოწერით, რითაც ჩვენი სარწმუნოება წმინდად და შეუბღალავად დაიცვა და ყოველი მოშურნე მართლმადიდებლისთვის სამაგალითო შეიქმნა.

ვიდრე წარწყმედის შვილი გამეფდება ქვეყნიერებაზე, იგი საზოგადოების დეკრისტიანიზაციის მიმართულებით მოქმედებს. სწორედ ამ უმძიმეს დროებაში მოუწია ჩვენს პატრიარქს მოციქულებრივი ჯვარისმტვირთველობა, უფრო ხედმიწევნით კი რომ ვთქვათ, ჯვარზე ასვლა. – „კარგია ღვთის ჯვართან ყოფნა, მაგრამ რამდენად უმჯობესია, ევნო

ამ ჯვარზე“ (წმიდა ამბროსი ოპტელი).

თუმცაღა, „ვინც ზეგარდამო ღმერთმა გვირგვინოსან-ჰყო და განადიდა, კაცთაგან განა ვინმე შეძლებს მის ღირსეულად შექებას?“ მაშ, „მოვედით და მის უწმიდესობასთან ერთად უფლის ნათელში ვიაროთ“ (ეს. 2,5), რადგანაც „ღვთისმოსაობა ყველაზე უფრო ძლიერია“ (სიბრძნ. 10,12).

*დეკანოზი არჩილ მინდიაშვილი*

### ხორცშესხმული სიყვარული

ვფიქრობთ, ღვთის მადლით, ჩვენ, ქართველებს, გარდა პირადი სიხარულისა, გვაქვს მრავალი მიზეზი ბედნიერებისა. ერთ-ერთი არის ის, რომ ვართ მართლმადიდებლები, ქართველები და ვცხოვრობთ საქართველოში იმ პერიოდში, როცა ერის მამათმთავარი არის უწმიდესი და უნეტარესი ილია მეორე.

დიდი სიხარულითა და მონატრებით ვისხენებ უწმიდესის სტიქაროსნობის საუკეთესო წლებს. ვმადლობ უფალს, რომ თითქმის 13 წლის განმავლობაში ვიყავი უწმიდესის სიახლოვეს. არ ვიცი, რით დავიმსახურე ღვთის წინაშე ეს დიდი წყალობა. იმ წლებს ახლა უფრო შევნატრი, მაშინ ამდენად ვერ ვაფასებდი... 17 წელია, რაც სასულიერო პირი ვარ და ახლაც, საჭირო რომ იყოს, დიდი სიხარულით ვიქნებოდი მის სიახლოვეს.

გასახსენებელი მართლაც ბევრია. გამოყოფილი უწმიდესთან ერთად სამთაგროში მოსალოცად ჩასვლას; იღუმენია

ქეთევანი და მონასტრის დედეები რა გულითადად მასპინძლობდნენ ჩვენს პატრიარქს. მახსოვს, უწმიდესისა და მამა გაბრიელის საუბარიც... ახლა რომ ვიგონებ, ვხვდები, ღვთის წინაშე რამხელა ბედნიერება მქონდა, ამ ყველაფერს ფიზიკურად შევხებოდი, სულიერად კი გამეზიარებინა. ისე არაფერი მენატრება, როგორც საქართველოს კეთილდღეობით გახარებული და ამ სიხარულით გაღიმებული უწმიდესი. მას მე ხორცშესხმული სიყვარული და ხორცშესხმული საქართველო დავარქვი, – ადამიანს, რომელიც საქართველოს კეთილდღეობაზე ზრუნვამ და ფიქრმა დააბერა. უწმიდესი მართლაც რომ უწმიდესია და ყველაფერს გვპატიობს. მაქვს ერთი განსხვავებული სასმისი, რითაც ვლოცავ: გაუმარჯოს საქართველოს პატრიარქს და პატრიარქის საქართველოს!

მართლაც, გაუმარჯოს საქართველოს პატრიარქს და პატრიარქის საქართველოს!

*დეკანოზი გიორგი დორეული*





უწმიდესი და მამა რევაზი დიაკვნის ხარისხში

მოწყალე უფალმა წილად მარგუნა ეკლესიურ ოჯახში დაბადება. პატარაობიდანვე ეკლესიის სულიერ ცხოვრებაში ვლებულობდი მონაწილეობას. მე კარგად მახსოვს უწმიდესი ეფრემ II-ისა და უწმიდესი დავით V-ის წირვა-ლოცვები სიონში. დღესასწაულსაც მცირე მრევლი ესწრებოდა, მაგრამ 1977 წლის 25 დეკემბერს მცხეთაში, სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში, მრავალათასიანი კრებულის წინაშე მოხდა მისი უწმიდესობის, ილია II-ის ინტრონიზაცია და დაიწყო ეკლესიის ისტორიაში ახალი ერა.

სიონის საკათედრო ტაძარში კვირა დღის წირვებს მასიურად მიაწყდა საზოგადოების ყველა ფენა. ისინი მონუსხულივით უსმენდნენ პატრიარქის დიდებულ ქადაგებას.

ერთხელ, პატრიარქმა, სიონში წირვის დამ-

თავრების შემდგომ, რამდენიმე ახალგაზრდა დაგვიბარა საღამოს ექვს საათზე. მისვლისას მან ჩაგვაცვა სტიქარი და თვითონ გვასწავლიდა წირვა-ლოცვაში როგორ მიგველო მონაწილეობა. იგი მამაშვილური მზრუნველობით გვიხსნიდა ამ მოქმედებების მნიშვნელობას, თან გვასწავლიდა, რა როგორ გამოგვეხატა ფიზიკურ მოქმედებაში.

სიონის საკათედრო ტაძარი გადაიქცა საქართველოს სულიერ და ეროვნულ ცენტრად. ახალგაზრდა ბრძენი პატრიარქი მაგნიტივით იზიდავდა საზოგადოების ყველა ფენის ადამიანებს, განსაკუთრებით სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს.

მინდა გავიხსენო პატრიარქთან დაკავშირებული ერთი ეპიზოდი:

ერთხელ, წირვის დასაწყისში, როდესაც

პატრიარქს ხელეები უნდა დაეხანა, მე, ჭაბუკა შიოლაშვილმა (მეუფე დიმიტრი) და გია ჭანტურია გავეტანეთ ხელსაბანი ჭურჭელი, მაგრამ მოხდა გაუგებრობა: მე მეგონა, ჭაბუკამ გამოიტანა წყლით სავსე დოქი, ჭაბუკას ეგონა – მე გამოვიტანდი. შუა ტაძარში, კათედრაზე მდგომმა პატრიარქმა ხელსაბანი თასისკენ ხელეები გამოიწოდა იმის მოლოდინში, რომ ან მე, ან ჭაბუკა წყალს დავესხამდით. ჩვენ ერთმანეთს შევხედეთ და მივხვდით ჩვენს შეცდომას, დოქი საკურთხეველში დაგვრჩენოდა. ჭაბუკა უცებ გაბრუნდა და გამოიტანა საკურთხეველიდან დოქი. ამ დროის განმავლობაში მე და გიორგი ჭანტურია უხერხულად ვიდექით პატრიარქის წინ და ეს წამები ჩვენთვის საათებად გადაიქცა. პატრიარქმა მამაშვილური სიტბოთი, დიმილთ განმუხტა ეს დაძაბული სიტუაცია

ისე, რომ საყვედურიც კი არ უთქვამს.

პატრიარქი ყოველთვის გვეხმარებოდა სწორი არჩევანი გაგვეკეთებინა ცხოვრებისეულ გზაზე და ამას ქადაგებებით და პირადი საუბრებით, მამაშვილური სიყვარულით ახერხებდა. მისმა პიროვნებამ სრულიად განსაზღვრა ჩემი მომავალი ბედი და ამისთვის ჩემი ცხოვრებით დავალებული ვარ მისგან.

მის 40-წლიან მოღვაწეობას, ერის სულიერ გამოცოცხლებას, ჩვენ ბოლომდე ალბათ ვერც შევაფასებთ – ამას ისტორია და მომავალი თაობა უკეთესად გააკეთებს. ერთადერთი მინდა ვუსურვო ჩემს პატრიარქს – მრავალჟამიერი სიცოცხლე, ჯანმრთელობა და გულის გახარება დედა-სამშობლოს კეთილდღეობიდან გამომდინარე.

მრავალჟამიერ, ჩვენო უსაყვარლესო პატრიარქო, ჩვენო სულიერო მშობელო. ამინ!

*დეკანოზი რევაზ სიხარულიძე*

## „ყვავილები ქართველებს ჰბვანან...“

ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ვცხოვრობ ისეთ დროს, როცა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი არის ილია II. უწმიდესს ვულოცავ დაბადებიდან 85 წლისთავს და პატრიარქობის 40 წელს. ამ საიუბილეო თარიღს ვულოცავ ჩვენს ერსაც... ისტორიას არ ახსოვს, ამდენი წელი რომელიმე პატრიარქს ეწინამძღვროს ეკლესიისთვის, ჩვენი ქვეყნისა და ერისთვის.

ყველას ახსოვს, როგორ რთულ პერიოდში მოხდა უწმიდესის აღსაყდრება. მოქმედი ეკლესია-მონასტრებისა და ეპისკოპოსების რაოდენობაც მცირე იყო; პატრიარქის მოღვაწეობის დროს თითქმის არ დარჩენილა საქართველოში სოფელი, ტაძარი რომ არ ამოქმედებულიყო. სასულიერო განათლების მხრივაც უმძიმესი მდგომარეობა იყო. უწმიდესის დროს საქართველოს ეკლესია

ძალიან დიდ სიმაღლეზე ავიდა საერთაშორისო ასპარეზზეც.

დიდი მონატრებით გავიხსენებ ყველაზე ბედნიერ წლებს, როცა გავხდი უწმიდესის სტიქაროსანი. უწმიდესმა სიონის ტაძრის საკურთხეველში სტიქარით შემმოსა და მასთან მიწვევა მსახურება. სიონში ვმედავითნეობდი კიდევ. ერთხელაც, ტაძარში ექვსფსალმუნების წაკითხვა მომიწია, რის შემდეგაც უწმიდესთან ლოცვა-კურთხევის ასაღებად საკურთხეველში შევედი. უწმიდესმა მითხრა: „შალვა, საკითხავი ისე უნდა წაკითხო, ჯერ შენ უნდა გესმოდეს, რასაც კითხულობ, მერე ღმერთს უნდა გააგებინო, როცა ლოცულობ ღმერთს წინაშე, ტაძარში მყოფნი კი ყველაფერს გაიგებენ, რასაც კითხულობ.“

პატრიარქი ყველა ადამიანს პასუხისმგებლობით ეპყრობა. გაეიხსენებ იმ დროსაც, როცა პატრიარქთან დამე მორიგედ ვრჩებოდი. შვიდგზის ლოცვის აუცილებლობაზე რომ ქადაგებდა ტაძარში, უწმიდესმა ბრძანა:

„როდესაც თქვენ ექვს საათზე ადგებით და ილოცებთ, იცოდეთ, მეც თქვენთან ერთად ვლოცულობო!“

ერთ დღესაც უწმიდესი შეუძლოდ იყო და პირადმა ექიმმა დასვენება ურჩია. უწმიდესს ექიმის რჩევა გადავეცი. უწმიდესმა კი მიპასუხა:

„მე ერთი შვიდგზის ლოცვაზე ვაკურთხე, შეეპირდი, ვინც დილის 6 საათზე ადგება და ლოცვას წაიკითხავს, მეც თქვენთან ერთად ვლოცულობო. ამ ლოცვა-კურთხევას დღეს ორი ადამიანი მაინც ხომ ასრულებს და ისინი როგორ უნდა მოვატყუო, მათ ხომ ჰგონიათ, რომ მათთან ერთად ვლოცულობ, ამიტომ წავიდეთ ახლა და ვილოცოთო.“

ერთხელ ერთ-ერთი სტუმარი უნდა მოსულიყო საპატრიარქოში და პატრიარქმა დაგვაავალა, ზამთრის საოცარ ბაღში ყვავილები

ისე განგველაგებინა, რომ ყველაზე ღამაში წინა რიგში ყოფილიყო. არადა, უწმიდესს რაც აქვს ზამთრის ბაღში, ყველა ყვავილი ღამაშია. დიდი დრო დაგვჭირდა ყვავილების მოსაწესრიგებლად, მაინც ვერ დავაღაგეთ... უცებ უწმიდესი სავარძელში ჩაჯდა, ყველა გაგვაჩერა, ყვავილებს შეხედა და ბრძანა: „ეს ყვავილები როგორ ჰგვანან ქართველებს, ყველა ერთმანეთზე უკეთესი და ღამაშია; ვიდაცას წინ რომ ვაყენებ სხვებს, გული წყდებათ, მე რატომ არ ვარ წინო. ყველას წინ ხომ ვერ დავაყენებ, ვიდაც ვიდაცაზე წინ ხომ უნდა იყოსო...“

ერთხელ ვუთხარი: თქვენო უწმიდესობავ,



უწმიდესი და დეკანოზი შალვა

როგორი ბედნიერები ვიქნებოდით, თქვენ 20 წლით ახალგაზრდა რომ იყოთ, რამხელა სიხარული იქნებოდა თითოეული ჩვენგანისათვის-მეთქი. პატრიარქმა შემომხედა და მიპასუხა, ოცი წლით გამოუცდელი ვიქნებოდით.

ღვთის მადლით, უწმიდესს არ აკლია არც გონიერება, არც ლოცვის მადლი... ერთადერთი, რაც მინდა ჩვენს ერს, პატრიარქს, საკუთარ თავს ვუსურვო, ეს არის ჩვენი პატრიარქის დიდხანს სიცოცხლე. ძალიან სჭირდება ჩვენს ხალხსა და ქვეყანას მისი გამოცდილება, სიბრძნე და ლოცვის მადლი!

დეკანოზი შალვა კეკელია

## დიდი მწყემსი ქართველი ერისა

თქვენო უწმიდესობავ და უნეტარესობავ! მოკრძალებითა და კადნიერებით, გულწრფელად გილოცავთ თქვენი სამღვდლო მოღვაწეობის სამოც და სრულიად საქართველოს საპატრიარქო ტახტზე აღსაყდრების ორმოც წლისთავს!

თქვენ საქართველოს ისტორიაში ერთადერთი ხართ, ვინც ოთხი ათეული წელია საკუთარი მხრებით ატარებთ კათოლიკოს-პატრიარქის მძიმე ტვირთს. რთული მემკვიდრეობა გარგუნათ უფალმა – ფაქტობრივად განადგურებული ეკლესია და რწმენა-შელახული მრევლი. თქვენ 44 წლის ასაკში დიდი ენერგიით შეუდექით ფართო მასშტაბის საქმიანობას, თქვენი ყოველი ქმედების საფანელი სამშობლოს უსაზღვრო სიყვარული იყო. თქვენ ერს რწმენა დაუბრუნეთ და შემოაბრუნეთ ეკლესიისკენ. თქვენმა მრავალწლიანმა ბრძოლამ საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობისათვის ნაყოფი გამოიღო – 1990 წლის მარტში მსოფლიო (კონსტანტინოპოლის) საპატრიარქომ აღიარა და საგანგებო სიგელით დაადასტურა ჩვენი ავტოკეფალია. თქვენს სახელთანაა დაკავშირებული ტაძრების მასობრივი აღდგენა-მშენებლობა. განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს წმიდა სამების სახელობის ტაძრის აშენება. ჩემთვის დაუფიწყარია თქვენი აღფრთოვანება და შემდეგ დიდი ამაგი დავით აღმაშენებლის ეკლესიის აგებისას უნივერსიტეტის ეზოში.

თქვენო უწმიდესობავ და უნეტარესობავ, თქვენ დიდი ყურადღება მიაქციეთ სწავლა-განათლების პრობლემების გადაჭ-

რას, რწმენასა და მეცნიერებას შორის კავშირის აღდგენას, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების საქმიანობას, ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს. თქვენ პრაქტიკულად დაუახლოვეთ ეკლესიას ინტელიგენცია. თქვენ არაერთგზის შეახსენეთ ხალხს სახარების დებულება: „რომელმაც დაიმდაბლოს თავი თვისი, იგი ამაღლდეს, და რომელმაც აიმაღლოს, იგი დამდაბლდეს“. თქვენ თავმდაბლობის მაგალითს აძლევთ საზოგადოებას, ერსა და ბერს, ერის ცოდვებს მოინანიებთ კიდევ და მხურვალე ლოცვებს ადავლენთ. თქვენ განსაკუთრებულ ზრუნვას იჩენთ გაჭირვებულებისადმი.

სახელმწიფოებრივი მიდგომით გამოირჩევა თქვენი გადადგმული ყველა ნაბიჯი. სწორედ დაუღალავი მოღვაწეობით შესძელით ერისა და ეკლესიის გაერთიანება. თქვენი ყურადღება არ მოჰკლებია უმაღლეს სკოლას, სტუდენტობას. ბევრი გააკეთეთ ღირსეულ ქართველ მამულიშივითა კანონიზებით, დაიბრუნეთ მრავალი სიწმინდე. თქვენს სახელთანაა დაკავშირებული ღმრთისმსახურების დროს ქართული საგალობლების აღდგენა-განახლება. გამოირჩევით მხატვრობის მაღალი ნიჭით. თქვენს მიერ შექმნილი არაერთი ფრესკა ამშვენებს საქართველოს ეკლესია-მონასტრებს, ხოლო თქვენი მუსიკალური ნაწარმოებები, საგალობლები, გამოირჩევა მაღალი დონით და მსოფლიოს ბევრ ტაძარსა და სცენაზე სრულდება.

თქვენო უწმიდესობავ და უნეტარესობავ, ერთადერთი თქვენ ბრძანდებით, ვინც მრავალწლიანი თავდადებული მოღვაწეობის-







თვის, ღმრთისა და ერის სამსახურისთვის, ქართველი ერის სულიერი და ფიზიკური გადარჩენისთვის, ქვეყნის გამოღიანებისთვის ბრძოლაში გაწეული განსაკუთრებული ღვაწლისთვის სახელმწიფოს უმაღლესი ჯილდოთი – დავით აღმაშენებლის ორდენითაა დაჯილდოებული. თქვენ ერი ჭეშმარიტ სულიერ მამად მიგიჩნევთ, ერმა გიწამათ და ილია ჭავჭავაძის საქმის გამგერძელებლად მიგიჩნიათ.

წარსულის პატივისცემით, დღევანდლობაზე ზრუნვითა და მომავლის რწმენით, ხალხს მიუძღვის ჩვენი მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია, რომელსაც სათავეში უდგახართ ღვთისგან გამორჩეული, 60 წელი

ბერობაში მყოფი, 40 წელი კათოლიკოს-პატრიარქად აღსაყდრებული, 85 წლის, ქრისტესმიერი სიყვარულით სავსე ადამიანი, დიდი მწყემსი ქართველი ერისა, უწმიდესი და უნეტარესი ილია მეორე – სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი.

მრავალჯამიერ სიცოცხლესა და ჯანმრთელობას ვუსურვებ საქართველოსთვის დამამკრალ ამ დიდ მამულიშვილს!

მოკრძალებით,

ქრისტესმიერი სიყვარულით,

*როინ მეტრეველი*

## „შეუპლგელი კაცთაბან, შესაპლგელ არს ღმრთისა მიერ“

მე იმ თაობას ვეკუთვნი, რომელმაც სახარების სიბრძნე, საქართველოს ეკლესიის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის უმთავრესი მოვლენები, ერთმანეთისა თუ სხვა ერებისა და კონფესიებისადმი სიყვარული და პატივისცემა სიონის საკათედრო ტაძარში, მისი უწმიდესობისა და უნეტარესობის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ქადაგებებით ისწავლა.

შაბათ-კვირა, ჩვეულებისამებრ, წირვალოცვის დღე იყო. ორშაბათი – ბავშვების დალოცვის, სამშაბათი – ქადაგებისა. ამასობაში რომელიმე დიდი საეკლესიო დღესასწაულიც დადგებოდა და, ასე, მთელ კვირას სიონის ტაძარში ვატარებდით.

ქადაგებებში პატრიარქი არცთუ იშვიათად თავის გრანდიოზულ გეგმებზეც გვესაუბრობდა. ეს იყო ავტოკეფალიის ცნობისა და აღიარების საკითხი, მინანქრის ხელოვნების აღდგენა, ახალი საეკლესიო გუნდების ჩამოყალიბება, ძველი ეკლესიების განახლება და გამშვენება, ახალი ეკლესიების მშენებლობა და ა. შ. ყველაფრის ჩამოთვლა

შეუძლებელია. ქადაგების დასასრულს მისი უწმიდესობა ჩვეული ღიმილით გადმოგვხედავდა და გვეტყოდა: „ეს ყველაფერი თქვენ უნდა გააკეთოთ!“

იმ დროისათვის ამ საკითხების განხორციელება იმდენად რთული და წარმოუდგენელი იყო, რომ ეკლესიიდან შინ მიმავალს არაერთხელ მიფიქრია: როგორი მეოცნებე პატრიარქი გვყავს! თვითონ კი, მაგრამ ნეტავ ჩვენ რა შეგვიძლია, სადა გვაქვს სამაგისო ცოდნა ან გამოცდილება; ნეტავ, მართლა აქვს ჩვენი იმედი, თუ უბრალოდ გვაგულიანებს?

1984 წელს მისი უწმიდესობა სინას მთას ეწვია. ფეხშიშველმა აიარა მთის მწვერვალისკენ მიმავალი სამი ათას სამასი საფეხური და საქართველოსა და მისი მრავალეროვანი მოსახლეობისათვის ილოცა, იქიდან დაბრუნებულმა კი თავისი განცდები და შთაბეჭდილებები გაგვიზიარა. ისიც გვაუწყა, რომ სინას მთის წმიდა ეკატერინეს მონასტერში, იმ ხელნაწერების გარდა, რომლებიც ქართველი მეცნიერებისათვის უკვე



კათოლიკოს-პატრიარქი ილია II და მსოფლიო პატრიარქი დიმიტრიოსი ავტოკეფალიის ცნობისა და მტკიცების სიგელით

ცნობილი იყო, ახლებიც აღმოჩნდა. ბოლოს კი გვითხრა: „ეს ხელნაწერები თქვენ უნდა შეისწავლოთ!“

ისევ ნიჰილიზმი დამეუფლა, მაგრამ სახარების თანახმად, „შეუძლებელი კაცთაგან, შესაძლებელ არს ღმრთისა მიერ“ (ლუკა, 18, 27).

ჩემი თაობა მოესწრო ათეისტური საბჭოთა კავშირის ნგრევას, რამაც დიდი ეკონომიკური სიღუჭირის წინაშე დააყენა ჩვენი ქვეყანაც და ეკლესიაც. მიუხედავად ამისა, მისი უწმინდესობის ღოცვითა და ძალისხმევით, ნელ-ნელა ყველა გრანდიოზული გეგმა განხორციელდა: საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია აღიარეს; ძველი ტაძრები გამშვენდა და ახლებიც აიგო; საეკლესიო გუნდებიც ჩამოყალიბდა და ხელოვნების არაერთი მივიწყებული დარგიც აღორძინდა.

წილად მხვდა ბედნიერება, ორი გრანდიოზული გეგმის განხორციელებაში მონა-

წილეობა მეც მიმეღო. ესენია საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია და სინას მთაზე ახლად აღმოჩენილი ქართული ხელნაწერების კატალოგის შედგენა და გამოცემა.

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია და მისი მამამთავრის საპატრიარქო ტიტული არაერთგზის გამხდარა საკამათო ხან ანტიოქიისა და ხან რუსეთის საპატრიარქოებთან. ეს საკითხები განსაკუთრებული სიმძაფრით დადგა საქართველოს ეკლესიის დღის წესრიგში გასული საუკუნის 70-იანი წლების მიწურულს. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ მსოფლიო საპატრიარქოსაგან ოფიციალურად მოითხოვა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ უძველესი დროიდან მოპოვებული ავტოკეფალიის აღიარება და ამის დამადასტურებელი საბუთები. თუმცა, ეს არც ისე ადვილი მისაღწევი აღმოჩნდა.

მოლაპარაკებები თორმეტი წელი (1978-1990 წ.წ.) გაგრძელდა. ამ ხნის განმავლობაში კონსტანტინეპოლის ეკლესიიდან საქართველოს ეკლესიას არაერთი ოფიციალური წარმომადგენელი ეწვია. წილად მხვდა ბედნიერება, ამ მოლაპარაკებათა მონაწილე და თვითმხილველი ვყოფილიყავი, რადგან იმ წლებში საპატრიარქოს ბერძნული ენის ოფიციალური თარჯიმანი მე ვიყავი, ვუძღვებოდი მიმოწერას კონსტანტინეპოლის საპატრიარქოსთან (ბერძნულ ენაზე ვთარგმნიდი უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ისა და ქარ-

თველი მეცნიერების მიერ მომზადებულ სტატიებს, ისევე, როგორც კონსტანტინეპოლიდან მოსულ პასუხებს ქართულ ენაზე). ამასთან, ავტოკეფალიის საკითხთან დაკავშირებულ ყველა მოლაპარაკებაზე თარჯიმნის მოვალეობას ვასრულებდი.

საქართველოს ეკლესიის მეთაურის მცდელობამ შედეგი გამოიღო: 1990 წლის 4 მარტს, მართლმადიდებლობის ზეიმზე, კონსტანტინეპოლში (სტამბულში) სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ს შესატყვისი დოკუმენტები გადაეცა. იქაც მე ვთარჯიმნობდი. შეუძლებელია იმ სიხა-



კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, ალექსანდრიისა და სრულიად აფრიკის პატრიარქი პართენიოსი, მიტროპოლიტი დავითი (ჭკადუა), მიტროპოლიტი გრიგოლი (ცერცვაძე), ეპისკოპოსი კალისტრატე (მარგალიტაშვილი), ქნი თამარ მესხი. 1987 წელი



კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, ალექსანდრიისა და სრულიად აფრიკის  
პატრიარქი ნიკოლოზი და ქნი თამარ მესხი. 1981 წელი

რულის სიტყვებით გადმოცემა, რაც მის უწმიდესობას და დელეგაციის თითოეულ წევრს დაგვეუფლა.

ამ სიხარულს განსაკუთრებული ელფერი შესძინა იმ გარემოებამ, რომ გამარჯვების მოსალოცად მოვიდნენ არა მხოლოდ სტამბულში მცხოვრები ქართველები, არამედ თურქეთის შორეული სოფლებიდანაც კი. ეჭვი მეპარება, მუსლიმ ქართველებს ზუსტად სცოდნოდათ ამ საეკლესიო დოკუმენტების მნიშვნელობა, მაგრამ იმას კი მიხვდნენ, რომ ჩვენს თავს რაღაც კარგი ხდებოდა და ჩვენთან ერთად იზეიმეს ეს გამარჯვება. მათგან ზოგიერთს თავზე ჩაღმა ეხურა, მაგრამ ამას მათთვის ხელი არ შეუშლია, საქართველოს ეკლესიის სიხარული გაეზიარებინა და პატრიარქის ანაფორასაც მთხვეოდა. ეს რომ მახსენდება, გული მტკივა, როდესაც ზო-

გიერთი ჩვენი თანამემამულე, „ჭეშმარიტი მართლმადიდებლის“ ნიღაბს ამოფარებული, მათ სათანადო სიყვარულსა და პატივისცემას არ მიაგებს.

მეორე დიდი საქმე, რომელშიც მე მონაწილეობა მივიღე, სინას მთაზე ახლადამოჩენილი ქართული ხელნაწერების კატალოგის შედგენა და გამოცემაა.

სენსაციური აღმოჩენა, რომელიც 1975 წელს მოხდა სინას მთაზე, წმიდა ეკატერინეს მონასტერში, უკვე კარგად არის ცნობილი საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებისათვის. უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ისა და სინას მთის მთავარეპისკოპოსის, უნეტარესი დამიანეს შეთანხმების საფუძველზე, ახლადამოჩენილი ქართული ხელნაწერების შესწავლა საქართველოს



ლაბორატორიის ხელმძღვანელი ირაკლი იაკობაშვილი, შემდგომში – დავით ცხადაძე. მე 1994 და 1996 წლების ექსპედიციებში მივიღე მონაწილეობა, როგორც ბერძნული ენის სპეციალისტმა.

ექსპედიციის მონაწილეთა თავდაუზოგავი შრომის შედეგად, 2005 წელს ქ. ათენში დაიბეჭდა ახლად აღმოჩენილ ქართულ ხელნაწერთა კატალოგი სათაურით: „ახალი აღმოჩენები სინას მთაზე, ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა.“ კატალოგი შედგენილია სამ ენაზე – ქართულად, ბერძნულად და ინგლისურად. თითოეულ მათგანში ტექსტი სრულადაა წარმოდგენილი. ბერძნული თარგმანი ჩემი შესრულებულია, ინგლისური – მხეკალა შანიძისა.

სინაზე ყოფნისას შევეცადე, დრო მაქსიმალურად გამომეყენებინა და ჩემს ძირითად საქმიანობასთან ერთად (ჩემი მოვალეობა იყო კონტაქტის დამყარება ქართველ მეცნიერთა და სინელ ბერთა შორის და კატალოგის ბერძნულ ენაზე თარგმნა), შემეკრიბა

მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტს დაევადა. ქართველ მეცნიერთა ჯგუფი სამჯერ (1990, 1994, 1996 წწ.) ეწვია წმიდა ეკატერინეს მონასტერს ახლად აღმოჩენილი ქართული ხელნაწერების აღსაწერად. 1990 წელს სინას წმიდა ეკატერინეს მონასტერს ეწვივნენ ზაზა ალექსიძე და მიხეილ ქავთარია. შემდგომი ორი ექსპედიციის მონაწილეთა რიცხვი გაიზარდა. მონაწილეობდნენ მკვლევარები: ზაზა ალექსიძე, მხეკალა შანიძე, ლილი ხევსურიანი, მიხეილ ქავთარია. ასევე, რესტავრატორები: ლიანა ქუთათელაძე, დარეჯან გოგაშვილი, ნანა თარგამაძე; ინსტიტუტის ფოტოფიქსაციის

ის ბერძნულენოვანი დოკუმენტებიც, რომლებიც სინასა და საქართველოს მრავალსაუკუნოვან ურთიერთობას ეხება. ცხადია, ამ მიზნის განხორციელება შეუძლებელი იქნებოდა სინას მთავარეპისკოპოსი დამიანეს კეთილი ნებისა და წმიდა ეკატერინეს მონასტრის წიგნსაცავის მაშინდელი გამგის, მამა დიმიტრიოსის დახმარების გარეშე (მამა დიმიტრიოსი 2006 წლიდან არის მიტროპოლიტი არგიროკასტროსისა, რომელიც ალბანეთის ავტონომიური ეკლესიის შემადგენლობაში შედის). ესარგებლობ შემთხვევით და ვადასტურებ ჩემს განსაკუთრებულ პატივისცემასა და მადლიერებას მათ მიმართ.

წმიდა ეკატერინეს მონასტრის ბიბლიოთეკასა და არქივში მოპოვებულ ბერძნულ-ნოვან ცნობებსა და დოკუმენტებში ასახულია როგორც ქართველთა მოღვაწეობის კვალი სინას მთაზე (VI-XVI ს.ს.), ასევე სინელ ბერთა მოღვაწეობისა საქართველოში (XVI-XX ს.ს.). ქართული და ბერძნული წყაროების შეჯერების შედეგად გაირკვა:

1. წმიდა ეკატერინეს მონასტრის გალავანს შიგნით მდებარეობს ქართველთა მიერ აშენებული ორი ეკლესია: ერთი, იოანე ღმრთისმეტყველის სახელობისა, აგებული X საუკუნეში კვირიკე მიძნადორელის მიერ და, მეორე, წმიდა გიორგის სახელობისა, მიშენებული წმიდა ეკატერინეს მონასტრის ჩრდილოეთ გალავანზე; სავარაუდოდ, აგებული XIV საუკუნის 20-30-იან წლებში გიორგი ბრწყინვალეს მიერ და არა დავით აღმაშენებლისა, როგორც ეს ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში იყო დამკვიდრებული.

2. X საუკუნეში ქართველებს მოსეს მთის ძირში ლავრის ტიპის მონასტერი დაუარსებიათ და მას სინაწმიდად უხმობდნენ.

3. დადგინდა, აგრეთვე, რომ ხელნაწერთა ანდერძებში მოხსენიებული წმიდა გიორგის ეკლესია და სენაკები სინას, ანუ მოსეს მთის ძირში მდებარეობდა და არა წმიდა ეკატერინეს მონასტრის გალავანის შიგნით. ამრიგად, სინაზე წმიდა გიორგის სახელობის ორი ქართული ეკლესია ყოფილა – ერთი წმიდა ეკატერინეს მონასტრის გალავანს შიგნით, მეორე – მოსეს მთის ძირში. ეს უკანასკნელი დავით აღმაშენებლის აგებული უნდა იყოს.

4. მოსეს მთის კალთაზე, წმიდა გიორგის ეკლესიისა და სენაკების მახლობლად, ყოვლადუხრწნელი მარიამის სახელობის ქართული ეკლესიაც გვქონია.

5. გაირკვა, რომ მოსეს მთის კალთაზე მდებარეობდა აგრეთვე კვირიკეს ქვაბი და იგი ჯერ სინაწმიდის, ხოლო შემდეგ წმიდა გიორგის ეკლესიისა და სენაკების შემადგენ-

ლობაში შედიოდა. ეს იყო ქვაბი, რომელშიც კვირიკე მიძნადორელი ცხოვრობდა, შემდეგ კი მასში ბიბლიოთეკა განათავსეს.

6. გამოვლინდა წმიდა ანტონის სახელობის ქართული ეკლესია, რომელიც როგორც ქართული, ასევე უცხოური სამეცნიერო ლიტერატურისათვის სრულიად უცნობი იყო.

7. დავით აღმაშენებელს ლეჯის ველზე არა მხოლოდ ღმრთისმშობლის სახელობის მცირე ეკლესია, არამედ დიდი სამონასტრო კომპლექსი აუშენებია. მის შემადგენლობაში შედიოდა: 1. მთავარი ტაძარი, აგებული ღმრთისმშობლის შობის სახელზე, რომელიც ისტორიას შემორჩა სახელწოდებით „ბოსტანი“; 2. მცირე ეკლესია ღმრთისმშობლის ტაძრად მიყვანების სახელობისა; 3. წმიდა ანტონისა, რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დღემდე უცნობი იყო...

8. სავარაუდო ეკლესიების (წმიდა ელიას, წმიდა მოციქულთა და წმიდა ორმოც სებასტიელ მოწამეთა) რიცხვს შეემატა კიდევ ერთი ეკლესია – „წმიდათა უვერცხლოთა.“

9. გაირკვა ისიც, რომ ქართულ ხელნაწერთა ანდერძებში ხსენებული „საყოფელი ღმრთისმშობლისა იგივე მაყვლოვანის ეკლესიაა.“

წმიდა ეკატერინეს მონასტერში მოპოვებული დოკუმენტური მასალა (შესატყვისი ქართული თარგმანებით) გამოქვეყნდა ჩემს წიგნში, „სინა და საქართველო, ახალი ფურცლები მრავალსაუკუნოვანი ისტორიისათვის;“ თბილისი, 2013.

ახლა, ამ გადასახედიდან, როდესაც უწმიდესის მიერ დასახული გრანდიოზული გეგმებიდან უმეტესობა განხორციელებულია, მაგონდება ჩემი საყვარელი ბერძენი მწერლის, ნიკოს კაზანძაკის სიტყვები: „აუხდენელი და განუხორციელებელი არის მხოლოდ ის, რაც მთელი გულით არ გინატრია, რისთვისაც ცრემლი არ დაგიღვრია და რისთვისაც სისხლი არ გაგიღია“.

*თამარ მესხი*

## როგორ დაიწერა ბიძინა კვერნაძის „ოღა საქართველოს“

მცხეთა, სამთავრო. ეს გარემო იმდენად განსაკუთრებულია, იმდენად დიდ ემოციებს აღძრავს, რომ მთელი ცხოვრების გზაზე მიგყვება... ჩვენი აქაური შეხვედრები მის უწმიდესობასთან, საქართველოს პატრიარქ ილია II-სთან მორიგი ვიზიტის მერე დაიწყო. ასე ხდება რატომღაც, რომ ყველაფრის, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, თავი და თავი საქართველოს პატრიარქია. როცა მასთან დგახარ, ხვდები, ჩვეულებრივი ადამიანი არ არის, გასხვიოსნებულია, გარშემო სიწმინდეს აფრქვევს.

ყველაზე მძიმე პერიოდები საქართველოში მისმა უწმიდესობამ გადაგვატანინა. მასთან ურთიერთობა ხომ წარმოუდგენელი სიამოვნებაა. ხშირად ვხვდებოდით საპატრიარქოს რეზიდენციაში. იქ ყოველთვის თავს იყრიდა საინტერესო ხალხი. ჩვენც, ისე როგორც მთელ საქართველოს, გვიყვარდა და გვეიმედებოდა, მან ყველაფერი იცოდა...

ხელოვანი ხალხი მუდამ მოხიბლულია

მისი არა მარტო სულიერებით, არამედ საოცარი ნიჭიერებით. მშვენიერ მუსიკას წერდა, ხატავდა... ღმერთმა დიდი ხნის სიცოცხლე და სიმხნევე მისცეს ჩვენს პატრიარქს.

ერთხელ მისმა უწმიდესობამ დაიბარა ბიძინა, რომ ეჩვენებინა სამთავროს იღუმენიის, დედა ქეთევანის ლექსები. უთხრა, აირჩიე, რომელი ლექსიც გინდა და მუსიკა დაწერეო დედა ქეთევანის ტექსტზე.

სადამოს, როცა ბიძინა სახლში დაბრუნდა, ერთად გადავხედეთ ლექსების ამ პატარა წიგნს. ეს იყო ამდღეობული ფიქრები საქართველოზე, წმინდანებზე, ქართულ ენაზე... ძალიან ემოციური ლექსი აქვს ლადო ასათიანისადმი მიძღვნილი, ლევან გოთუას ცხოვრების მძიმე ხვედრზეც აქვს კარგი ლექსი. დედა ქეთევანი პროფესიით ფილოლოგია. განსაკუთრებულად გრძობს სიტყვის ძალასა და სურნელს, სულით პოეტია. ხშირად იყენებს ძველ, თითქმის დავიწყებულ სიტ-



იღუმენია ქეთევანი, ბ-ნი ბიძინა კვერნაძე, ქ-ნი ნუგეშა მესხი, დგას ქ-ნი ანა ღამბაშიძე



ყვებს. საერო თემაზე დაწერილ ლექსებშიც ქმნის ისეთ განწყობილებას, რასაც სასულიერო პოეზია ბადებს.

მე და ბიძინა ერთად ვკითხულობდით ამ ლექსებს. ციოდა, შუქიც არ იყო. სანთლის შუქზე ვისხედით. თითქოს შესაფერისი გარემო შეიქმნა და ჩვენ შეგვიპყრო ამ ლექსების ძალიან ქართულმა სამყარომ. ბიძინამ მაშინვე აირჩია ლექსი სათაურით „საქართველო.“ მაღე დაწერა მუსიკა, დაარქვა „ოდა საქართველოს“ და უძღვნა პატრიარქს. მაშინ ბიძინა ჯანმრთელობის მხრივ ძალიან ცუდად იყო, ხელი აღარ ემორჩილებოდა, მაგრამ მაინც დაწერა და ეს მისი უკანასკნელი მუსიკალური ნაწარმოები აღმოჩნდა... სათანადო შესრულება ვერ მოხერხდა. მიზეზი იყო ავადმყოფობაც, გაჭირვების დროც. ეს უნდა შეესრულებინა სიმფონიურ ორკესტრსა და გუნდს. სიმფონიურ ორკესტრს უნდა გადაუხადო. არც თანხები, არც ჯანმრთელობა... არეული გარემო...

ამ ნაწარმოებს დიდი ორკესტრი და დიდი გუნდი სჭირდება, მაგრამ გარკვეული ფორმით მაინც შესრულდა. სინთეზატორისათვის დაამუშავა მერაბ მამულაშვილმა. რვაკაციანი, პატარა გუნდიც მონაწილეობდა, ორი სოლისტიც მღეროდა. ერთ-ერთი გახლდათ სულხან გველესიანი, ოპერის სოლისტი, არაჩვეულებრივი ტენორი.

გამოვიდა ნოტებიც „ოდა საქართველოზე“. მე განსაკუთრებით მეპიროფასება ეს ნაწარმოები, ბიძინას უკანასკნელი ქმნილება... მაშინ ხომ უკვე ვეღარ წერდა, პარკინსონი ჰქონდა. დაუძღვრებული იყო ფიზიკურად, მაგრამ სულიერად მაინც მხნედ გახლდათ.

ამ პარტიტურაში არაფერია შემთხვევით მოტანილი, ყველაფერი ნაგრძნობია და განცდილი...

ნაწარმოებზე მუშაობის პერიოდში ხშირად დავდიოდით სამთავროს მონასტერში დედა ქეთევანთან. იქ გავიცანით მონაზვნები, რომლებმაც საოცარი შთაბეჭდილება დატოვეს ჩემზე. გამიჩნდა მათ მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულება. მიყვარს ისინი და უდიდეს პატივს ვცემ. ვგრძნობ, რომ ისინი სულ სხვა



**უწმიდესი და ბატონი ბიძინა**

განზომილებაში ცხოვრობენ, ამქვეყნიური ამოებისაგან შორს, განწმენდილები...

მახსოვს ის დროც, როცა დედა ქეთევანი მძიმედ იყო ავად და საავადმყოფოში დიდი ხნის მანძილზე ხელოვნურ სუნთქვაზე იმყოფებოდა. უსაზღვროდ განვიცდიდით, საავადმყოფოში მივდიოდით, მაგრამ შიგ არ გვიშვებდნენ და დერეფანში ვგებულობდით მის ამბავს. არ ვიცი, რა ძალამ გამოიყვანა ამ მდგომარეობიდან. ის საერთოდ ძალიან ძლიერი ადამიანია. ეს ძალა, ალბათ, რწმენაშია, რწმენა სასწაულებს ახდენს. ალბათ, გრძნობდა იმასაც, რომ უნდა გამოჯანმრთელებულიყო და დიდი მისია შეესრულებინა: სხვა ადამიანებიც გაემყარებინა რწმენაში...

სამთავროში ერთ-ერთი სტუმრობისას დედა ქეთევანმა ქოთნის მცენარე მაჩუქა. საოცრად გაიზარდა და გამრავლდა. სხვა ქოთნებშიც გადავრგე და გავამრავლე. როცა ვრწყავ, მუდამ სამთავროში გატარებულ დღეებს მაგონებს; ვფიქრობ, ეს სიმბოლურია...

*ნუგეშა მესხი-კვერნაძე*

## პარიზში მარადიული ცხოვრებისა

ქართველი ერის სულიერი მამის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის სახელი, რომელიც არს „უზაკველი სულითა და წრფელი გონებითა,“ 40 წელია სამწესოს გულშია დავანებული. ბრძნული ქადაგებანი, მამობრივი ზრუნვა მრევლზე, ტრადიციების, მეცნიერების, კულტურის, სასწავლო ცენტრების განვითარებაზე, საგალობლების, უნიკალური ეთნოგრაფიის, ხუროთმოძღვრების აღორძინებაზე აოცებს ყველას. შემთხვევითი როდია, რომ მსოფლიო მართლმადიდებლობის იერარქები მას ადარებენ „ანთებულ კელაპტარს, რომელიც მთელ საქრისტიანოს უფლისკენ მიმავალ გზას უნათებს.“

ჩვენს პატრიარქზე მრავალი მონოგრაფია, გალობა, წიგნი, ლექსი დაიწერა. შესანიშნავი ხატმწერი, მუსიკოსი, მრავალი გალობის სულისჩამდგმელი, ყველაზე დიდი ქომაგია ქართული კულტურის, დამწერლობის, უნიკალური ანბანის, მრავალხმიანობისა... მას ადარებენ ბიბლიურ მოსეს, ილია წინასწარმეტყველს, მაგრამ, ვფიქრობ, ყველაზე ახლოს ის არის ილია მართალთან, რომელმაც შეახსენა გადაგვარების გზაზე მდგარ ქართველობას სამი საკრალური სიტყვა: „მამული, ენა, სარწმუნოება,“ მრწამსი ერისა: „მამულიშვილის გვირგვინი სამშობლოს სამსხვერპლოზე ჰკიდიან!“ ეს ანდერძი ჩვენმა უწმიდესმა და უნეტარესმა პატრიარქმა დაავიკრებინა ახალი სამეხობით: „ღმერთი, სამშობლო, ადამიანი!“

ჩვენი პატრიარქი ხშირად იხსენებს რომაელების თეზას: „დრონი იცვლებიან და ჩვენც ვიცვლებით მასთან ერთად!“ მინდა გავიხსენო პირველი შეხვედრა უწმიდესთან პატარა რეზიდენციაში სიონთან 70-იან წლების მიწურულს. ეს იყო გამარჯვებული სოციალიზმის ეპოქა. კომუნისტური იდეოლოგიის, ცენზურის, ყველანაირი აკრძალვის ეპოქა...

მაშინ ახალბედა ჟურნალისტი ვიყავი და ჩემი სატკივრით პატრიარქს ვეახლე. ძალიან მჭირდებოდა მისი რჩევა დავით გარეჯის უნიკალური სამონასტრო კომპლექსის თაობაზე, რადგან ძველი სამხედრო პოლიგონის ყუმბარების სამიზნედ იყო ქცეული. ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლებზე, ქართულ მრავალხმიანობაზე, ხატწერაზე, სამონასტრო კომპლექსებზე წერა აკრძალული იყო; ისტორიული კვალი – „ნაშთი ძველი დიდებისა“ – იშლებოდა ან დეფორმაციას განიცდიდა; გახსნეს თეატრები, საკონცერტო დარბაზები, სკოლები, მუზეუმები მეტეხის, ბიჭვინთის, ფოთის ტაძრებში... პრესა, ტელევიზია ქართული ერის საგანძურის დაცვის საკითხებს არ ეხებოდა.

პატრიარქმა მირჩია, მომემზადებინა პუბლიკაცია მეცნიერების, სამღვდელოების, ახალგაზრდების, თვით სამხედროების აზრის გამოყენებით მშვიდ ტონალობაში. ასე დაიბეჭდა ჩემი წერილი „დავით გარეჯი შველას ითხოვს!“ აგორდა კოლეგების პუბლიკაციების სერია, ახალგაზრდების, სტუდენტების საპროტესტო ტალღა. მიამიტობა და რომანტიზმი შეიცვალა საბრძოლო განწყობით მანკიერების წინააღმდეგ, ქართული კულტურის ძეგლების, თეატრის, მუსიკის, მხატვრობის დასაცავად. კრიტიკულ წერილებს მოჰყვა ზეწოლა, შანტაჟი, მუქარა, დასმენა...

მრავალი წლის მანძილზე ვიყავი საკავშირო გაზეთის „კულტურის“ საკუთარი კორესპონდენტი, 1989 წლის 9 აპრილამდე. შავი აპრილის უდანაშაულო ხალხის ხოცვა-ჟლეტის შემდეგ, როცა იმპერიამ თავისუფლებისაკენ სწრაფვა, მშვიდობიანი მიტინგი იარაღით და მომწამლაგი გახით დაარბია, დავტოვე რედაქცია და კოლეგებთან ერთად დავაარსე „საქართველოს ისტორიულ საგარეულოთა, თავად-ახნაურთა და მათ თანამდგომთა საკრებულო,“ რომელიც ჩვენი სუ-



ლიერი და საზოგადოებრივი ინტერესების გამომხატველი გახდა. სწორედ ამ პერიოდ-დან ჩამოყალიბდა ჩვენი თვალსაზრისი კონსტიტუციური მონარქიის თაობაზე და მტკიცე იდეოლოგიური პოზიცია, რომელიც 4 სიტყვით იყო განსაზღვრული: „მამული, ენა, სარწმუნოება, მეფე!“

საქართველოს პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II იყო ჩვენი ბრძენი მრჩეველი და საიმედო საყრდენი. პატრიარქის ღლოცვა-კურთხევით ჩატარდა კონფერენციები; მრავალი გაზეთი, ალმანახი, ბროშურა გამოვეცით, დავაარსეთ ნიკო ბაგრატიონის სახელობის თავად-აზნაურთა სკოლა-ლი-



სტუმრად უწმიდესთან. პატრიარქის გვერდით ქნი ია ბაგრატიონ-მუხრანელი, მარცხნიდან პირველი დგას ბნი მალხაზ ამაშუკელი

ცეუმი, დავასრულეთ უნიკალური გამოცემა „საქართველოს თავადაზნაურობა“... ამ რთულ გზაზე ჩვენი გულშემატკივარი და იმედი ყოველთვის იყო უწმიდესი, იგი „მარადიული ცხოვრების კარიბჭეს,“ ჭეშმარიტ რწმენას გვაახლოებდა. ნიშანდობლივია, რომ საპატრიარქოში გამართულ ჩვენს კონფერენციებსა და სემინარებზე გამოთქმული პატრიარქის მოსაზრებანი მთელი ერის თვალსაწიერსა და გონებაში დამკვიდრდა. მეტად საინტერესოა და ტევადი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის აზრი კონსტიტუციურ მონარქიაზე, ბაგრატიონებზე, ერის სულიერ მისიაზე:

„ეს კონფერენცია მეტად დროულია და ძალიან მნიშვნელოვანი. ჩვენ ვისაუბრეთ ბაგრატიონთა როლზე და სამეფოს აღდგენაზე მომავალში... მე ვფიქრობ, რომ მეფობის აღდგენა მომავალში რეალურია და ღმერთმა

ჩვენ ყველა მოგვასწროს ამ დალოცვილ და კურთხეულ დროს.“

„ბაგრატიონებს ჯერ მთავარი სიტყვა არ უთქვამთ. ჩვენ იმედით ვცხოვრობთ და ვლოდებით იმ ბედნიერ დღეს, როცა ბაგრატიონები თავის სიტყვას იტყვიან“...

„დღეს არის ნამდვილი ისტორიული დღე, ჩვენი შეკრება შედგა სვეტიცხოველში, სადაც ყველა მეფეს, დედოფალს, კათოლიკოს-პატრიარქს მუხლი მოუყრია, ულოცვია საქართველოს მშვიდობისა და კეთილდღეობისათვის. ჩვენ კიდევ ერთხელ გავიაზრეთ ის, რომ მთელი ჩვენი წარსული, ჩვენი კულტურა, ჩვენი სულიერება ეფუძნებოდა ბაგრატიონთა გვარს, ბაგრატიონნი ყველაფერს აკეთებდნენ, რომ საქართველო გაბრწყინებულიყო. ეს არ არის უბრალო საქმე. ბაგრატიონთა წარმომადგენლები იყვნენ ერის სათავეში სულიერადაც“...

2016 წლის 24 ივნისს საპატრიარქოში ჩატარდა ბაგრატიონ-მუხრანელებისადმი მიძღვნილი კონფერენცია. პატრიარქის დასკვნით სიტყვაში პირველად აღინიშნა უცნობი ფაქტი ერეკლე ბაგრატიონ-მუხრანელის ცხოვრებიდან. უწმიდესმა ბრძანა, რომ ისრაელის სახელმწიფოს დაარსების შემდეგ მას შესთავაზეს სამეფო ტახტი, თუკი ის რწმენას შეიცვლიდა. ირაკლი ბაგრატიონმა ტახტის გამო მართლმადიდებლობა არ დათმო. ალბათ გაახსენდა საამაყო ნათესავი ქეთევან წამებული, აშოთან ბაგრატიონ-მუხრანელის ასული და საქრისტიანოს დიდმოწამე...

„ქართლის ცხოვრებაში“ მრავალი მემბტიანე ყურადღებას ამახვილებს მეფისა და ეკლესიის ღვთივკუროთხეული გვირგვინის – „ხორცის“ მეფისა და ეკლესიის საჭეთ-

მპყრობელის, პატრიარქის – „სულის“ მეფის ფუნქციებზე. ისტორიკოსებისა და თეოლოგების თვალსაზრისით, საქართველოს პატრიარქის მიტრა აერთიანებს მეფის გვირგვინს (გარეთა, ქვედა მხარე) და პატრიარქის, მღვდელმთავრის მიტრას (შიდა, ზედა მხარე). ანუ ის არის მეფე-მღვდელმთავარი; მეფე პატრიარქის გვირგვინით.

ამჟამად, ჩვენი პატრიარქი ღირსეულად ატარებს „ხორცისა“ და „სულის“ მეფის უმძიმეს ჯვარს. ჩვენ, საქართველოს თავადაზნაურობა, ჯარისკაცებად დავდგებით ყველგან, სადაც გვიხმობს მთელი საქრისტიანოს „ანთებული კელაპტარი“, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II. დავდგებით მარადიული ცხოვრების კარიბჭესთან...

*ია ბაგრატიონ-მუხრანელი. ჟურნალისტი.  
საქართველოს თავადაზნაურთა საკრებულოს ვიცე-წინამძღოლი*

## **არსად ისეთი მაღლი არ მიმიღია, როგორც აქ, სამთავროში**

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II ჩემს ცნობიერებაში 1977 წლის 23 დეკემბრიდან ჩნდება, როდესაც მე, ჯერ კიდევ 16 წლისა, სიონის საკათედრო ტაძარში უახლოეს მეგობრებთან ერთად დავესწარი დიდი მნიშვნელობის კრებას, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის არჩევნებს.

მასხოვს ტაძარში მყოფი საზოგადოების გამომეტყველება, რაშიც იკითხებოდა დიდი მოლოდინი და ინტერესი იმისა, თუ უფალი ვის გამოირჩევდა საქართველოს უძველესი ადგილობრივი ეკლესიის მწყემსმთავრად და ჩვენი ერის სულიერ მამად.

ილია II ჩემთვის აღსაყდრების დღიდან იქცა პიროვნებად, რომელიც მესახებოდა

ჩვენი ერის წინამძღოლად ღვთისკენ მიმავალ გზაზე; იგი ღირსეულად ატარებს მისდამი ღვთისგან დაკისრებულ უმძიმეს და ამავდროულად უტკბილეს ჯვარს, ჩვენი ერისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ არ ზოგავს ძალასა თუ ენერჯიას და მუხლჩაუხრელად შრომობს, რათა საქართველომ და ქართველმა ხალხმა მართებული გზით იაროს.

უწმიდესმა არაერთგზის გამოავლინა თავისი გასაოცარი სიბოლო და სიყვარული ჩვენი ერის წინაშე, რისი ნათელი გამოხატულებაც იყო 1989 წლის 9 აპრილს, უდიდესი საფრთხის პირობებში რუსთაველის გამზირზე ქართველი ერის გვერდით დგომა (მე და ჩემი მეუღლეც იქ ვიმყოფებოდით); ყველას გვახსოვს მისი მამობრივი შეგონება და წუხილი მოსალოდნელი



**პატრიარქი სამთავროს მუზეუმში**

საფრთხის გამო, მისი შემფოთებული სახე და მის ხმაში აღბეჭდილი უდიდესი მწუხარება.

პატრიარქსა და ჩემ შორის არსებულ პირად ურთიერთობასთან დაკავშირებით, უპირველესად გავიხსენებ იმ დროს, როდესაც ვმუშაობდი საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, სადაც იმხანად კათოლიკოს-პატრიარქი ილია II ხშირად სტუმრობდა; არაერთხელ მქონია პირადი საუბარი ჩვენი ისტორიის საკითხებსა და სამუზეუმო საქმის განვითარებაზე ქვეყანაში, რის სპეციფიკაში უწმიდესი კარგად ერკვევა. უნდა აღვნიშნო, რომ პატრიარქთან ჩემი ურთიერთობის გზამკვლევი და ხელშემწყობი იყო ჩემი პედაგოგი და დიდი მეგობარი, საქართველოს თავადაზნაურთა წინამძღოლი (1995-2013 წლებში), ღვაწლმო-

სილი ისტორიკოსი, დიდი მეცნიერი ბატონი კონსტანტინე (კოტე) ჩოლოყაშვილი.

საქართველოს თავადაზნაურთა საკრებულოს აღდგენის დღიდან პატრიარქი დიდ ყურადღებას იჩენდა ამ ორგანიზაციის მიმართ და თავისი თანადგომით ხელს უწყობდა ერისთვის საკეთილდღეო საქმიანობაში; თავიდანვე თავადაზნაურთა საკრებულოს წევრი გახლავართ, მიხდებოდა უწმიდესთან შეხვედრები და კარგად მახსოვს მისი ნააზრევი და მიზნები საქართველოში კონსტიტუციური მონარქიის აღდგენის თაობაზე.

გავიხსენებ 2007 წელს, როდესაც ყოვლადწმიდა სამების ღვარის ახალგაზრდული ცენტრის დარბაზში შედგა თავადაზნაურობის დიდი თავყრილობა, რომელიც გახსნა და დალოცა კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ. მისი სიტყვა გამოირჩეოდა ბრძნული რჩევებითა და კეთილგონივრული შეგონებებით.

პატრიარქმა 2008 წლის ომის დროს გამოიჩინა უადრესად დიდი მოქალაქეობრივი თავდადება და ქრისტიანული თავგანწირვა, როდესაც არაფრად ჩააგდო აშკარა საფრთხე, გადავიდა რუსების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე, ჩამოასვენებინა და ღირსეულად დააკრძალვინა ქართველი სამხედრო და სამოქალაქო პირების ნეშტები. პატრიარქმა მაშინ შვილმკვდარ დედებს დაუბრუნა შვილები, რომელთა დასაფლავების იმედიც გადაწურული ჰქონდათ. ჩემთვის აღნიშნული გარემოება იყო უადრესად მნიშვნელოვანი და მინდა ვთქვა, რომ პატრიარქმა ამ დიდებული საქმით ყველა ქართველის გულში დაიდო ბინა.

რაც შეეხება ჩემს ურთიერთობას პატრი-

არქთან უახლოეს წარსულში, ვგონებ, ეს დღის განზრახვითა და ხელშეწყობით მოხდა.

2016 წლის ერთი შეხედვით ჩვეულებრივ სამუშაო დღეს დამირეკა სამთავროს მონასტრის კეთილმოწესემ, დედა ნინომ თხოვნით, რომ თუ თავად-აზნაურთა საკრებულოსათვის შესაძლებელი იქნებოდა, გაგვეტანა სამთავროს მონასტრის ტერიტორიაზე არსებული სამშენებლო ნარჩენები, რათა შესძლებოდათ მისი გამოყენება. ეს თხოვნა შევასრულეთ. შემდგომ სამთავროს მონასტრის წინამძღვართან, მის მაღალღირსება დედა-ილუმენია ქეთევანთან საუბრისას წარმოიშვა მეტად მნიშვნელოვანი საკითხი სამთავროს სამონასტრო კომპლექსში ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის დაარსებისა, რამაც მე დიდად გამახარა. როგორც ზემოთ აღვნიშნე, სამუზეუმო სივრცეში საკმაოდ დიდხანს მომიხდა მუშაობა და ეს თემატიკა ჩემს ცოდნას სრულიად შეესაბამებოდა.

დედა-ილუმენია ქეთევანის კურთხევით, სამთავროს სამონასტრო კომპლექსში გამოყოფილ ფართობზე დავიწყეთ შესაბამისი სამუშაოები, რაშიც თავისი თანადგომით დიდი წვლილი შეიტანა ჩემმა უახლოესმა მეგობარმა, ეროვნული მუზეუმის ღვაწლმოსილმა მუშაკმა ბატონმა ნოდარ ახალკაცმა.

რამდენიმეთვიანი მუშაობის შემდეგ მოეწყო სამუზეუმო სივრცე და 2016 წლის შემოდგომაზე გაიხსნა სამთავროს მუზეუმი, რასაც ესწრებოდნენ როგორც სასულიერო იერარქები, ისე სამოქალაქო პირებიც. მალევე მუზეუმი მოინახულა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ, რომელმაც ჩვენდა გასახარად, მოიწონა მუზეუმი და თავისი შეხედულებები გაგვიზიარა. მისი უწმინდესობის დამოკიდებულება ჩემი და ნოდარ ახალკაცის

ნაშრომისადმი ასეთი იყო: „ძალიან კარგია, შესანიშნავია!“ და ეს ჩემს ცხოვრებაში ყველაზე ძვირფასი და დასამახსოვრებელია.

ბოლო თვეების განმავლობაში რამდენჯერმე მომიხდა უწმინდესთან სტუმრობა, რაც ძირითადად ეხებოდა ვაკის პარკის ტერიტორიაზე ბოლშევიკების მიერ საქართველოს თავად-აზნაურთა ბოლო წინამძღოლის კონსტანტინე აფხაზისა და ქართველი გმირების დახვრეტის ადგილას ეკლესიის



**ილუმენია ქეთევანი და მალხაზ ამაშუკელი**

მშენებლობის საკითხს. პატრიარქმა მოგვცა კურთხევა ტაძრის ასაშენებლად.

უფალი ფარავდეს და აძლიერებდეს ჩვენს უწმინდესს და უნეტარესს ილია მეორეს!

*მალხაზ ამაშუკელი, საქართველოს თავად-აზნაურთა საკრებულოს გამგეობის თავმჯდომარე*

## მოკლვართმოკლვარი სრულიად საქართველოს

დიდ ქართველ მამულიშვილსა და მწერალს, ლევან გოთუას, უკვდავ „გმირთა ვარაშში“ აქვს გენიალური ფრაზა: „დიდი გულწრფელობა დიდი შეფერხებაცაა“. ჭკუშმარტად ასეა და ვისაც გამოუცდია, დამეთანხმება, როცა ადამიანი სულის ამოსვლამდე გიყვარს, სიტყვები ბოლომდე ვერასოდეს გამოხატავს იმ განცდას, რაც მის მიმართ გაქვს. მით უფრო რთულია,

ღირსეულად შეამკო ის, ვინც თავად არის უკიდევანო სიყვარულისა და მადლის გამცემი. თუმცა, გაგბედავ და შევეცდები, მოკრძალებით ქედი მოვუხარო ადამიანს, რომელიც მილიონობით ქართველისთვის არის მანათობელი სვეტი, იმედი და სასოება წუთისოფლის მსახვრალ ლაბირინთებში.

უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II,





გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, ეპოქალური ადამიანია და თუკი დღეს ქართველ ერს ჯერ კიდევ შემორჩა სულიერი და ზნეობრივი ღირებულებები, დიდწილად სწორედ მისი დამსახურებაა. მან შეძლო შეუძლებელი, – ქართველისთვის მინავლებული რწმენისა და ფესვის გაცოცხლება პირადი მაგალითის ძალით და ყოვლისმომცველი სიყვარულით. ვადიაროთ: ასეთი რამ მხოლოდ ღვთის რჩეულებს ძალუბთ და რაოდენ ბედნიერები ვართ, რომ უფალმა მოგვმადლა, ვიცოცხლოთ სწორედ იმ ეპოქაში, რომელშიც ჩვენი პატრიარქი მოევლინა ქვეყნიერებას.

რაც გარეშე თვალისთვის ჩანს, ეს ისედაც ყველამ იცის, მაგრამ მე შევეცდები, ასე ვთქვათ, ახლოდან, შინაური გარემოდან, დაგანახოთ ჩვენი სულიერი მამა და მოძღვართმოდღვარი სრულიად საქართველოსი.

ამ ორი წლის წინ, ჩემს ცხოვრებაში მოხდა საოცარი გარდატეხა, როდესაც ჩვენმა სულიერმა მამამ გამომარჩია საპატრიარქოს ჩოხოსანთა საზოგადოების თავკაცად და დამადგინა თავის მოადგილედ (უწმიდესი ხომ ჩოხოსანთა თავმჯდომარეა). სამშობლო და ეკლესია აქამდეც ძალიან მიყვარდა, მაგრამ პატრიარქმა სულ სხვა განცდით და თვალთ და მანახა ეს სიყვარული. მითხრა: დღეიდან შენს თავს აღარ ეკუთვნი, შენ უნდა იყო თავდადებული სამშობლოსა და დედაეკლესიისთვის!

ამ სიტყვების მოსმენა იმ ადამიანისგან, რომელსაც ათწლეულების მანძილზე საკუთარი ჯანმრთელობის, უამრავი გატეხილი ღამისა და ზღვად დაღვრილი ცრემლის ფასად აქვს მოპოვებული სამშობლოს სიყვარული, დამეთანხმებით, უდიდესი პატივი და ბედნიერებაა. ამ ადამიანს არ ეღალატება და თუ კაცი გქვია, მართლა უნდა გადადო თავი და ყოველდღე გაუხარო სათნო გული, ვინძლო, ამით მაინც მიაგო მცირედი იმ ღვაწლისთვის, რაც მას გაუღია ჩვენთვის და ჩვენი სამშობლოსთვის.

ჩოხოსნობა მხოლოდ ყანწი, ფიალა და

ქართული სამოსით პოზიორობა არ გახლავთ. ჩოხოსნობა ჩვენი მაღალღირსეული წინაპრების საუკეთესო ტრადიციებით ცხოვრების წესია და თანამედროვე ყოფაში მათი ისე გადმოტანა, რომ მარადიული და წარმავალი არ აგერიოს. ამაში ყველაზე ძლიერ ეკლესია გეხმარება. პატრიარქის წირვა-ლოცვებზე რეგულარულად დასწრება, აღსარება-ზიარება და უწმიდესის ქადაგებების მოსმენა ის მაღლია, რომელიც გამხნეებს და გაძლიერებს. არასოდეს დამავიწყდება ჩვენი პატრიარქის სიხარულით სავსე მზერა, როდესაც მან პირველად იხილა ჩოხოსანთა მწკრივი სამების საკათედრო ტაძრის შესასვლელში. ამ მზერაში სიხარული და იმედი ჩანდა. ჩვეული თავმდაბლობით მაღლობა გადაგვიხადა და გვითხრა, როგორ დაამშვენეთ აქაურობაო...

ჩვენი პატრიარქისთვის, ალბათ, ყველაზე ფაქიზი და სათუთი თემა გახლავთ ბავშვები და ჩვენი მომავალი თაობის ბედი. ჩამოვყალიბეთ ნორჩი ჩოხოსნების სადროშო, დავიწყეთ პატარების შემოსვა ქართული სამოსით და მათი მიყვანა წირვა-ლოცვებზე. ძალიან რთულია, სიტყვებმა გამოხატოს იმ უკიდვანო სიყვარულის სიმფონია, რაც სუფევს იმ დროს ტაძარში, როდესაც უწმიდესი დაბრძანდება ტახტრევანში და ბარტყებივით წინ დაისვამს ბავშვებს. დინჯად მიმოატარებს მზერას ხალიჩაზე მარგალიტებივით ჩამწკრივებულ პატარებზე, აკვირდება, ფიქრებში გარინდული, მათ განცდებს, საქციელს, სიტყვებს... ამ მზერაში რამდენი კითხვაა: ვის ხელშია ჩვენი ძვირფასი სამშობლოს მომავალი, როგორ წარმართოს სწორად ამ პატარების სულიერი გეზი, რომ ისინი პატრიარქივით დარიალის ბურჯებად დაუდგნენ მამულს; ამიტომაც დაიწყო საყოველთაო ნათლობა; ამიტომაც დააფუძნა ამდენი სასულიერო სასწავლებელი; ამიტომ ასწავლის ამბიონიდან თვით ჰიგიენის წესებსაც კი და ვინ იცის, რომელ ბავშვს სად და როდის დაეხმარება ეს მამაშვილური შეგონებანი...

შარშან ნორჩი ჩოხოსნებისთვის დავიწყეთ სასწავლო კურსი „სამშობლოსმცოდნეობა“. პატარებს ვასწავლით მამულის სიყვარულს, ქართული ფესვისა და სულის ზეობას, ჩვენი წინაპრების საგმირო საქმეებს და სიკეთის ძალას. პირველ გაკვეთილზე ჩვენი პატრიარქის ბიოგრაფია გავაცანით და ვინაიდან მოსწავლეთა უმრავლესობა მისი უწმიდესობის ნათლული გახლდათ, ვთხოვეთ, რომ მიეწერათ ნათლიისთვის წერილები. მერე ისინი ერთად აგვიჩვეთ და პატრიარქს მივართვით. იშვიათად მინახავს ჩვენი უწმიდესი ისეთი გახარებული და ბედნიერი, როგორც იმ ბარათების კითხვისას. ეს იყო უშუალოდ, ბავშვური სისუფთავისა და უანგარო სიყვარულის განუმეორებელი ზეიმი. წერილით ყველა უხსნიდა სიყვარულს ძვირფას ნათლიას და ჩახუტებას სთხოვდა. ორი წერილი გამორჩეულად დაგვაძახსოვრდა. ერთ მათგანში პატარა ვაჟკაცი წერდა: ჩემო ნათლიავ, მესტუმრე, დედა ისეთ კარგ საჭმელებს აკეთებს, რომ ძალიან მოგეწონება, მერე ერთად ვისეირნოთ ბაღში, დამეც ჩვენთან იყავი და დილით თვითონ გადაწვიტე, დარჩები თუ წახვალო...

მეორე წერილში კი პატარა გოგონა ემუდარებოდა: ძალიან მინდა, რომ დიდხანს იცოცხლო, დამლოცო და ერთი ნატვრა შემისრულო, ჩემი დედიკო და მამიკო შეარიგო...

მერე უწმიდესმა გულში ჩაიკრა პატარები და თვალები მიღულა. ალბათ, ამ დახუჭული თვალების მიღმა, წამებში გადაიქარტყხილა ათწლეულებმა, მაგრამ იმ პატარებთან ჩახუტებულს, რამდენიმე წამშიც კი, გაახსენდებოდა საკუთარი ბავშვობა, სწოში დარწმუნებული აკვანი და ასე მონატრებული – „დედა გენაცვალოს, შვილო...“

რა ძნელია ტყვიასავით დამძიმებული ქუთუთოების აწევა, როცა თვალწინ გიდგება ტკბილი ბავშვობა, დედ-მამის აღერსიან მზერაში ჩარჩენილი და ტკივილამდე მონატრებული...

მაგრამ ვინ გაცდის ამდენს, ვინ დაგაცდის, თუნდაც, ბავშვობას, რადგან ყველას, ბავშვსაც

და მოხუცსაც, შენი იმედი აქვს, შენი ლოცვის, შენი სიტყვის და შენი სიბრძნის იმედი...

ყველაზე უფრო, რაც იმ პატარებთან შეხვედრისას მენიშნა, ეს არის პატრიარქის საოცარი უნარი, აჩვენოს დიდსა და პატარას, მორწმუნესა თუ ურწმუნოს, თუ როგორ შეიძლება იყო ერთდროულად წლების უღმობელ მართონში დაბრძენებული მსცოვანი პაპაც და წლებს აღეწებულნი წარსულიდან იმედის რაშზე ამხედრებული ჭაღარა ბავშვიც...

იმიტომ ახერხებს საერთოს გამონახვას დიდთანაც და პატარასთანაც, რომ მათთან სიყვარულის ენაზე საუბრობს მხოლოდ და არის ბავშვივით სუფთა...

იცით, კიდევ რით გამოირჩევა ჩვენი პატრიარქი? – მასავით არავის შეუძლია მზრუნველობა და ყურადღება. ასეთი რამ მხოლოდ მშობლებს ძალუძთ. ერთხელ ვახსენებ მამიპატიუა, დაგვიანებით ვესტუმრე; თავად ორიოდ სტუმარი ჰყავდა და უკვე დასრულებული ჰქონდათ ტრაპეზი. მიირთვიო, მთხოვა. ძალიან მერიდებოდა. შემატყო მორცხვობა, დედებს სთხოვა, შემოეთავაზებინათ ჩემთვის სხვადასხვა ნუგბარი. ხათრი ვეღარ გავუტყე. მიუხედავად იმისა, რომ დრო მოჭარბებული იყო, არაფრის დიდებით არ დაასრულა ვახშობა, ვიდრე არ დარწმუნდა, რომ კარგად დაენაყრდი. სახლშიც გამომატანა ტკბილეული, შოკოლადის ფილებიც დაემატებინა – საოცარია, ზუსტად გათვლილი ჩემი ოჯახის წევრებზე...

მას შეუძლია დეტალებში გაგახსენოს დიდი ხნის წინ მისთვის გაზიარებული გასაჭირი და თავს ვალდებულად თვლის, მოიკითხოს, თუ როგორ მოაგვარე კონკრეტული პრობლემა და ხომ არაფრით შეუძლია დახმარება. ყველასთვის ასეთია ჩვენი პატრიარქი – ყველას ტკივილი უნდა იტკივილოს, ყველას სიხარული გულით გაიზიაროს, ყურადღება გამოიჩინოს...

ძალიან განვიცდით პატრიარქის შვილები, როდესაც მას დაუმსახურებლად ცილს სწამებენ. მზად ვართ, ნებისმიერ მათგანს

ხელდახელ შევებათ და პასუხი მოვთხოვით მკაცრად. ამ დროს, უწმიდესი თავად გვაძლევს მოთმინებისა და დიდსულოვნად მიტევების მაგალითს. ნეტა იცოდნენ მისმა მახაგებლებმა, თუ როგორ გულმხურვალედ ღოცულობს მათთვის. ალბათ მივიდოდნენ და მუხლებში ჩავარდნილნი პატიებას შესთხოვდნენ ამ უძვირფასეს ადამიანს, რომელსაც ყველა უანგაროდ უყვარს და მათ შორის მოძულენი და მაჭირვებელნი მისნი...

ერთმა მოძღვარმა მიაბო: ტელევიზორს ვუცქერლით უწმიდესთან ერთად, ერთ-ერთ გადაცემაში მავანი აუგად იხსენიებდა ჩვენს პატრიარქს. უხერხულად ვიგრძენი თავი და დავაპირე, სხვა არსზე გადამერთო, მაგრამ უწმიდესმა შემაჩერა, ბოლომდე მოუსმინა და მერე მთხოვა: იმ ადამიანის სახელი ჩამაწერინე, ჩემზე რომ ამბობდა აუგს, ღოცვებში მინდა მოვისხენიო...

ერთხელ მითხრა: ჩვენს წინაპრებს უამრავი ბრძოლა გადაუტანიათ და თავისი სისხლით მოუტანიათ სამშობლო დღემდე. დღეს სხვა ვითარებაა და გახსოვდეს, ფარული ბრძოლა ღია ომზე გაცილებით მძიმეა, ღოცვით და ერთსულოვნებით თუ გავიმარჯვებთო...

როცა ასეთი პატრიარქი გვყავს, როცა ისეთი ფარი გვიცავს, როგორიც საქართველოს სულიერი მამაა, აუცილებლად გავიმარჯვებთ. მთავარია, გვერდში დაგუდგეთ, მისი ქადაგებები გავიზიაროთ, უმძიმესი ჯვრის ტარებაში ჩვენი გარჯით შევეშველოთ და უფალიც გადმოგხედავს. ჩვენს პატრიარქს ჩვენგან ერთსულოვნება და მამულიშვილობა სურს, შეუძლებელს რას ითხოვს? აქეთ გვეხმარება და გვეფერება მუდამ.

ერთხელ ვთხოვე და ამ თხოვნაში, ალბათ,



**ჩოხოსნები. მარჯვნიდან მეორე ზვიად სეხნიაშვილი**

ათასობით ადამიანის ხმაც იყო: თქვენო უწმიდესობავ, თქვენ დიდხანს, ძალიან დიდხანს უნდა იცოცხლოთ, რადგან ქართველი ერის იმედი ხართ და ყველა თქვენ შემოგყურებთ-მეთქი. გამიღიმა თავისი სათნო ღიმილით, მომეფერა, გულზე ხელი დაიდო და მითხრა: სანამ გამიძლებს, ჩვენი სამშობლოსა და თქვენთვის ვილოცებო!..

ჩვენც ვლოცულობთ და ვილოცებთ თქვენთვის, ჩვენო თბილო და მზრუნველო მოძღვარო, მაგ გულში კი მთელი საქართველოა და მზესავით მხურვალე სიყვარული. ამ სიყვარულივით და საქართველოსავით მრავალჟამიერი სიცოცხლე მოგმადლოთ უფალმა ქართველი ერის საიმედოდ.

გვიყვარხართ, ჩვენო პატრიარქო, საქართველოსავით გვიყვარხართ!

**ზვიად სეხნიაშვილი**

## ყველა ემიგრანტის სახელით



უზომოდ ბედნიერი ვარ, რომ საქართველოდან შორს მყოფს, მომეცა საშუალება, ჩვენს საყვარელ პატრიარქს, უწმიდესსა და უნეტარეს ილია II-ს დაბადების 85 და აღსაყდრების 40 წლის იუბილე მივულოცო.

უზომოდ ამაყი ვარ, ასევე, რომ ვარ იმ ქვეყნის შვილი, რომელსაც ჰყავს ისეთი სულიერი მამა, როგორიცაა ჩვენი ბრძენი პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II. ამაყი ვარ იმითაც, რომ ვარ იმ კუთხის შვილი, რომელმაც ჩვენს უწმიდესს აკვანი დაურწია. სწორედ აქ, ხევის ტრადიციებითა და ადათ-წესებით, სულიერი სიმდიდ-

რითა და გონებრივი სიბრძნით, სამშობლოსა და ხალხის უზომო სიყვარულით, ეკლესიისა და უფლის რწმენის ერთგულებით აღზრდილს დაულოცეს გზა იმ დიდი პასუხისმგებლობისა და რთული სავალისკენ, საიდანაც, მიუხედავად მრავალი წინააღმდეგობისა და მძიმე ჯაფისა, არასდროს გადაუხვევია და ყოველთვის იდგა თავისი ხალხის, თავისი ქვეყნის მშვიდობის სადარაჯოზე; ერიც და ბერიც ამ სწორი გზით ატარა და არაერთხელ იხსნა თავს დატეხილი უბედურებისგან.

მინდა, როგორც ერთმა უბრალო ემიგრანტმა, მივულოცო ჩვენს პატრიარქს ეს ბედნიერი დღე. ემიგრანტებს განსაკუთრებული სიყვარულით გვიყვარს და გვეიმედება უწმიდესი, რადგან ვიცით, როგორ გულმხურვალედ ღოცულობს ჩვენთვის და თვალცრემლიანი ვევედრება უფალს ჩვენს გადარჩენასა და შინ მშვიდობით დაბრუნებას. მეც ვლოცულობ და ვევედრები უფალს, დიდხანს გვიცოცხლოს თქვენი თავი ჩვენი დატანჯული,

დაქუცმაცებული საქართველოს საიმედოდ. ჩვენი, ემიგრანტების, მიტოვებულ ფუძეზე დასაბრუნებლად და თქვენზე დღე და დამ მლოცველი ხევის ასაღორძინებლად. ვულოცავ ჩვენს სათაყვანებელ სულიერ მამას ამ ლამაზ დღეს და ვუსურვებ დიდხანს სიცოცხლეს!

ჩვენ, მოხევები, ყოველი ღოცვის დროს ვევედრებით უფალს, წაიღოს თითოეული ჩვენგანისგან თითო წლის სიცოცხლე და მისცეს ჩვენს უწმინდესს, რომ დიდხანს, ძალიან დიდხანს არ მოგვაკლდეს მისი ღოცვა-კურთხევა და ზრუნვა. ამაყი ვარ იმითაც,

რომ მაქვს ბედნიერება, ვიყო იმ ჩოხოსანთა საზოგადოების რიგითი წევრი, რომელსაც უწმიდესი უდგას სათავეში. ამავე დროს, მაქვს ბედნიერება ვიყო იმ ჯვრისწერის პროექტის ხელმძღვანელი, რომელიც უწმიდესის ლოცვა-კურთხევით შეიქმნა და

უამრავ ოჯახს დაულოცა გზა სიმტკიცისა და სიძლიერისკენ. დაე, ყოველი ჩემი სიტყვა ყოფილიყოს უფლისადმი აღვლენილი ლოცვა თქვენი ღიღებისა, ჯანმრთელობისა და ღიღხანს სიცოცხლისა. მრავალჯამიერ თქვენი სიცოცხლე, უწმიდესო!

**პოეტი გიული ჩქარეული**



**პოეტები: გიული ჩქარეული, ერეკლე საღლიანი და ტარიელ ხარხელაური**

**თქვენო უწმიდესობავ!**

არ არის იოლი, ჩემნაირმა მოკვდავმა, უბრალოდ, მადლობა გითხრათ თქვენი ორმოცწლიანი ღვაწლისა და, ზოგადად, მთელი თქვენი სიცოცხლისთვის. არ მაქვს უფლება და, მით უმეტეს, არც გამბედაობა მეყოფა, რადგან ქვეყნისა და ერის წინაშე თქვენნაირად ვალმოხდილი ადამიანის ზეადამიანობის შეფასება, გარკვეულწილად, მკრეხელობადაც შეიძლება ჩამეთვალოს. ბედნიერი ვარ, ვცხოვრობდე იმ წუთისოფელში, იმ დროს, როცა ამქვეყნად თქვენნაირი უფლით-მოსილი კაცი დადის ჩემნაირთა თვალის ასახელად, გონის გამოსაფხიზლებლად...

თქვენო უწმიდესობავ! მომიტევეთ და ამ წერილს თქვენდამი მოძღვნილი ლექსის ერთი სტროფით დაგამთავრებ, რადგან აქ უფრო გამოკვეთილად ჩანს ჩემი დამოკიდებულება:

„თქვენო უწმინდესობავ, ტკივილების შენდობას  
ტკივილების გარეშე როგორ გაგიბედავდი;  
ჩემი ჩამონისლული პოეზიის ერდოდან  
შენს ლოცვებში და შენშიც საქართველოს ვხედავდი!“

**ტარიელ ხარხელაური**

## უწმიდესო და უნეტარესო!

ჩვენი სამშობლო არის იქ, საითაც მიყვართ ქრისტეს. ჩვენი სამშობლო არის იქ, სადაც დაგვაფუძნა მაცხოვარმა. ალბათ, ძნელია, როდესაც მოკვდავი სცდება საკუთარ ველს და გარედან უყურებს თავის თავს. ეს ძალა თქვენ იესო ნაზარეველმა მოგანიჭათ. ყველაფერს ერთად გილოცავთ ღვთივგანბრძობილ მოძღვარს და ვისურვებ, მალე ჩვენი ქვეყნის სულიერი და ტერიტორიული ერთობაც მომელოცოს!

თქვენდამი მიძღვნილ ლექსთაგან ეს მცირე ზომის ლექსი ვარჩიე:

„ქრისტე მაცხოვრის დაღვრილი სისხლი  
სამოთხის დახშულ კარიბჭეს აღებს,  
წარტყვევნის ბნელეთს და ცოდვილთ გვიხსნის,  
სიმშვიდეს მოგვგვრის სიკეთის გამღებთ.  
ღრუბელი ელვის ცეცხლის აღს ისურვის,  
იმთელებს ზეცა გაბზარულ თაღებს;  
ქრისტე მაცხოვრის დაღვრილი სისხლი  
სამოთხის დახშულ კარიბჭეს აღებს“.

*ერეკლე საღლიანი*



სევი

## კვლავაც ბვიძიძე, ბერო მინდიაჰ!

უწმიდესო და უნეტარესო მეუფეო, მწყემსო კეთილო ყოველთა ქართველთაო, სიყვარულო და სიქადულო ჩვენო, მამაო ილია!

სიტყვა უძღურია ღირსეულად გამოთქვას ყოველი სიკეთე, რაღცა დაუცადებელმან ბრძენ-წინამძღვრობამან თქვენმან მოჰმადლა ჩვენს ცხოვრებას.

ორმოცი წლის მანძილზე მორჩულად გიპყრიათ საჭე საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიისა და წარმატებით მართავთ ქართველი ერის სულიერ ცხოვრებას.

მრავალი განსაცდელისა და იწროების დათმენა მოუხდა ამ დროის მანძილზე თქვენს მიერ მსურვალედ შეყვარებულ ჩვენს ეკლესიას და მის ერთგულ მსახურთ. მრავალი უსამართლობა და ტკივილი გხვდათ წილად ყოველივე ამის გამო, მაგრამ თქვენ, მსგავსად მოსესი, ბრძნულად უძლოდით მშობელ ერს ჭეშმარიტების გზაზე, დამკვიდრებად სახლსა სამეუფოსა ზეშთასა.

თქვენი ღვაწლის ბედნიერი ნაყოფია ქართული მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის განმტკიცება, მისი ავტოკეფალიის ხელახალი და შეუქცეველი ოფიციალური დადასტურება, ქართული ქრისტიანული კულტურის საყოველთაო აღიარება, ქართული ეკლესიის მრევლის რწმენაში გაძლიერება,



სამონასტრო ცხოვრების აღორძინება, საუკუნეთა მანძილზე მიტაცებულ ქართულ მიწებზე ქართულითა ერთა ღოცვის აღვლენა და უამის შეწირვა, მართლმადიდებლობის აღდგინება გამაჰმადიანებულ ქართველთა შორის, ლაზარეს შაბათის ქართული ენის ხსენების დღესასწაულად დადგინება და მრავალთა სხვათა კეთილთა საქმეთა აღსრულება, რასაც ბრწყინვალე გვირგვინად ადგას დიდებული სამების ტაძარი – სიმბოლო ქარველი ერის სულიერი განახლებისა!

ყოველივე ამის სანაცვლოდ, დიდო მეუფეო და საყვარელო მამაო ჩვენო, აწ მდაბლად შემოგწირავთ სამადლობელსა ამას კნინსა!

### ვისი ბორისა ხარ?

ქართველებს ოდითგან მოგვდგამს კითხვა: ვისი გვარისაა, ვისი შვილიაო? დიახ, გვარი მეტყველებს პიროვნების, მისი ჩამომავლობის შესახებ, ამიტომაც დღესაც „გვარ-ჯილაგს“

უხმობენ მას ქართველები. ჩვენი ქვეყანა ოდითგან მტერთა თავდასხმას განიცდიდა და ერიც სამშობლოს დაცვის საქმეში იბრძმებოდა, სალკლდეგებოდა. ამიტომაც

ბევრია სამხედრო შინაარსის მქონე ქართული გვარი („ხმალაძე“, „მშვილდაძე“, „თოფაძე“, „ქავთარაძე“, „თურმანიძე“ და მისთ.), რომელთაგან ერთ-ერთია გვარი „ღუღუშაური“, რაც „მესაზღვრეს“ ნიშნავს.

თანამედროვე ქართულს არ შემორჩა საზღვრის აღმნიშვნელად სიტყვა „ღუღუ“ და ხმარობს მისგან ნაწარმოებ „ზღუდე“-ს

(მოზღუდვა / მოზღუდული), ტოპონიმოკამ კი შემოინახა სიტყვა „ღუღუშექეთი“, რაც თანამედროვე ქართულით ითარგმნება, როგორც „საზღვრისიქითი“ (შდრ. იმ-ერეთი). ღუღუშექეთი (ხარაგაულის რაიონის) მართლაც სამცხისა და იმერეთის გამყოფ ქედზე ბოლო სოფელია იმერეთის მხრიდან. ეს მოსაზრება დამიდასტურდა 2005 წლის აგვისტოში იმერხევში სტუმრობისას, როცა ჩვენებურებმა დაგვანახეს საქართველო-თურქეთის საზღვარი და გვითხრეს, იქ ღუღუა, ასკერები დგანანო. დიახ, იმერხეულ დიალექტს შემოუნახავს საზღვრის აღმნიშვნელი ძველი სიტყვა „ღუღუ“, რაც თანამედროვე ქართულმა ორად-ორი სიტყვით შემოინახა: იმერული სოფლის სახელით „ღუღუშექეთი“ და მოხეური გვართ „ღუღუშაური“.

ხევი აღმოსავლეთ საქართველოს მესაზღვრე, საზღვრის მცველი კუთხეა, მისი საპატიო და ძნელი მისია ოდითგან საქართველოს უსაფრთხოება და სამეფოს საგანძურის დაცვა იყო. მრავალი ღირსეული შვილი ჰყავდა ხევს და მათგან ღუღუშაურთა გვარი არავად გამორჩეულია. მარტო შიოლა ღუღუშაურის ხსენება რად ღირს ამ გვარის სადიდებლად...

დიახ, უკვე ორმოცი წელია, ამ ღირსეული გვარის ღირსეული შვილი დგას კვლავაც საქართველოს სულიერი ცხოვრების მესაზღვრედ და ხევისბერი გოჩას მსგავსად შეუვალად იცავს მის სარწმუნოებას, სიმართლეს, ზნეობას.

კვალვაც გვიძლოდე, ბერო მინდიავ!

*მანანა ჭირაქაძე*



სნო. ღუღუშაურების საგვარეულო კოშკი



„ადამიანის მიერ გაკეთებული ყოველი საქმე თუ საგანი არის მისი ხატი, მისი ავტოპორტრეტი.“

ილია II

როცა პატრიარქს სთხოვეს შეეფასებინა თავისი მოღვაწეობის პერიოდი, მან ლაპიდარული ფრაზა წარმოთქვა: „ერთი მზიანი ღამე!“

ამ ფრაზამ უამრავი ინტერპრეტაცია გამოიწვია ჩემს გონებაში:

ღამე – პირველი ადამი, სამოთხიდან განდევნილი კაცობრიობისა და ადამიანის სახე, დამძიმებული ამპარტავნების უმძიმესი ცოდვით, „მწარედ რომ იტანჯება და ქვითინებს ერთი ფიქრით: საყვარელ ღმერთს ვაწყენინეო“ (წმიდა სილუანი).

მზიანი – ხელახლა დაბადებული, საკუთარ თავთან მებრძოლი მეორე ადამის სახეა, „უფლის მცნების მიხედვით, ღვთის მსგავსებისთვის“ რომ იღვწის.

მაგრამ როცა ერის მისტიკური ორგანიზმის წინამძღოლი ხარ, „მზიანი ღამე“ შეიძლება შენი ერის, საზოგადოების მდგომარეობასაც ასახავდეს, და ამისდა კვალად სიტყვა „ღამეში“ გამიმჟღავნა მისი უმძიმესი სულიერი გზა, რაც ნაწილობრივ განპირობებულია მისი მოღვაწეობით იმ ეპოქაში, რომელშიც სულიერებას, უფრო ზუსტი იქნებოდა, გვეთქვა, ღვთის რწმენას დაუპირისპირეს მძლავრი ფილოსოფიური არგუმენტები, ლიტერატურული თეორიები თუ ხელოვნების ნაწარმოებები.

მზიანი – მის აღსრულებულ მისიას ასახავს: ეს იქნება 1990 წელს აღდგენილი ავტოკეფალია, მისი ნათლულების სიხარულით გამრავლებული და გამხნეებული მისი სამწყსო, შვიდგზის ლოცვები, აღდგენილი ეკლესია-მონასტრები თუ ლოცვაში გაძლიერებული ქართველი ერი, აღდგენილი სასულიერო აკადემია თუ სხვა სასულიერო სასწავლებლები და ა.შ. და ა.შ.

თქვენი უწმინდესობა და უნეტარესობა წერდა: „წმინდა მამები გვასწავლიან, რომ თუ ადამიანის ნება ემორჩილება ღვთის ნებ-

ას, მაშინ მისი სიცოცხლე ღვთიურია, მაგრამ, როგორ მივალწიოთ ამგვარ კავშირს ღმერთთან?“

მართლაც, რა აბრმავეს ადამიანს? ეს კითხვა XXI საუკუნის ადამიანს ხაზგასმით და მკაცრად დაესმის. რა აიძულებს მას, ასე უაზროდ და ფუჭად განვლოს ცხოვრება? როგორ შეიძლება, რომ ის ერთადერთ ფასეულობად მიწიერ ცხოვრებას მიიჩნევდეს?

„სად წაუხვალ მარადუქრობ ცეცხლს?“ – დიდ სინამდვილეს, რომელიც ჩვენს წინაშეა, ჩვენშივე ძევს და ჩვენ კი ძალა არ შეგვწევს, მივწვდეთ, რადგან ჩვენი სული არის გახევებული, უმოქმედო და ცხოვრების ორომტრიალს ინერტულად მიდევნებული.

„ჩვენ უფლება არ გვაქვს შევიძულოთ ქვეყანა, რამეთუ იგი ღმერთის ქმნილებაა, მაგრამ არც უნდა შევესისხლხორცოთ მას ბოლომდე, დაუღვერობამდე და გულგრილობამდე. ჩვენ გულში მუდამ უნდა ვატარებდეთ მიწასთან ინტერვალის გრძობას; ჩვენ უნდა ვიდოდეთ არა მიწასსა ზედა, არამედ მისგან ამალღებულნი. მხოლოდ ამ შემთხვევაში არ დავივიწყებთ მარადიულ ფასეულობებს“ (ილია II).

ინტერვალის ის ენიგმური ზღვარია, ქრისტიანულ სიყვარულში რომ ძევს; რომელსაც ძალუძს, ყოველი განსაცდელი, ყოველი ტკივილი იმ საიდუმლო კარებს დაამსგავსოს, რომლის შეღებისას აღმოჩნდები სინათლით და სიყვარულით აღსავსე სამყაროში. ამისთვის საჭიროა, მიიღო ყველა განსაცდელი დიდი მოთმინებითა და რწმენით, ვით ღვთის საჩუქარი.

ხანდახან მე გული მიჩერდება, როცა თქვენს სიტყვებში ჩამესმის დიდი წუხილი იმის გამო, რაც თანადროულ სამყაროში მიმდინარეობს: „ზოგჯერ გეჩვენება, რომ სამყაროში აღარ დარჩა ადგილი კაცისთვის“.

რით გამოირჩევა დღეს ქართველი ადამიანი? იგი ცივილიზაციის პირმშოცაა და, ამასთანავე, მისგან გამორიყულიც... აღარ ატყვია თავისი დიადი მუსიკის, თავისი დიადი სტიქიის პირმშოთა ტვიფარი – ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლების, დიდი კულტურული მემკვიდრეობის ქართული ლიტერატურის, ქართული ხალხური მუსიკისა თუ ქორეოგრაფიის, საამაყო ისტორიის, მათგან შექმნილი, თუ მათგან შობილი სულის მოძრაობანი, ღრმა, დახვეწილი და გრაციოზული. – ის თითქოს დათრგუნულია ამ სამყაროში, მან ხომ ბევრი რამ გადაიტანა ბოლო წლების განმავლობაში – ეს იყო საბჭოთა კავშირის ტოტალიტარული რეჟიმი, თავისი რეპრესიებით, უდანაშაულოდ და ყოველგვარი გასამართლების გარეშე გადასახლებული თუ დახვრეტილი ადამიანებით... – ნ. ბერდიავეს რომ დავესესხოთ, ეს წყობა ქართველმა ერმა გაიაზრა, როგორც ქრისტესა და ანტიქრისტეს შორის ბრძოლა და ამ ბრძოლაში ქრისტეს მხარეს დადგა. – თუ შემდგომი კატაკლიზმები: 9 აპრილი, სოხუმის დაცემა, სამაჩაბლოს დაკარგვა, საყდრისის აფეთქება... და მაინც, ამ შეშლილ მსოფლიოში, – სადაც ადამიანებს უჭირთ ერთმანეთთან საუბარი, რადგან მათ შორის გაუცხოების საზარელი და გადაუღახავი ბარიერი, კედელი აღმართულა, – მას თითქოსდა ეს პრობლემა არც კი შეხებია.

მაშინ, როცა ასე დაკნინებული, ყოვლად პატივსაცემი გამოჰყავთ ადამიანი მსოფლიოს წამყვან მოაზროვნეებს, ეს იქნება შემოქმედი თუ ფილოსოფოსი, ამ დროს ჩაგვესმის თქვენი ტკბილი, სიყვარულით აღსავსე ხმა და სიტყვები: „ადამიანი ხომ ყველაზე ძვირფასია!“

და ის, რაც ყველაზე მთავარია ადამიანში, აღიწერება თქვენ მიერ მთელი სისრულით: „ქმნილებათა შორის იგი არის დიადიც და ძალიან მცირეც, მასშია ზეცის სიმაღლე და სიმდაბლე ჯოჯოხეთისა. ცხოვრება განსაცდელია, მიზანი – განღმრთობა, ოღონდაც მარადიული ნეტარება ამქვეყნიური ყოფით, ღვთის მცნებისა და ნების აღსრულებით

უნდა დავიმკვიდროთ, ჩვენი კუთვნილი ჯვრის უდრტვინველად ტარებით უნდა მოვიპოოთ“.

მინახავს თქვენი სახე, როცა ბავშვი იცინის – ადამიანის სიცილი თქვენში განუზომელ აღტაცებას, ზეიმურობასა და ღვთისადმი მადლიერებას იწვევს. მინახავს, თუ როგორი მოწიწებით მოიდრიკებიან მომლოცველნი თქვენს წინაშე; მინახავს, თუ როგორ გარდაისახება ყოველი მათგანის სახე – ზოგს ცრემლი სდის, ცრემლი სიხარულისა და მწუხარებისა, ზოგი კი შეიგრძნობს თავისი ცოდვის სიმძიმეს და მონანულს ვერა და ვერ დაუჯერებია ბოლომდე, რომ თქვენი ხილვის ღირსი გახადა უფალმა.

სულიერი ადამიანის ყოველი საქციელი დიდ ზემოქმედებას ახდენს, განურჩევლად იმისა, ღიმილია ეს, ღუმილია, სამოსელია თუ უბრალოდ მზერა; მით უფრო, ეს ითქმის თქვენი ხმის ინტონაციაზე: როცა თქვენი უაღრესად დაღლილი ხმა ჩაგვესმის, რომელიც მარადიულობის დაუსაბამო და დაფარული გზიდან ძლივს ამოიტანს დიადი სიჩუმის იგავმიწვევად ნათელს, თქვენი მღვიძარე სიტყვების წყალობით ჩვენში ქრისტე იღვიძებს, ვით ცხოველმყოფელი უკვდავი წყაროდან ამოდენილი ძალა. ეს ხომ სამყაროს ჭეშმარიტი გზაა, რომელიც შთაგვაგონებს და გვადვილებს. ყოველი თქვენი ეპისტოლე აღსავსეა რწმენითა და სიყვარულით, რომელიც სულიერად გვზრდის.

უკვე არაერთგზის აღვნიშნე, რომ მსოფლიოს ტენდენცია მიმართულია იმ სავალალო მდგომარეობისკენ, რასაც ადამიანის პატივის აყრა, ღირსების შეღახვა ჰქვია; ამიტომაცაა თქვენი ფიქრები, კრთომა და წუხილი მიპყრობილი მომავალი კაცობრიობისადმი, რომელიც უგუნურად ცდილობს, უარი თქვას პიროვნებად ყოფნის სიღიადეზე, რითაც, ფაქტობრივად, აუქმებს ადამიანის ღვთაებრივ ბუნებას, და, ამასთან ერთად, მის ჭეშმარიტ თავისუფლებასაც. ამის გამოა, რომ თითქმის ყოველ ქადაგებაში მოიხმობთ პავლე მოციქულის სიტყვებს:

„უფალი სულია; ხოლო სადაც არის სული უფლისა, იქვეა თავისუფლება“ (2 კორ, 3; 17).

გამოსავალი ისაა, რომ საჭიროა, ადამიანმა ღვთის სახლს მიაშუროს, მხოლოდ ეკლესიის წიაღში, ქრისტეს ჯვარცმის, გოლგოთისა და აღდგომის მისტერიის გაცოცხლებით, მოხდება სიცოცხლის უკვდავი წყაროს შესმა და მომზადება იმ დიდი გზისთვის, რასაც ცხოვნება ჰქვია.

თქვენო უწმიდესობაე და უნეტარესობაე, თქვენ ჩვენ შორის მოსიარულე ხატი ხართ უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი.

განსხვავებული ფენის წარმომადგენლები ერთ რამეში არიან შეთანხმებულნი: რომ თქვენი უწმიდესობის მოვლინება ზეციური ნიშანია და ხშირად გაიგონებ:

„არაფრის მეშინია, ვიდრე პატრიარქი ჩვენ შორისაა“, ან: „იმედი არსებობს, რადგან ჩვენი პატრიარქის ლოცვა თან გვდევს, სადაც არ უნდა ვიყოთ“.

ეს თქვენი მყოფობა ჩვენ შორის გვაძლევს იმედს, რომ ჩვენს სულიერ თვალებს, ჩვენს სულებს სინათლე მოეფინება და დავინახავთ სამყაროს, რომელშიც აურაცხელი



ურთულესია თქვენი მისია; გულით, გონებითა და სულით შუამავალი ხართ ზეციურ და მიწიერ სამყაროთა შორის და ასე აღასრულებთ ყველაზე რთულ საქმიანობას მიწიერ სამყაროში – ეს არის ლოცვა, რითაც ხდება ადამიანის სულის განწმენდა და აღდგინება მისი უცოდველი, სამოთხისეული ხატისა.

საქართველოს ნებისმიერი ასაკისა და

სიმდიდრეა დაუნჯებული.

გმადლობთ შენ, უფალო! გადიდებ წრფელი გულითა და მადლიერების აუწყავი სიხარულით, რომ დედამიწაზე წარმოგზავნე, ჩვენი მიწის წიაღიდან აღმოაცენე შენი უკვდავი სულის ქომაგი და დამცველი, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე!

*ჟაკლინ სირაძე*

## ჩემი უსაყვარლესი ხატი



ივერის ღვთისმშობლის ხატი

1997 წლის 25 დეკემბერს სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში უფლის მადლით იკურთხებოდა ახალი კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, რომელსაც უდიდესი მისია ხვდა წილად – უღმერთობის სამოცდაათწლიანი მონობიდან უნდა გამოეყვანა უძველესი ისტორიის მქონე ქართველი ერი. დღე იყო უჩვეულო. მე იმ ბედნიერთა რიცხვს განვეკუთვნები, რომელიც მაშინ სვეტიცხოველში აღმოჩნდა. ჩრდილო-დასავლეთ ბურჯთან ვიდექით დედაჩემი თამარი და მე. ვიგრძენი, კურთხევის დროს რაღაც საკვირველი ნა-

თელი როგორ დაადგა პატრიარქს – არ ვიცი, ხილული იყო თუ უხილავი, მაგრამ ეს ნათელი და სიხარული კი დღემდე მოჰყვება ჩემს გულს. აღსაყდრება განსრულდა, გარეთ კი სპეტაკ თოვლს – ნიშანს ზეციური მადლისა – დაეფარა მცხეთა – სრულიად საქართველოს სულიერი დედაქალაქი.

იმ საკვირველი 25 დეკემბრიდან მოვიღებულები, აგერ უკვე ორმოცი წელია, ჩემს პატრიარქს სულიერი მონობიდან გამოჰყავს ერი. დღემდე იგი არის ღუზა მძაფრი ქარიშხლების დროს, ამასთანავე, როგორც აფრას, მტკიცედ მიჰყავს თავისი სამწესო ზეციური პირველსამშობლოსკენ.

სულიწმიდის მადლით აღსავსე და ამ მადლის მსახური ჩვენი პატრიარქი ადამიანური არსებობის ყველა სფეროს უღრმეს შრეებს სწვდება. სხვადასხვა დარგის სპეციალისტები გაკვირვებას ვერ მაღავენ მისი უდიდესი კომპეტენციის წინაშე – ან კი როგორ მოასწრო ერთმა ადამიანმა ამდენის შეცნობა?! საგანგებო სამხატვრო განათლება არ მიუღია, მაგრამ ღვთიური ნიჭისა და მსახურების წყალობით იგი ხელოვნების ნაწარმოებში ყოველთვის არსებითს ხედავს. განსაკუთრებით

საკვირველი თავად მისი ხატწერაა, რომელიც აშკარად უწყვეტი და სიღრმისეული ლოცვით არის შექმნილი, რაც უმთავრესია ხატის დაბადებისათვის.

უწმიდესის დაწერილი ხატები ფესვებით მრავალსაუკუნოვანი ქართული ხელოვნებიდან ამოიზარდა. მათში იკვალება ქვის რელიეფთა სადა და მძლავრი პლასტიკა, საეკლესიო ფერადონების მკაფიო სემანტიკურობა, სულიერი სიღრმე და უსაზღვრო უბრალოება. სწორედ ამ ნიშნების წყალობით ჩემი უსაყვარლესი ხატი

არის უწმინდესის მიერ დაწერილი ივერიის ღვთისმშობელი, რომელიც დღეს დიდი სამების ტაძრის საკუთხეველთან არის დაბრძანებული. ამ ხატის, ანუ პორტიკისას მრავალი ასლი დაიწერა ბოლო დროს, მაგრამ უწმინდესმა მასში წარმოაჩინა ისეთი სიღრმისეული თვისებები, რომელიც განსაკუთრებული ღირებულებისაა. პატრიარქმა საკვირველი სიზუსტით ამოიკითხა დედახატის ჭედურობაში ჩადებული ერთი ნიჟანსი – მაცხოვრის კურთხევას ბარძიმივით ეგებება ყოველდღის მარჯვენა და ამგვარად იხილვება უფლისა და მისი ეკლესიის ერთობა და განუყოფლობა. განსაკუთრებით შემძვრელია მზერა, რომელიც პირდაპირ მავედრებელი დედის გულიდან ამოდის. ამ მზერიდან უწყვეტად ამოედინება ღოცვა შემოქმედის მიმართ. აქ ზეციური დედოფალი წარმოდგარა, როგორც ქმნილება საკუთარი შვილისა, რომლის მიმართ უწყვეტი ღოცვით ის ღირს-იქმნა, გამხადრიყო დედა უფლისა. თავად უფალი – ყრმა იესო – უსაზღვრო უბრალოებითა და სასოებით შეგრდომია ღვთაებრივ დედას, ყოველისმპყრობელი ქცეულა ჩვილად, რომლის სასოებაც მის მიერვე ქმნილი დედაა. დედა-შვილის ურთიერთობა საკვირველ სიყვარულსა და უბრალოებაში გადაზრდილა. აქ იხილვება როგორც ღვთისმშობლის მონოზვნური უბრალოება, ასევე უფლის უკიდვანო თავმდაბლობა. ეს საკვირველი ხატი უდავოდ უწმინდესის პირადი, განმარტოვებული ბერული ღოცვის შედეგია, მისი მონოზვნური მსხვერპლი. როდესაც მას უყურებ, უწყვეტად მოგიწოდებს სიყვარულისა და უბრალოებისაკენ. ხატის მოოქროსფრო-ძოწისფერი ფერადოვნება კი სიმქრქალითა და ღრმა ხავერდოვნებით თითქოს ქცეულა ქართული მიწის მეტაფორად, იმ მიწისა, რომელსაც შეიძლება ეწოდოს „ჯვარცმული უფლის ფერხთა ფიცარი“.

უწმინდესი და უნეტარესი ილია II-ის დაწერილი ეს ხატი ჩემთვის ნამდვილი სულიერი თავშესაფარი გახდა. მასში

მე ვპოულობდი ჩემს ბავშვობას, დედაჩემს, ჩემს ბებიას, ჩვენს ძველ სალოცავებს და, საერთოდაც, მთელ საქართველოს. იგი ჩემს სულიერ სახლად იქცა. და არ ვიცი, როდის და როგორ ამოვიდა გულიდან მისდამი მიძვნილი ღოცვა და მადლიერება; მასში საკვირველად ჩაერთო სიტყვა „ნენანა“, რომელიც დ „დედაც“ არის და „ენაც“ ერთად. მას ხომ დღესაც სწირავენ პორტიკისას ათონზე მგალობელი ბერები. ამ სიტყვაში, რომელიც, ალბათ, ათანასე დიდმა თავისი სულკურთხეული დედის იავნანიდან მოისმინა, ერთიანდება სრულიად საქართველო. მასში ისმის ხმა უძველესი კოლხეთისა და იბერიისა, ჩვენი ღაზების, რომლებმაც საქართველოს აღუზარდეს წმიდა ნანა – პირველქრისტიანი დედოფალი. ამ სიტყვაში ისმის „იავ-ნანა“, რომელიც თავისი უძველესი საზრისისეული ფესვებით წმიდასა და მარადიულს გულისხმობს.

ამ საგალობლის დაბადებას ჩემს გულში ისეთი დიდი სიყვარული და უჩვეულო მხურვალეობა მოჰყვა, რომ თითქოს სხეულის შეგრძნება დამეკარგა. აშკარად ვგრძნობდი, რომ ხატიდან მომადლებული ძალა სხვა ადამიანებზეც გადადიოდა.

დღეს, როდესაც უწმინდესი და უნეტარესი ილია II-ის აღსაყდრების ორმოცი წლის დღესასწაულია, ვკადნიერდები და საჯაროდ მადლიერებით ვუგალობ მის მიერ მიმადლებულ ხატს:

ნენავ, ჩემო ნენანა,  
ჩემო ტკბილო ნენანა,  
ზესთამბრძოლო უძლეველო,  
ზღუდევ დაურღვეველო, ნენანა;  
ყანავ, ზეცით დათესილო,  
ყვავილო დაუჭკნობელო, ნენანა;  
უკვდავების წყაროსთვალო,  
ბუდევ მარგალიტისაო, ნენანა,  
იავ-ნანა, ვარდო-ნანა,  
იავ-ნანა, ნენანა!

*ასმათ ოქროპირიძე, ხელოვნებათმცოდნე*

## ღვთიური ცეცხლი

საქართველოს პატრიარქის, ილია II-ის მოღვაწეობის შესახებ ბევრი დაიწერა და კიდევ დაიწერება. ამ ჩემს მოგონებას მოკრძალებით გავანდობ საზოგადოებას და ბოდიშს ვუხდი კადნიერებისთვის.

ხდება სიონის ტაძარშიო. მიუხედავად იმისა, რომ ჩემი მშობლები ქრისტიანულ დღესასწაულებს – აღდგომას, შობას, მარიამობას, ორივე გიორგობას – იმ დროისთვის დასაშვები ფორმით აღნიშნავდნენ, სააღდგომო



კათოლიკოს-პატრიარქი ილია II სააღდგომო ლიტურგიისას სიონის საკათედრო ტაძარში

1978 წლის გაზაფხულს უკვე ძალა მოეკრიბა, აპრილის ბოლო კვირა ილეოდა. მე-9 კლასის დამთავრებამდე 1 თვეა რჩებოდა და როგორც ყმაწვილკაცებს შეეფერებათ, ჩვენც არ ვიცოდით, რაში დაგვეხარჯა მოჭარბებული ენერჯია. მსგავსად სხვა კლასებისა, მოსწავლეები ჩვენთანაც მოსწრების და „ყოფაქცევის“ (მაშინ ეს ძირითადი შეფასება იყო) მთელი დიაპაზონით იყვნენ წარმოდგენილნი, თუმცა ეს მეგობრობაში ხელს არ გვიშლიდა.

მოკლედ, ერთ შაბათს სკოლაში ხმა დაირხა, ამაღამ რაღაც განსაკუთრებული

მსახურებაზე მაინც წარმოდგენა არ მქონდა.

ვისაც ახსოვს მაშინდელი კომუნისტური პარტიისა და კომკავშირის იდეოლოგიური ზეწოლა და სრული კონტროლი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე, ძნელი წარმოსადგენი არაა, საპატრიარქოს რა მეცადინეობა დასჭირდებოდა ამგვარი ინფორმაციის გასავრცელებლად; მითუმეტეს, რომ უკვე მეორე შემთხვევა იყო, ამბავი გავრცელდა არა ტელერადიო-გაზეთის (სადაც სრული უნი-სონი სუფევდა) საშუალებით, არამედ ინფორმაციის ერთმანეთისთვის გადაცემის გზით, – მანამდე სულ რაღაც ორი კვირით ადრე ჩვენი

თვალთ ვნახეთ ქართული ენის დასაცავად გამოსული „ქულზე კაცი.“

რამდენიმე კლასელმა ბიჭმა მოვილაპარაკეთ და ლამის 12 საათისთვის დავიძარით სიონის ტაძრისკენ. აქ უწმიდესი და უნეტარესი ილია II თავისი კათოლიკოს-პატრიარქობის პირველ სააღდგომო წირვას ატარებდა.

თვითონ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული უპირველესი და ძალიან ამადლეგებელი ზეიმია მართლმადიდებელი მრევლისთვის, თუმცა ეს აღდგომა გამორჩეულად ჩამრჩა მესხიერებაში და არა მხოლოდ მეგარშემომყოფი ხალხის განწყობა და გამომეტყველებაც ადასტურებდა, რომ ეს იყო რაღაც ახალი ეპოქის დასაწყისი ქართველი ერის ისტორიაში.

განუმეორებელი იყო უწმიდესის გაბრწყინებული სახე, სადღაც სიღრმეში დაძაბულობა რომ იკითხებოდა. მიუხედავად ასეთი განწყობისა, მაშინ ალბათ ვერავინ შეძლებდა მიმდინარე მოვლენების სათანადოდ შეფასებას. ათეისტურ სახელმწიფოში ეს იყო თამამი განაცხადი ხალხში რელიგიური გრძნობების გამოსაფხიზლებლად. ამ ყველაფრის ორგანიზებას რა გამბედაობა და მოხერხება დასჭირდებოდა და რა წინააღმდეგობები შეხვდებოდა, ჩვენი თაობის ხალხისთვის ძნელი წარმოსადგენი არ არის.

ჩვენგან შორიახლოს მნათეების ჯგუფი იდგა (დაახლოებით ჩვენი ასაკისა იქნებოდნენ). ისინი ერთმანეთში აქტიურად საუბრობდნენ; ერთმა მნათემ მეორეს უთხრა, ყველა ადამიანი ღმერთის წინაშე პასუხისმგებელი თავის ქმედებაზეო. ასეთი საუ-

ბარი უცხო იყო ჩემი თაობის ახალგაზრდებისთვის და ძალიან გამაკვირვა, თუმცა კარგად დამამახსოვრდა. ამ ფრაზის არსის ჩაწვდომას დიდხანს ვცდილობდი. წლების შემდეგ მივხვდი, რომ მნათეს პირით ნათქვამი აზრი ქრისტიანული საზოგადოების ძირითადი პოსტულატი.

იმ პერიოდში ხალხის დიდი მასის ნახვა სტადიონზე იყო ხოლმე შესაძლებელი, თუმცა შეგრძნება მქონდა, რომ სიონის ტაძართან მთელი საქართველო იყო თავშეყრილი. ეკლესიიდან მეგობრებისა და ნაცნობების საკმაოდ დიდი ჯგუფი გამოუყვევით თბილისის ცარიელ ქუჩებს. ყველანი ემოციებით ვიყავით სავსე.



**პატრიარქი ჩაფიძის კლინიკაში. უწმიდესის მარჯვნივ – ბნი ზვიად ბახუტაშვილი, მარცხნივ – ქნი გულიკო ჩაფიძე**

გავიდა ათეული წლები და როდესაც საშუალება მოგვეცა, სააღდგომო წირვის შემდეგ იერუსალიმიდან ჩამოტანილი ღვთიური ცეცხლი წაგველო სახლებში, მხოლოდ მერე მივხვდი, რომ მაშინაც ღვთიური ცეცხლი წამოვიღეთ – ჩვენს გულებში დანთებული უხილავი ცეცხლი.

**კარდიოქირურგი ზვიად ბახუტაშვილი**



სწ. პატრიარქის სახლში



სამთავროს წმიდა ნინოს ღვლათა მონასტრის კრებული











- I არ განაკეთოს!
- II რაგანს მოყვანი შრატის გფუნდებს, თავს ნუ იშარილოვბ, სოსილე მენდომა და განმთრად.
- III ყოველი ადამიანის დაინახე მსილიოფ სიკეთე, მიმართე მის კუთალი სიტყვით, არუ ეს არ ძალოვანს – ნურაგერის ეტყვა.

(კანონი მონასტერის განუწება უნმადებსა და უნეტარებსა ილია II-მ)